

ადექსანდრე ახაჭანი



სტალინიზმი

აღეხსანდიე ახატნელი

სტატიონერი

თბილისი

2021 წ.

რედაქტორი

კობა ბედლიძე

სტალინიზმი საერთაშორისო მნიშვნელობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა. ამიტომაც მრავალი, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი მისი აღმოცენების, არსებობის კანონზომიერებისა და ისტორიული ბედის შესახებ.

სტალინიზმი XX საუკუნის მოვლენაა თუ დღესაც განაგრძობს მოქმედებას საზოგადოების ნაწილზე? ამ საკითხებზე გამახვილებული ყურადღება ავტორს.

საკამათო ბევრია, დაეთანხმება მის თვალსაზრისს მკითხველი თუ არა, ესაა მთავარი ამ ნაშრომში.

კობა ბედლიძე



წიგნი აეწყო და დაკაბადონდა



შინაარსი

ერთი შეხედვით	5
ახლოდან დანახული	7
წინასწარი დასკვნა	9
სტალინიზმი	9
I. სტალინის პიროვნების თავისებურებები;	10
II. მარქსიზმის გაგების თავისებურებები	19
III. რუსეთის განვითარების თავისებურებები	39
IV. სტალინიზმის თავისებურებები	56
V. დასკვნა	70
VI. გამარჯვებული სტალინიზმი	73
VII. ცვალებადობის კანონი	81
VIII. სტალინიზმი საქართველოში	95



ერთი უხედავით

სტალინი და სტალინიზმი? – ყოველივე გასულ საუკუნეს ჩაბარდა. რალა დროს ამ საკითხზე ფიქრია? – ჩვენ უნდა სხვა პრობლემებზე ვდაობდეთ, სხვა საკითხებს ვარკვევდეთ. მხოლოდ ჩამორჩენილი აზროვნების ან სიძველეთა მოყვარულები თუ დაინტერესდებიან ამ თემატიკით.

ასეთია მრავალთა აზრი.

მიჩნეულია, რომ ქვეყნის სადღეისო ამოცანა ევროპის კავშირის სრულყოფილებიანი წევრობა და ნატოს (NATO) ასოცირებული მოკავშირის სტატუსის მოპოვებაა. აქეთკენ უნდა იყოს წარმართული მთელი ძალისხმევა. ასეა?

არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმის გაცნობიერებას, რომ ევროპის განსაკუთრებულ და ორგანულ ნაწილს წარმოვადგენთ და საჭიროა ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა. ეს ნიშნავს სტალინთან დაკავშირებული ასოციაციების ამოძირკვას.

ევროპასა და ამერიკაში სტალინს თუ ვინმე ახსენებს, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში. მიიჩნევენ, რომ სტალინმა შექმნა რუსეთის საბჭოთა იმპერია, უფრო საშინელი მეთოდებით და წყობით, ვიდრე მუსოლინიმ იტალიაში, ჰიტლერმა გერმანიაში, ფრანკომ ესპანეთში.

საბჭოთა კავშირში სტალინმა დაამკვიდრა შიშველი ძალადობა, მოსპო მილიონები. იყო რა პირსისხლიანი დიქტატორი, საფრთხე შეუქმნა მსოფლიოს ცივილიზაციას. ამიტომ, რაც უფრო ადრე მიეცემა დავინწყებას, მით უკეთესი. საზოგადოებამ მომავალზე უნდა იზრუნოს და არა წარსული იკვლიოს.

სტალინმა საბჭოთა კავშირში აღადგინა ბატონყმობა და ამას კოლექტივიზაცია უწოდა. კოლექტივიზაციას კი სოფლის



სოციალისტური გარდაქმნის ფორმა. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა მინათმფლობელობის რუსული თემური მეურნეობის მოდერნიზებული სახესხვაობა. კოლექტივიზაციას მილიონობით გლეხთა სიცოცხლე შეენირა.

სტალინის მიზანი იყო ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაცია. ამის მისაღწევად სახსრები კი სოფლის გაჩანაგების გზით უნდა მიეღოთ. ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანაში სხვანაირად მრეწველობისათვის საჭირო სახსრებს ვერ მოიპოვებდნენ.

მრეწველობის დარგების შექმნა-განვითარება სტალინს გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა. სამრეწველო ბაზის გარეშე სამხედრო დარგებს ვერ განავითარებდა. სწრაფი და ხარისხიანი შეიარაღების აუცილებლობა კი თავიდანვე ძირითად ამოცანას წარმოადგენდა. ამას ემორჩილებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

მილირატინიზაციის პოლიტიკის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანა. სისტემის იდეოლოგია მოითხოვდა ასეთ გარდაქმნას.

სტალინს ეკუთვნის თეზისი, სოციალიზმის გამარჯვებების პარალელურად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ. მიჩნეული იქნა, რომ ე. წ. ექსპლოატატორული ელემენტები, დამარცხების კვალობაზე, ამწვავებენ წინააღმდეგობას. რეალურად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების საბაზით მოსპეს ბელადის პირადი მტრები. პირად მტრებად კი ითვლებოდნენ ყველანი, ვინც ეჭვს შეიტანდა სტალინის გადანყვეტილებების მართებულობაში. ასეთია წაყენებული ძირითადი ბრალდებები.

ამავე დროს არავინ უარყოფს მისი პიროვნების სიდიადეს. ამიტომ ასახელებენ მას მსოფლიოს დამპყრობთა უდიდეს სამეულში. განსაკუთრებით გამოყოფენ მის დამსახურებას მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშიზმის განადგურებაში.

დასკვნაა, ყოველივეს გათვალისწინებით, სტალინი უარყოფითი პიროვნებაა, სტალინიზმი უარყოფითი მოვლენაა და,



რაც უფრო მალე მოხდება დავიწყება, მით უკეთესი.

საქმე იქამდეა მისული, რომ სტალინის უბრალო ხსენებაც კი უარყოფით რეაგირებას იწვევს საზოგადოების „ელიტარულ“, ევროპელობის გზაზე დამდგართა შორის. ამასთან, უმრავლესობა გაკვირვებულად არ იცნობს მის განვლილ გზას და დამსახურებას.

ახლოდან დანახული

ყველაფერი ოქრო არაა, რაც ბრჭყვიალებს...

რაც არ ბრჭყვიალებს, ყველაფერი ჟანგი არაა...

სტალინი ისეთი დიდი არ იყო, როგორც აღმერთებდნენ.

სტალინი ისეთი ცუდი არაა, როგორც აგინებენ.

სტალინი და სტალინიზმის თემა ამოუწურავია. 1956 წლამდე იყო გაფეტიშებული. თბილისში მოწყობილი 9 მარტის სისხლიანი ხოცვა-ჟლეტა ამის დასტურია და მის სახელს უკავშირდება.¹ 1956 - 1964 წლებში ლაფში იყო ამოსვრილი. ნ. ხრუშჩოვის დროს წამოწყებულმა ლანძღვის კამპანიამ მთლიანად ქვეყანას (საბჭოთა კავშირს) ბევრად მეტი ავნო, ვიდრე სიკეთე მოუტანა. ამიტომ დაიწყო შემოვლითი გზებით მისი და სისტემის რეაბილიტაციის პროცესი. მ. გორბაჩოვის „გარდაქმნების“ დროს კვლავ გაძლიერდა უარყოფითი მოტივები. დღეს მოლოდინია, რომ საიდუმლო „არქივების გახსნა“ ქვეშაირების დადგენას შეუწყობს ხელს.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურა დაულაგებელია და სათანადო შეფასებას საჭიროებს. რას არ ნახავს დაინტერესებული მკითხველი: სტალინი – ბელადი, სტალინი – დიქტატორი, სტალინი – კულტი, სტალინი – წითელი მეფე, სტალი-

1. უსამართლობა, რომ მშრალ ხიდთან, ბაღში არ დგას სტალინის ძეგლი, სადაც გადაასვენებდნენ 9 მარტს დახოცილებს, როგორც სამართლიანობისთვის წამებულებს. მათი ძირითადი მიზანი ხომ ეროვნულობის (და არა პიროვნების) დაცვა იყო (ამ ამბების მონაწილეს ეს სიმართლე დამეფიცება). ისედაც, თუ პეტერბურგში აქვთ ნიკოლოზ I ძეგლი, ასევე სხვაგან ჩინგიზ-ხანის, თემურ ლენგის, ნაპოლეონის და ა. შ., სტალინი რატომ უნდა იყოს გამონაკლისი?



ნი – მწერალი, სტალინი – უდიდესი იმპერიის შემქმნელი, უდიდესი პოლიტიკოსი, გენერალ-სიმუსი და ა. შ. დავინყებუ-
ლი არაა სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მო-
მენტი: ბავშვობა (სტალინი ოსია თუ ქართველი, ჯულაშვილია
თუ ეგნატაშვილი, ცნობილი გერის ეკლესიაშია მონათლული
თუ არა, რატომაა ნაყვავილარი და ა. შ.), ყრმობა (სტალინი:
პოეტი და ილია ჭავჭავაძე, როგორ მოხვდა სასულიერო სემ-
ინარიაში, როგორ სწავლობდა, რატომ არ გახდა სასულიე-
რო პირი, როგორ ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, იყო ტერ-
ორისტი თუ არა და ა. შ.). რევოლუციონერობა, შემოქმედება,
ურთიერთობა ვ. ლენინთან, როგორ გახდა პარტიის ერთ-ერთი
ლიდერი. მოკლედ ყველაფერი, რაც თუნდაც ირიბადაა დაკავ-
შირებული მის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

პირველ რიგში უნდა გაიმიჯნოს სტალინი და სტალინიზმი.
ამ სახით არსებული ლიტერატურა საკმაოდ სცოდავს. არადა,
გასამიჯნია თვით სტალინი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი,
მეოჯახე, მშრომელი და როგორც პიროვნება, საზოგადო მოღ-
ვაწე, ქვეყნის ლიდერი. ობიექტური ანალიზია საჭირო და არა
უშვერი სიტყვებით ლანძღვა ან უზომო ხოტბა. ზედმეტი ემო-
ციები საქმეს არ რგებს.

არანაკლები ზიანის მომტანია საკითხისათვის წინასწარ
აკვიატებული შტამპებით მიდგომა. რა უნდა ითქვას მოსახ-
ლეობის საგრძნობ ნაწილზე, როცა რიგი სპეციალისტებისა,
დასკვნების გაკეთების დროს, ანალიზის შედეგებიდან კი არ
გამოდინან, არამედ წინასწარ განსაზღვრული პოზიციიდან.
ვთქვათ, ასეთია მთავრობის მიდგომა, ასეთი აზრი აქვთ საზ-
ღვარგარეთის ავტორებს. ასე უნდა იაზროვნო თუ გსურს
დასავლეთის მოღვაწეებს არ ჩამორჩე, ასეა საჭირო, მოდური
და სხვა. განსაკუთრებით ქართველობა (არა ყველა) გამოირჩე-
ვა ამ მხრივ. აბა, ტყუილად ხომ არ უწოდებენ თავს ევროპულ
დემოკრატებს, ევროპული ცივილიზაციის ნაწილს და ა. შ.

შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ყველაზე მისაღე-
ბი იქნებოდა სტალინის და სტალინიზმის ღრმა ანალიზი. არ-



სებულები მიღწეულის კარგი გაშუქება არა მხოლოდ პრობლემის მართებულ ცოდნას მისცემდა დაინტერესებულს, არამედ მომავლის ტენდენციების გაგებასაც გაუადვილებდა. ეს მართალია, დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ აუცილებელია.¹

წინასწარი დასკვნა

სტალინიზმთან დაკავშირებით თვალსაზრისი მრავალმხრივია და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი.

თვალსაზრისები მიმართულია წარსულის ანალიზისაკენ და ნაკლებად მოიცავს მომავლის ტენდენციებს.

სტალინი და სტალინიზმი ერთი მთლიანის ორი მხარეა, სადაც ერთის სრული გაცნობიერება მეორის გარეშე ნაკლოვანია.

სტალინიზმი რთული იდეურ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პროცესების ერთობაა, რომელიც ათეულწლოებით ყალიბდებოდა, ასეულობით მილიონთა ცხოვრებას წარმართავდა და კაცობრიობის მომავლის ორიენტირს ქმნიდა. შესაბამისად, იგი არ იყო ერთეულთა შემოქმედების შედეგი და არც ერთეულთა გადაწყვეტილებებით მოისპობა.

ცხოვრებაში ვხვდებით ყველა წარსული წყობილებების გადმონაშთებს. მათთან შედარებით, უფრო ხელშესახებია სტალინიზმის გამოვლინებანი, ამიტომ მომავალში აუცილებელი იქნება მისი ანალიზი.

სტალინიზმი

სტალინიზმის ჩამოყალიბება სამი ძირითადი ფაქტორითაა განპირობებული:

- I. სტალინის პიროვნების თავისებურებები;
- II. მარქსიზმის გაგების თავისებურებები რუსეთში;

1. წინამდებარე მოკლე ანალიზი მოკლებულია ასეთ შესაძლებლობას. ავტორის ასაკი, რეალური მუშაობის პირობები, უზრუნველყოფა, ასეთი ფუფუნების საშუალებას არ იძლევა.



III. რუსეთის განვითარების თავისებურებები.

I. სტალინის პიროვნების თავისებურებები;

სტალინის პიროვნების ჩამოყალიბებაში წამყვანი მნიშვნელობა სწორედ იმ ფსიქოლოგიურ-გენეტიკურ თავისებურებებს ჰქონდა, რომლის შესახებ იგი ერის განმარტებისას მიუთითებდა. ამ შემთხვევაში, ეს მხარე რომ კვლევის საგანს წარმოადგენდეს, უეჭველად აღინიშნებოდა ქართველების ხასიათში ჩამოყალიბებული ის თავისებურებები, რაც ახასიათებს ერის ამა თუ იმ ნაწილს დასავლეთ, აღმოსავლეთ ნაწილებში, ქვეყნის კულტურისა და განსაკუთრებით ქართლის გორი-კასპის რაიონებში. სწორედ ამ ნიშნით იყო შემკული ი. სტალინი. მხედველობიდან არ გამოგვრჩენოდა სოციალური წრის გავლენები და ა. შ.

სერიოზული იუმორით მიმოიხილებოდა ისეთი თითქმის უმნიშვნელო ფაქტორი, როგორც იყო ლახტის თამაშით გატაცება. მოზარდის ხასიათს როგორ მიმართულებას მისცემდა ლახტი? ეს სულაც არაა სახუმარო თემა. ხასიათის სიმტკიცე, შეუპოვრობა, მოხერხებულობა – ასეთი „თამაშებით“ ყალიბდებოდა და არა მოსმენილი ლექციებით. ამას ემატებოდა სოციალური მდგომარეობის კონკრეტული მახასიათებლები, ამით გამოწვეული აზრები და მოქმედებები და ბევრი რამ ხდება საცნაური მის მოღვაწეობაში.

სამწუხაროდ, ასეთი მიმართულების ნაშრომი სტალინის შესახებ უცნობია.

ერთი მნიშვნელოვან-უმნიშვნელო განაგონის შესახებ. სტალინის მამა ბესო ჯულაშვილი კარგი მშრომელი მენალე ყოფილა და გორის დაბალ ფენების წარმომადგენლებში საკმაოდ დაფასებული. დედა, კეკე (ეკატერინე) გიორგის ასული, ახალგაზრდობისას მშვენიერი შესახედაობის ქალი, თითქმის შეუფერებელი უბრალო მენალისათვის. ამასთან, კეკე მრეცხავად, მკერავად და ოჯახში დაახლოებულ პირად ითვლებოდა შეძლებულ თავად ეგნატაშვილებთან. გადმოცემის თანახმად ოჯახის თავი შვილივით ახლობლად თვლიდა პატარა სოსე-



ლოს (იოსებს) და შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარებოდა კიდევ. ამიტომ გასაგები ხდება ორიოდ მომენტი: რატომ მიატოვა ბესომ ოჯახი და გადასახლდა თბილისში, რატომ დაიწყო ლოთობა და გაუბედურებული წავიდა ამ ქვეყნიდან. რამ შეუწყო ხელი ჯუღაშვილის (სტალინის) თბილისის სასულიერო სემინარიაში მოხვედრას. რატომ არსებობდა გადმოცემა, რომლის თანახმად ი. სტალინმა (უკვე ი. სტალინმა) დედას ირონიულად ჰკითხა: კეკე, მორჩი ... თუ არაო?

ერთი შეხედვით, ასეთი „წვრილმანი“ ფაქტების გაცოცხლება-გამომზეურება საჭირო არაა. შეიძლება, არაეთიკურიც იყოს, მაგრამ მეორე მხრივ წვრილმანები ავსებენ ცხოვრებას და ბევრ რამეს საცნაურს ხდის ცხოვრებიდან¹.

ვინც დაფიქრდება სტალინის ცხოვრების „წვრილმან“ მხარეებზე, ის სტალინიზმის მართებულ გააზრებას შეძლებს.

პატარაობიდან არ სწყალობდა ბედი: ჯერ იყო და, ყვავილით დაავადდა, გადარჩა, მაგრამ ნაყვავილარი დარჩა, ამიტომ ხშირად „ჩოფურად“ მოიხსენებდნენ, მერე იყო, როცა 11-12 წლისამ მარცხენა ხელი დაიზიანა და ეს სიბერემდე აწუხებდა. ცნობილია, რომ დაზიანებული ხელის გამო, სამხედრო სამსახურიდანაც განთავისუფლებული იყო.

ფიზიკური მონაცემების გამო, მისი მოღვაწეობა სხვა მიმართულებით უნდა წარმართულიყო. სასულიერო ხაზით განსაზღვრეს უფროსებმა მისი მომავალი. თბილისის სასულიერო სემინარია გახდა მისი საბაზო განათლებისა და მომავალი სპეციალობის შექმნის კერა. დედა კი ოცნებობდა შვილის მღვდლობაზე, მაგრამ ბედმა და ყმანვილის ბედისწერამ სხვანაირად განსაზღვრეს. დაუკავშირდა არსებულ რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობას. 1899 წ. სემინარიიდან გარიცხეს, ამიერიდან მისი მომავალი არალეგალურ რევოლუციურ საქმიანობას უკავშირდება.

რუსეთის იმპერიაში ფართოდ იყო გავრცელებული რევო-

1. ასეთი მიმართულების ნაშრომი, ალბათ, საინტერესო იქნებოდა არა მხოლოდ ერთი პიროვნების რაობის გაგებისათვის.



ლუციურ-ტერორისტული მოძრაობა. ამ საქმიანობასთან იყო კავშირში სტალინის მოღვაწეობაც. 1907 წლამდე იგი ტერორისტული აქტების ორგანიზებით იყო დაკავებული. ბათუმსა და თბილისში გაფიცვებით მონყობასთან ერთად.

ბედის კიდევ ერთი მძიმე დარტყმა მიიღო იმ პერიოდში, გარდაეცვალა მეუღლე – ეკატერინე სვანიძე. გადმოცემით, ცნობილია: იმდენად განიცადა საყვარელი მეუღლის დაკარგვა, რომ მეგობრებმა კუბოს ძლივს ააგლიჯეს. დარჩა რამდენიმე თვის შვილი – იაკობი. უბინაო, არალეგალურად მცხოვრებ კაცს შვილის მოვლა არ შეეძლო და ბავშვი სვანიძეებმა წაიყვანეს აღსაზრდელად.

ბედის უკუღმართობის ვერც იმ დროს გაექცა, როცა უკვე სტალინი იყო. 1932 წ. მეორე მეუღლემ ნადეჟდა ალილუევამ თავი მოიკლა. მეუღლეს დაუტოვა ორი მცირეწლოვანი შვილი. ძნელად წარმოსადგენია ადამიანის მდგომარეობა, რომელიც მთელი არსებით ჩაბმულია ქვეყნის მშენებლობის პროცესში, უწევს ბრძოლა ცხოვრების ყველა ფრონტზე, არის მუდმივად მომართული, დაძაბული და ამ დროს ხელიდან ეცლება შვილების დედა. საზოგადოებაში გაჩნდა მრავალი ვერსია ამ მოვლენასთან დაკავშირებით: მოიკლა თავი თუ მოკლეს, ვინ მოკლა, რატომ და ა. შ. ამ შემთხვევაში გამოძიება არაა საჭირო. ვინც მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე ნახავს ნ. ალილუევას საფლავს, მიწიდან „ამოსულ“ თეთრ სვეტს, იქვე სავარძელს, სადაც ი. სტალინი იჯდა ხოლმე დაფიქრებული, ის ბევრ რამეს მიხვდება და დააფასებს, თუ ადამიანია.

სტალინს პირად ცხოვრებაში ბედი არ სწყალობდა. პირადი ცხოვრება თითქმის არც ჰქონია. ყველაფერი გადადებული იყო რევოლუციური საქმიანობისათვის, საზოგადოების, ქვეყნის გარდაქმნისათვის, ე. წ. სოციალიზმის მშენებლობისათვის, იმისათვის, რასაც სტალინიზმი ეწოდა.

1901 წლიდან მოყოლებული სტალინის ცხოვრება (ცხოვრება კი არა, არსებობა) დაკავშირებული იყო მუდმივ რევოლუციურ საქმიანობასთან, რასაც თან სდევდა დაპატიმრე-



ბა-გადასახლება-გაქცევა, არალეგალური საქმიანობა, კვლავ დაპატიმრება-გადასახლება-გამოქცევა და ა. შ. მოღვაწეობის ასეთმა ხასიათმა გამოაწროთ მისი ქართლურ-გორული ბუნება, გახადა ამტანი, შეუპოვარი, შეურიგებელი, მკაცრი, აულელებელი, აუჩქარებელი, მოზომილი, აწონილი მოქმედების. მოკლედ, ისეთი, როგორსაც მას მილიონები იცნობდნენ.

1901 წ. სტალინი ორგანიზებას უკეთებს ბათუმის მუშათა გაფიცვებს, მალე აპატიმრებენ და აციმბირებენ. იქიდან უკვე გამობრძმედილი ბრუნდება. რუსეთის 1905 – 1907 წწ. რევოლუციის დროს ხელმძღვანელობს ტერორისტულ ბრძოლას. რევოლუციის მარცხის შემდეგ გადადის ბაქოში. ბაქო იმ დროს რუსეთის იმპერიის ხუთ სამრეწველო ცენტრებს შორის წამყვან პოზიციას იკავებდა. ბაქოში ცხოვრებამ და მოღვაწეობამ ბევრი მისცა მას, როგორც რევოლუციონერს – დაჭერა-გადასახლება-გამოქცევასთან ერთად, შეურიგებელი, უდრეკი რევოლუციონერის სახელი. იმდენად გაიზარდა მისი ავტორიტეტი, რომ 1912 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (რსდმპ) VI კონფერენციაზე (ცნობილი პრალის კონფერენციაზე), დაუსწრებლად აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის წევრად და რამდენადაც ცენტრალურ კომიტეტს ცალკე ჰქონდა რუსეთის ბიურო – ბიუროს წევრად¹.

ხასიათის თავისებურებიდან გამომდინარე, იგი არასოდეს არ ეთანხმებოდა სხვებს უსიტყვოდ. იგი არა სცნობდა ასევე ლენინის შეუვალ ავტორიტეტს. ხშირად ჰქონდა განსხვავებული აზრი და თუ ბოლოს ერთიანი პოზიციით გამოდიოდნენ, ეს კომპრომისული მოქმედების აუცილებლობით იყო განპირობებული.

ცნობილია, რომ პარტიის ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაყოფის (1903 წ. II ყრილობა) შემდეგ, ნაწილებს შორის

1. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ფუნქციონირებდა საზღვარგარეთ, რადგან ხელმძღვანელები. ე. წ. თეორეტიკოსები იქ აფარებდნენ თავს. რაც შეეხება რუსეთს, რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობას, აქ ცკ-ის რუსეთის ბიუროს წევრები, პრაქტიკოსი რევოლუციონერები ახორციელებდნენ.



იყო იდეურ-ორგანიზაციული შეურიგებელი წინააღმდეგობები, თუმცა პარტია კვლავ ერთი რჩებოდა. ვ. ლენინი წარმოადგენდა ბოლშევიკების უცვლელ ლიდერს, მის მთავარ თეორეტიკოსს, რადიკალურ-მემარცხენე პოზიციის მქონე რევოლუციონერს. ი. სტალინი, მიუხედავად განუხრელი ბოლშევიკობისა, მაინც არ წყვეტდა ურთიერთობას მენშევიკებთან. არა მხოლოდ მათთან, იგი რუსეთის ყველა ოპოზიციონერ-რევოლუციონერთან მჭიდრო ურთიერთობის მომხრე იყო. სხვა ფაქტორებთან ერთად ეროვნულ-პიროვნული ხასიათიც იძლეოდა ამის საფუძველს.

ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ვ. ლენინისგან განსხვავებით, ი. სტალინს ურთიერთობა ჰქონდა ე. წ. ლიკვიდატორებთან, ესერებთან, მეჟრაიონელებთან. იგი ასევე ემხრობოდა 1917 წლის მარტში დროებით მთავრობასთან ურთიერთობის იდეას, 1918 წ. ბრესტის ზავის გარშემო (ვ. ლენინს, ლ. ტროცკის, ნ. ბუხარინს შორის) ატეხილი დავის დროს. ლ. ტროცკის უჭერდა მხარს. ასევე ცნობილია, რომ მხოლოდ ვ. ლენინთან გამართული აზრთა ორმხრივი გაზიარების შემდეგ, მიემხრო და გაამარჯვებინა მას. როგორც პრაქტიკოსი ლიდერი და შეუდარებელი ორგანიზატორი ი. სტალინი ბოლშევიკური პარტიის წარმატებების შეუცვლელ ფაქტორს წარმოადგენდა.

ყოველივე ითქვა იმის დასტურად, რომ ი. სტალინი ყოველთვის იყო დამოუკიდებელი აზროვნების და მოქმედების პიროვნება. მისთვის არ არსებობდა ავტორიტეტი, თუ მიიჩნევდა, რომ მისი პოზიცია გამართლებული იყო. ცნობილია, რომ 1917 წ. ოქტომბერში, როცა შეიარაღებული აჯანყების საკითხებთან დაკავშირებით ზინოვიევი-კამენევი ერთგვარი ლალატი ჩაიდინეს და ვ. ლენინი პარტიიდან მათ გარიცხვას მოითხოვდა. ი. სტალინმა დაიცვა შერისხულები. ეს რაც შეეხება აღიარებულ ბელადს. დანარჩენი ლიდერები მისთვის დიდ, ანგარიშგასაწევ პიროვნებებს არ წარმოადგენდნენ. თვით ყველაზე უფრო ავტორიტეტული და პოპულარული ლ. ტროცკი, მიუხედავად დიდი თავდაჭერილობისა და რწმენისა,



რომ იგია ოქტომბრის რევოლუციის მომხდენი, საბჭოთა წყობილების შემქმნელი, იმდენად დიდი, რომ უსახური კავკასიელის (სტალინის) დონემდე დასვლა არ ეკადრება, კრიტიკულ მომენტში მაინც უკან იხევდა (შინაგანად ეშინოდა).

რაც მთავარია, რევოლუციური მოძრაობის ლიდერები ი. სტალინს ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევდნენ და, როგორც წესი, მის სიტყვას ენდობოდნენ. აშკარა მოწინააღმდეგე უფრო პატივსაცემია, ვიდრე გაურკვეველი მოკავშირე. ლ. ტროცკი 1907 წლიდან იცნობდა სტალინს, არასოდეს მეგობრები არ ყოფილან, მაგრამ გარკვეულ რიდს ყოველთვის იწვევდა მასში. მდიდარი ოჯახის შვილი, ფუფუნებაში აღზრდილი, კარგი განათლების, სიმპატიური გარეგნობის, ორატორული უნარის მქონე. ტროცკი ცდილობდა, ზევიდან შეეხედა არაფრის მქონე, „გაუნათლებელი“, შეუხედავი კავკასიელისათვის, მაგრამ რიგ შემთხვევებში იძულებული იყო, უკან დაეხია, დაეთმო და პარტიული ურთიერთობები შეენარჩუნებინა.

ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ ბოლშევიკებმა შექმნეს მთავრობა ვ. ლენინის თავმჯდომარეობით. ლ. ტროცკი იძულებული იყო, სამხედრო საქმეთა კომისრობას დასჯერებოდა. ი. სტალინთან მიმართებაში აზრთა სხვაობა არა ყოფილა. იგი ეროვნებათა საქმის კომისრად დაინიშნა. მან, ვ. ლენინთან ერთად, ხელი მოაწერა საბჭოთა ხელისუფლების პირველ დოკუმენტს, რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციას.

ეს იყო სტალინის სამთავრობო მოღვაწეობის დასაწყისი. სამოქალაქო ომისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის დროს იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო პრობლემების მოგვარებაში. ცნობილია, რომ იგი ერთდროულად რამდენიმე თანამდებობას იკავებდა და პრაქტიკულად იყო ყველგან, სადაც რევოლუციას უჭირდა.

ეროვნების საქმეთა კომისრობის გარდა, სახელმწიფო კონტროლის კომისრის მოვალეობასაც ასრულებდა, იყო სურსათის მოპოვების საქმის უფროსი, ცარიცინის დაცვის უფროსი, ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი პეტროგრადის,



დასავლეთის სამხედრო ფრონტებზე. იმდენად უნარიანი და წარმატებული, რომ ვ. ლენინი ბოლომდე ენდობოდა და მხარს უჭერდა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ცარიცინის დაცვის დროს არსებული სამხედრო გეგმა შეცვალა, ახალი შეადგინა და შედეგს მიაღწია. სამხედრო საქმეთა კომისარ ლ. ტროცკის დირექტივები მისთვის მნიშვნელოვანი არ იყო. ლ. ტროცკი ვ.ლენინს სთხოვდა, დაუმორჩილებელი კავკასიელი მოეშორებინათ. ბოლოს, როცა ცარიცინის დაცვის საკითხი მოგვარებული იყო, სტალინი მოსკოვში გაიწვიეს და რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრად დაინიშნა.

ასევე ნათელია ი. სტალინის უკომპრომისო პოზიცია ვრანგელის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. საკითხის გამწვავება დაემთხვა საბჭოთა სამხედრო ექსპედიციას პოლონეთის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ოქტომბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ პოლონეთისა და ფინეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ეს რუსეთის იმპერიის ამ ორი ნაწილის დამოუკიდებლობის მოთხოვნას წარმოადგენდა. **1917 წ. 31** დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ აღიარა მათი დამოუკიდებლობა.

1920 წ. სამოქალაქო ომისა და უცხოური ინტერვენციის საქმეში წარმატების კვალობაზე, დაისვა რევოლუციის ევროპაში გავრცელების საკითხი. პერმანენტული რევოლუციის გაგებიდან გამომდინარე, საბჭოთა მთავრობა შეეცადა ბრძოლით „გაენითლებინა“ პოლონეთი.

პოლონეთის წინააღმდეგ რევოლუციური ინტერვენცია დროში დაემთხვა ყირიმის ნახევარკუნძულსა და უკრაინის სამხრეთში ვრანგელის სამხედრო აქტივობას. მდგომარეობით შენუხებული ვ. ლენინმა პირადად სთხოვა სტალინს, მთლიანად დაკავებულიყო ამ საშიშროების მოხსნის საკითხით. ტროცკი სტალინისგან უშედეგოდ ითხოვდა ჯარებით დახმარებას, რათა პოლონეთი დაემარცხებინა და შემდეგ გერმანიისაკენ სვლა განეგრძო. სტალინი უგულვებელყოფდა ტროცკის (სამხედრო მინისტრის) მოთხოვნას და ვრანგე-



ლის წინააღმდეგ შეტევას ამზადებდა. ტროცკი ამოდ ჩიოდა მოსკოვში და ბოლოს, ვარშავასთან დიდი მარცხი სტალინს დააბრალა. სტალინმა კი ვრანგელის დამარცხება და ყირიმის გათავისუფლება უზრუნველყო. ლენინი იმდენად ენდობოდა სტალინს, რომ არასდროს არ შეუტანია ეჭვი მისი მოქმედების არც ერთ მომენტში. პირიქით, ცნობილია, რომ უმცროსი და მარია შესთავაზა ცოლად მოეყვანა (სტალინის და მარია ილინინიშნას არასაქმიანი ურთიერთობა ჯერხანობით მაინც გაშიფრული არაა). ტყუილად ცდილობდა ზოგიერთი მეკალმე, საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს სიცოცხლის ბოლოს მათ შორის დიდი უნდობლობა ჩამოვარდა¹.

რეალურად, იმდენად იყო სტალინი ფუნქციებით გადატვირთული, რომ საჭირო შეიქმნა მისი განტვირთვა. სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ იგი სამხედრო საქმეებისაგან განთავისუფლდა, მაგრამ პოლიტიბუროს, ორგბიუროს წევრობა, ორი წამყვანი კომისარიატის კომისრობა მაინც მძიმე ტვირთი იყო. პარტიის ხელმძღვანელობაში ბევრს სურდა მისი საქმიდან ჩამოშორება და პარტიის XI ყრილობაზე კიდევ დაისვა ასეთი საკითხი. საბოლოო შედეგად, სტალინის ფუნქციები კი არ შეკვეცეს, არამედ გააფართოვეს. 1922 წ. ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმზე, ვ. ლენინის წინადადებით, იგი გენერალურ მდივნად აირჩიეს. რამდენადაც ვერ საზღვრავდნენ პარტიის გენერალური მდივნის მომავალ შესაძლებლობებს, ამ არჩევას მხარი ყველამ, მათ შორის ლ. ტროცკიმ, დაუჭირა.

სტალინის მოწინააღმდეგენი არ თვლემდნენ. ვ. ლენინის მიერ გამოთქმულ შენიშვნები პარტიის ხელმძღვანელთა მის-

1. პარტიის პოლიტიბუროს დავალებით, სტალინი მეურვეობდა ვ. ლენინის მკურნალობისა და რეჟიმის საკითხს. კრუპსკაიას თავნებობის გამო, რეჟიმი დაირღვა. ცხადია, სტალინმა უსაყვედურა ქალს, მან კი ქალური თავმოყვარეობაშელახულმა სცადა ქმრის ამხედრება. ისიც ცნობილია, რომ ბელადიც და მარია ილინინიშნაც სტალინს ამართლებდა და მხარს უჭერდა. ამ ფაქტის წარმოდგენა დიდ უთანხმოებად ბევრს ხელს აძლევდა მაშინაც და ახლაც. სანერი ქალადი კი ყოველივეს მშვიდად იტანს.



ამართით, მიიჩნიეს ისეთ პოლიტიკურ ანდერძად, რომლის თანახმად გაკრიტიკებული პირები მმართველობას უნდა ჩამოშორებოდნენ. პარტიის XIII ყრილობაზე სპეციალურად წაიკითხეს ვითომ ანდერძი. განაწყენებულმა სტალინმა უარი თქვა გენერალურ მდივნობაზე, მაგრამ პარტიულმა ამხანაგებმა გადადგომა არ დაუშვეს. არადა, მომენტი, თითქოს მოწინააღმდეგისათვის სასურველი დადგა. ვ. ლენინის ავადმყოფობა გამოჯანმრთელების იმედს არ იძლეოდა. შემდეგ კი საჭირო გახდა ახალი ხელმძღვანელის არჩევა. მოლოდინი ლ. ტროცკიმ დაარღვია. იგი იწყებს გამოსვლებს პარტიის აღებული კურსის კრიტიკით. პარალელურად ცდილობს, გაზვიადებულად წარმოაჩინოს საკუთარი დამსახურება. მისი ეს პოზიცია ბევრის უარყოფით დამოკიდებულებას განაპირობებს. მათ შორის არიან ზინოვიევი და კამენევი¹.

სტალინი იმ პერიოდში ცდილობდა აშკარად არ ჩაბმულიყო იდეურ-პოლიტიკურ დაპირისპირებაში, თუმცა, ძირითადად, ზინოვიევი-კამენევის უჭერდა მხარს. ეს სამნი კი ისეთ ძალას წარმოადგენდნენ, რომლის დამარცხება ტროცკისაც არ შეეძლო.

მიუხედავად ტროცკისა და ზინოვიევის ახლობლობისა, იდეური ბრძოლა სწორედ მათ შორის წარიმართა. სტალინი ჩრდილში მოექცა.

ამ დაპირისპირებას მოჰყვა პარტიის ხელმძღვანელობაში ერთიანობის კრიზისი. ჩამოყალიბდნენ მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულების ჯგუფები. ლ. ტროცკიმ მემარცხენეთა ლიდერობა ითავა და ამ პოზიციიდან შეუტია.

მცირე ცნობა: ტროცკი, თავისი მსოფლმხედველობით, ცხოვრების წესით, არასოდეს მემარცხენე პოზიციაზე არ იდგა. იგი, ძირითადად, იმეორებდა და მისდევდა ვ. ლენინის აზრებს. 1918 წ. სწრაფი ნაციონალიზაციის (ე. წ. კაპიტალზე გვარდიული შეტევის) დროს, შემდეგ სამხედრო კომუნიზმის

1. ზინოვიევი მიიჩნევდა, რომ არანაკლები თეორეტიკოსია და ავტორიტეტი. კამენევი, ტრადიციულად, მისი მხარდამჭერი იყო.



პოლიტიკის განხორციელებისას, შეითვისა რადიკალური მემარცხენე იდეები. კერძოდ, ვ. ლენინთან ერთად მხარს უჭერდა შრომითი არმიების ჩამოყალიბებას, კომუნების შექმნას, მკაცრი, იძულებითი მეთოდებით ყოველგვარი პროტესტის ჩახშობას. ცნობილი რეპრესიების პოლიტიკა სწორედ ლენინ-ტროცკის ხელმძღვანელობით, შემოიღეს. ამ პოლიტიკის გაგრძელება იყო ოცი-ოცდაათიან წლებში წარმოებული იძულებითი ღონისძიებები.

ტროცკიმ ბროშურაში „ოქტომბრის გაკვეთილები“ დაასახუთა ახალი კურსის განხორციელების აუცილებლობა. ბრძოლის პროცესში ცდილობდა ახალგაზრდობის დაყრდნობა და ისინი დაერაზმა პარტიის ძირითადი კურსის წინააღმდეგ. ცხოვრება იცვლებოდა და გვარდიული მეთოდებით ქვეყნის გარდაქმნაზე ფიქრიც აღარ შეძლებოდა. ეს მოსახლეობის მასობრივ უკმაყოფილებას იწვევდა, რაც საბოტაჟში და გლეხთა აჯანყებებში გადაიზარდა. გლეხურ ქვეყანაში გლეხების წინააღმდეგ იძულებითი მეთოდების შემოღებით წინსვლა გამოირიცხებოდა. ტროცკის მიერ შეთავაზებული წვრილბურჟუაზიული რადიკალური ღონისძიებები ძაბავდა ვითარებას. ნათელი ხდებოდა მოზომილი პოლიტიკის უპირატესობა.

ახალი პოლიტიკის თეორიული გააზრება და პრაქტიკული განხორციელება ი. სტალინთანაა დაკავშირებული. პროგრამის შესრულების შედეგად ჩამოყალიბდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა, რომელიც დღეს სტალინიზმადაა ცნობილი.

II მარქსიზმის გაბეზის თაჟისეჟურეჟეჟი

„... ლენინმა მართლაც გამოიყენა მარქსიზმი რუსეთისსინამდვილის მიმართ და ოსტატურადაც გამოიყენა.“ – აღნიშნავდა ი. სტალინი ნაშრომში „ლენინიზმის საკითხები“.

ლენინიზმის, როგორც საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენის უფრო ლაკონური და ყოვლისმომცველი შეფასება არავის მოუცია.

ავითარებდა რა ლენინიზმის არსისა და მნიშვნელობის შე-



ფასებით აზრს, ი. სტალინი ამბობდა: „ლენინიზმის გადმოცემა ნიშნავს იმ განსაკუთრებულისა და ახლის აღნიშვნას ლენინის ნაწარმოებში, რაც ლენინმა შეიტანა მარქსიზმის საერთო საგანძურში და რაც ბუნებრივად დაკავშირებულია მის სახელთან“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ლენინიზმის გაგება, მისი მარქსისტულობის შეფასება, საბოლოო ანგარიშით, შეუძლებელია თავად მარქსისტული დასკვნების სრული უგულვებელყოფის ვითარებაში. შესაბამისად, სტალინიზმის გაგება მოითხოვს ლენინიზმის ძირითადი დასკვნების ცოდნას, ხოლო ლენინიზმის ცოდნა მარქსიზმის განსაზღვრული დასკვნების ცოდნას (მხედველობაშია არა მთლიანად ლენინიზმის ან მარქსიზმის განხილვა, არამედ მხოლოდ სტალინიზმის ფორმირებასთან დაკავშირებული დებულებები).

ყოველგვარი ფართო ახსნა-განმარტებების გარეშე ითქმება, რომ მარქსიზმი საზოგადოებრივ ცხოვრებას უყურებდა, როგორც ბუნებრივ ისტორიულ პროცესს, რომლის დაჩქარება შეიძლება თუ საზოგადოებას სწორად ესმის განვითარების მოთხოვნები და მოქმედებს ამ მოთხოვნების შესაბამისად. საზოგადოებას ასევე შეუძლია, შეაფერხოს წინსვლა ან სულაც დროებით უკან დახიოს პროცესი, თუ იმოქმედებს სანინალმდეგო მიმართულებით.

შესაბამისად, დააჩქაროს ან შეანელოს პროცესი, დააჩქაროს ან შეანელოს, მაგრამ არა შეცვალოს ან გადაახტეს განვითარების აუცილებელ საფეხურებს. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას (ქვეყანას) დაეხმარება სხვა, ბევრად წინ წასული საზოგადოება (ქვეყანა), მას შეუძლია ნახტომისებური წინსვლა განახორციელოს. სხვა შემთხვევაში განვითარების აუცილებელი საფეხურების გავლა მოუწევს.

ვ.ლენინი იზიარებდა მარქსიზმის ამ ფუნდამენტურ დასკვნას. იგი გამორიცხავდა რუსეთში დამოუკიდებლად სოციალიზმის დამკვიდრების შესაძლებლობას. აღნიშნავდა,



რომ, თუმცა ბატონყმობა 1861 წ. რეფორმის დროს გაუქმდა, მაგრამ ქვეყანა კვლავ ფეოდალიზმის მარწუხებშია მოქცეული. 1905 1907 წლების რევოლუციის დროს მოხერხდა მისი დაძლევა ქალაქებში, სოფელი კვლავ განაგრძობდა ძველი წყობილების პირობებში არსებობას. მისი მტკიცებით, რუსეთში სოფლად ფეოდალიზმი მხოლოდ 1920 წლისთვის იქნა დაძლეული.

ასეთი იყო საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ხაზის მარქსისტულ-ლენინური გაგება.

ამავე დროს, დიდი შეუსაბამობაა ამ ძირეული დასკვნის ირგვლივ ლენინური დებულებების გააზრებაში. იგი ერთიმხრივ, ეთანხმება მარქსიზმს, მეორე მხრივ საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

მარქსიზმის თანახმად, საზოგადოებას არ შეუძლია დამოუკიდებლად განვითარების პირობებში გადაახტეს წინსვლის აუცილებელ საფეხურებს, სუბიექტურად შეცვალოს ობიექტური მოთხოვნილებები, ვოლუნტარისტულად განსაზღვროს პროგრესის ხასიათი.

1. კაცობრიობის ისტორია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ცვლის ისტორიაა;
2. ფორმაციები არ იცვლებიან სანამ არ ამოწურავენ განვითარების შინაგან შესაძლებლობებს;
3. კაპიტალისტური ფორმაცია, შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარე, არ დაილუპება სანამ არ მოამწიფებს შესაბამის პირობებს, რომლებიც თანაბრად გარდაუვალს ხდიან ძველის დალუპვას და ახლის დამკვიდრებას.
4. საწარმოო ძალების განვითარება იმ დონემდე, როცა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი მოძველდება და პროგრესის მუხრუჭად გადაიქცევა;
5. წარმოებით ურთიერთობათა კულტურის ზრდაა იმ დონემდე, როცა შესაძლებელი (ან აუცილებელი) ხდება ახალი ტიპის ურთიერთობათა დამკვიდრება.



განვითარების ასეთი დონის მიღწევა ნიშნავს:

I. მუშათა კლასის (პროლეტარიატის) ანუ საზოგადოების იმ ნაწილის უმრავლესობად გადაქცევას, რომელთა ბედი ხელფასზეა დამოკიდებული (მუშათა კლასის შემადგენლობაში შედიან ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკები. ისინი, ვინც საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით არსებობენ);

II. ბურჟუაზიის (კაპიტალისტების) მოძალადე, პარაზიტ კლასად ჩამოყალიბებას;

III. საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფების (გლეხობა, წვრილი ხელოსნები, ვაჭრნები და სხვ.) მიერ განვითარების ხასიათზე არსებითი ზემოქმედების შეუძლებლობას.

კ. მარქსი ასეთ დასკვნას აკეთებდა: წყობილება არ შეიძლება იმაზე მეტი იყოს, ვიდრე არის ეკონომიკა და კულტურა ხალხისა.

საზოგადოების კაპიტალისტური განვითარების საფეხურები შეიძლება ასე გამოისახოს:



1. მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია,
2. მანუფაქტურული წარმოება,
3. მანქანური წარმოება.

ესაა კაპიტალისტური განვითარების პირველი ფაზა. იგი XX საუკუნიდან გადადის მეორე ფაზაში, რომელიც ასევე სამი საფეხურისაგან შედგება.:

4. მონოპოლისტური კაპიტალიზმი,
5. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი და
6. სახელმწიფო კაპიტალიზმი.

კაპიტალისტური წყობილების ამ მეორე, მონოპოლისტურ ფაზას, მისი შინაგანი ბუნების გამოვლინებიდან გამომდინარე, ხშირად იმპერიალიზმს უწოდებენ.

კიდევ ერთი მარქსისტული დახასიათება: თეორია მიიჩნევს, რომ კაპიტალიზმი ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლო-



ბით ამონურავს წინსვლის შესაძლებლობას და მეექვსე საფეხურიდან, მშვიდობიანი თუ არამშვიდობიანი გზით, ადგილს დაუთმობს ახალ წყობილებას (რომელსაც იგი კომუნიზმს ან სოციალიზმს, ეს იგივეა, უწოდებდა). უფრო ადრეულ საფეხურზე კაპიტალიზმი არ იღუპება.

რატომ არა ადრეული საფეხურებიდან? რით ხასიათდება ეს მეექვსე საფეხური? ეგებ არის კიდევ დამატებითი საფეხურები?

მეცნიერება კაპიტალისტური განვითარების ასეთ ძირითად (ძირითადი არ გამოირიცხავს ვარიანტებს) ხაზს იძლევა:

1. მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია, განვითარების ის საწყისი საფეხურია, როდესაც ყალიბდება და წამყვან ფორმად ურთიერთობისა ხდება ფულად-სასაქონლო ურთიერთობა. იგულისხმება, რომ ხელოსნობა, ვაჭრობა, ფულის მიმოქცევა ადრეც იყო წამყვან, გაბატონებულ ფორმად, ამ პერიოდში იქცევა. მისი დამკვიდრების მაღალ საფეხურზე ხდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება უკვე კაპიტალისტებს შორის და წამყვან ფორმად მანუფაქტურული წარმოება ყალიბდება. მანუფაქტურული წარმოება და ურთიერთობანი ქმნიან მანქანა-დანადგარების განვითარებისა და დამკვიდრების პირობებს. მოწინავე ქვეყნებში XIX ს. მანძილზე, მანქანური წარმოება გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს. ამით მთავრდება კაპიტალისტრი წყობილების პირველი ფაზა.

მანქანური წარმოების გაძლიერება-გამსხვილების პირობებში კონკურენტული ბრძოლა უბიძგებს მონოპოლიური გაერთიანებების ჩამოყალიბება-გაბატონებას. მონიპოლიები ერთი მხრივ აჩქარებენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ქმნიან საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის მეტ ფორმებსა და შესაძლებლობას, მეორე მხრივ ამწვავებენ ურთიერთობებს კაპიტალისტებსა და მშრომელებს შორის. თანდათან იყოფა საზოგადოება ორ შეურიგებელ ძალად (კლასად): ერთიანი ბურჟუაზია¹ და ერთიანი მუშათა

1. საზოგადოების მცირე ნაწილი, რომელიც ფლობს წარმოების სასუალებებს, საკუთრების უფლებით ითვისებს მატერიალურ დოვლათს და ამდენად მისი არსებობა დამოკიდებული არაა ხელფასზე



კლასი¹.

კაპიტალისტური წყობილების განვითარება იწვევს ქვეყნის შინაგანი და მსოფლიო ბარიერების მსხვერველს. იგი მზარდი ოდენობით მოიცავს და ინანილებს მსოფლიო საშუალებებს. მონოპოლიამ ბატონობა კონკურენციული ბრძოლა, გავლენის სფეროების გაფართოება, სახელმწიფოს მხრივ მხარდაჭერის გარეშე არა ხდება, შესაბამისად, მიმდინარეობს მონოპოლიათა ინტერესების შერწყმა სახელმწიფოს ინტერესებთან. წყობილება ბუნებრივად გადადის სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის საფეხურზე.

ესაა თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი მიღწევა. მარქსიზმის მიხედვით, მომავალში სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი სახელმწიფო კაპიტალიზმში გადაიზრდება და ეს იქნება მისი უმაღლესი მიღწევა, რომლის იქით სხვა წყობილებაა.

სახელმწიფო კაპიტალიზმი ნიშნავს მინის ნაციონალიზაციას, წარმოების საშუალებების გასახელმწიფოებრიობას და წარმოების გეგმიურობის შემოღებას. ფ. ენგელსი მას კერძო საკუთრების ლიკვიდაციას უწოდებდა კერძო საკუთრების ფარგლებში.

განსაზოგადოების შემდეგი საფეხური უკვე ამ ფარგლების გადალახვას და საზოგადოებრივი საკუთრების გაბატონებას წარმოადგენს. ეს კი უკვე კაპიტალიზმი აღარაა.

ძალზე მოკლედ, ასეთია საზოგადოებრივი განვითარების კაპიტალისტური გზა. ამ კონცეფციის მიხედვით, თანამედროვე კაპიტალიზმი განვითარების მეხუთე, სახელმწიფო-მონოპოლისტურ საფეხურზეა. შესაბამისად, ნაადრევია ფიქრი და მცდელობა რევოლუციური თუ მშვიდობიანი გზით კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისთვის.

ეს, XXI საუკუნეში. რა იყო ასი წლის წინ და როგორ ეს-

1. ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკები, რომლებიც მოკლებულნი არიან წარმოების საშუალებების ფლობას. იძულებულნი არიან გაყიდონ თავისი შესაძლებლობანი და მიიღონ გარკვეული ანაზღაურება, რომელთა ბედი ხელფასზეა დამოკიდებული.



ახებოდა ვ. ლენინს სოციალიზმზე გადასვლა? თუ ეს საკითხი არ გაშუქდა სქემატურად, სტალინიზმის გაგება შეუძლებელი იქნება.

ვ. ლენინი XIX ს. ბოლოს გამოჩნდა რუსულ რევოლუციურ ასპარეზზე. ამ პერიოდისათვის იმპერიაში ოფიციალურად ბატონყმობა გაუქმებული იყო და ქვეყანა კაპიტალისტური განვითარების გზაზე იდგა. სინამდვილეში ბატონყმობა რჩებოდა საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის ძირითად ფორმად. მიმდინარეობდა ტერორისტული ორგანიზაციების ბრძოლა მისი დაძლევისათვის. ვ. ლენინი ამ ტერორისტული ორგანიზაციების გავლენით ყალიბდებოდა. მარქსიზმს იგი უკვე იდეურად ფორმირებული ეცნობა. ამიტომ ბევრი პრინციპული საკითხი საკამათოდ მიაჩნია. კერძოდ: 1. მარქსიზმის თანახმად, სოციალისტური რევოლუცია შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც საზოგადოების წამყვან კლასებად ბურჟუაზია და პროლეტარიატი (მუშათა კლასი) გვევლინებიან, როცა ისინი საზოგადოების უმრავლესობას წარმოადგენენ. რაც შეეხება რუსეთს, იქ მნიშვნელობა და შეიძლება მოხდეს მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუცია.

ვ. ლენინი მიიჩნევს, რომ მარქსიზმის თეორია რუსეთზე სხვანაირად ვრცელდება. რუსული გლეხური, გაუნათლებელი, ბნელი ქვეყანა (კოლონიებში ცხოვრობდნენ „ტუზემცები“, „საქათმის“ დონის ერები და ა. შ.), მაგრამ რუსი გლეხი ბუნებითაა რევოლუციონერი, სოციალისტი და ამიტომ აქ პროლეტარიატის სიმრავლე არაა არსებითი საკითხი: მისი აზრით, რუსეთში სოციალისტური (პროლეტარული) რევოლუციის წამყვანი ძალა გლეხობა იქნება მუშებთან კავშირში.

მარქსიზმი მიიჩნევდა, რომ რუსის ბუნებაში მყარადაა ჩამჯდარი წვრილმანი მევახშეობის გრძნობა. ჯერ კიდევ იმპერატორი პეტრე პირველი ამას უმატებდა: რუსი მუჟიკი ისეთი ეშმაკია, ერთი რუსი ორ ებრაელს ერთად მოატყუებსო. ვ. ლენინი და შემდეგ ბოლშევიკები ამტკიცებდნენ: რუსი თავისი ბუნებით მშვიდობის და სამართლიანობის მოყვარეა, თითქმის



დაბადებით სოციალისტი და კომუნისტი. ამიტომ რუსეთში რევოლუცია მუშებთან ერთად გლეხოზაც უნდა ეყრდნობოდეს და არ უნდა ელოდეს მუშების მოსახლეობის უმრავლესობად გადაქცევას.

არადა, 1914 წლისათვის მუშები რუსეთის 165 მლნ. მოსახლეობიდან მხოლოდ 1,4 მლნ შეადგენდნენ. ეს რაოდენობა ბევრად შემცირდა მსოფლიო და სამოქალაქო ომების დროს.

2. რუსი, ტერორისტული იდეების მქონე, ვ. ლენინი სოციალისტურ რევოლუციასა და სოციალიზმის მშენებლობასაც ამ გადასახედიდან უყურებდა. მარქსის მიხედვით, მუშათა კლასს (პროლეტარიატს) დასჭირდებოდა პარტიის შექმნა, რომელიც რევოლუციურ ბრძოლაში გაუნევედა ხელმძღვანელობას. ძალაუფლების მოპოვების შემდეგ პარტია შეწყვეტდა არსებობას.

ვ. ლენინი ემიჯნებოდა რუსულ ხალხოსნურ მოძრაობას და იმედს პოლიტიკური პარტიის შექმნაზე ამყარებდა. ბოლშევიკური პარტია, მისთვის ძალაუფლების არა მხოლოდ მოპოვების, არამედ სოციალიზმის აშენების მთავარი გარანტი იყო. პარტიის დიქტატურა შეძლებდა ქვეყნის გარდაქმნას¹.

XX საუკუნის დასაწყისში ევროპასა და ამერიკაში კაპიტალიზმი განვითარების მეორე, მონოპოლისტურ (იმპერიალისტურ) ფაზაში იყო გადასული (განვითარების მეოთხე საფეხურზე მტკიცედ იდგა). რევოლუციონერებს შორის (ფ. ენგელსი აღარ იყო. იგი 1895 წ. გარდაიცვალა) იყო იდეური კამათი: როგორ უნდა შეფასდეს მონოპოლისტური კაპიტალიზმი. დადგა სოციალისტური რევოლუციის პერიოდი თუ არა.

რუსეთი ამ დროს კაპიტალისტური განვითარების მესამე,

1. ცნობილია, რომ რუსეთში მოღვაწე ყველა რევოლუციური პარტიისაგან სხვაობით, ბოლშევიკური პარტია ტერორისტული მოქმედების სიძლიერითაც გამოირჩეოდა. 1917 წ. ამერიკიდან დაბრუნებული ლევ ტროცკი, თავისი იდეურ-ფინანსური სიძლიერის გამო, ბევრი პარტიისათვის სასურველ შენაძენს წარმოადგენდა. მან ყველა სხვა ძალას ბოლშევიკური პარტია ამჯობინა. როცა ჰკითხეს: რატომ ბოლშევიკებიო, უპასუხა, იმიტომ, რომ ესენი ყველაზე აშკარად არიან საბრძოლველად მომართულებიო.



მანქანური წარმოების საფეხურზე იყო. თან ეს დონე მხოლოდ ხუთ სამრეწველო ცენტრში (პეტერბურგი, მოსკოვი, ურალი, დონბასი, ბაქო) იყო მიღწეული. დანარჩენი უზარმაზარი ქვეყანა კვლავ ფეოდალიზმის არტახებში გმინავდა. აშკარად იგრძნობოდა ბურჟუაზიული რევოლუციის გარდაუვალობა.

როგორი უნდა ყოფილიყო რადიკალური რევოლუციონერის პოზიცია? ვ. ლენინი მიიჩნევდა, რომ რუსეთში, მართალია, ბურჟუაზიული რევოლუცია მნიშვნელოვან, მაგრამ შესაძლებელია მისი გადაზრდა სოციალისტურში. სქემა ასე გამოიყურებოდა: მოწინავე ქვეყნები ერთიან იმპერიალისტურ სისტემას წარმოადგენდნენ, სადაც ერთი მათგანის შიგნით მომხდარი ცვლილება სხვების რეაგირებას იწვევდა. თუ რუსეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას (რომელიც გარდაუვალი იყო) მისცემდნენ სოციალისტურ ხასიათს და შეეცდებოდნენ მის ევროპაში გავრცელებას, მაშინ ევროპის მოწინავე ქვეყნები (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი) სოციალიზმის გზაზე დამდგარნი დაეხმარებოდნენ ჩამორჩენილ, მაგრამ რევოლუციურ რუსეთს და სოციალიზმი საბოლოოდ მეტ-ნაკლებად ერთდროულად გაიმარჯვებდა.

ეს შესაძლებლად ჩანდა მარქსიზმის თეორიიდან გამომდინარე. მარქსიზმი მიიჩნევდა, რომ კაპიტალისტური განვითარების შედეგად სოციალიზმისათვის მომნიშვნელოვან ქვეყნებში რევოლუცია არ იქნება ერთჯერადი აქტი. მას ექნება პერმანენტული ხასიათი და შეიძლება სამი ვარიანტით განხორციელდეს:

1. რევოლუცია კაპიტალისტური განვითარების უმაღლეს საფეხურზე შეიძლება განხორციელდეს მშვიდობიანი ფორმით ან საჭირო გახდეს ძალის გამოყენება. ძალაუფლების პროლეტარიატის (მშრომელების) ხელში გადასვლა რევოლუციის მხოლოდ დასაწყისია. კაპიტალიზმის წიაღში სოციალისტური ურთიერთობანი არა ყალიბდება. ძველ ურთიერთობათა მსხვერველს და ახლის დამკვიდრებას შეიძლება 10-15-25 წელი დასჭირდეს. შესაბამისად, ამ წლების მან-



- ძილზე რევოლუციას ექნება განუწყვეტელი (პერმანენტული) ხასიათი;
2. სოციალისტური რევოლუცია ერთ ქვეყანაში ბიძგს მისცემს რევოლუციას სხვა ქვეყნებში და იგი მეტ-ნაკლებად ერთდროულად გაიმარჯვებს რამდენიმე მოწინავე ქვეყანაში მაინც. ამ შემთხვევაშიც რევოლუციას ექნება პერმანენტული ხასიათი;
 3. თეორიულად დასაშვებად იყო მიჩნეული, რომ რევოლუცია დაიწყებოდა კაპიტალისტურად შედარებით სუსტ ქვეყანაში, იგი გავრცელდებოდა მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და იგი, საბოლოო ანგარიშით, გაიმარჯვებდა რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში. რაც შეეხება რევოლუციის დამწყებ, შედარებით განუვითარებელ ქვეყანას, მას სხვების დახმარებით მოუწევდა ბრძოლისა და წინსვლის დამატებითი საფეხურების გავლა, სანამ სასურველ სოციალიზმს მიაღწევდა.

ვ. ლენინი სოციალისტური პერმანენტული რევოლუციის ამ მესამე ვარიანტის იმედად იყო. ამბობდა: რუსეთი დაიწყებს, გერმანია-ინგლისი გააგრძელებენ და ბოლოს ყველა იზეიმებს გამარჯვებას.

მატერიალისტი და პრაქტიკაზე ორიენტირებული ვ. ლენინი, ამ საკითხში, აშკარად იდეალისტი იყო.

სიცხადისათვის, კიდევ ერთი მახასიათებელი: მარქსიზმის თანახმად, კაპიტალიზმი ფულად-სასაქონლო ურთიერთობის სისტემაა. სადაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობებია გაბატონებული, იქ კაპიტალიზმია. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის სირთულე და ხანგრძლივობა, დაკავშირებულია არა ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობასთან, არამედ ფულად-სასაქონლო ურთიერთობიდან სოციალისტური პროდუქტ-წარმოების და უფულო განაწილება-გაცვლის დამყარებასთან. ვ. ლენინი ამ საკითხში მტკიცედ იდგა მარქსისტულ პოზიციაზე და მიაჩნდა, რომ რუსეთში სიძნელეს წარმოადგენდა არა ძალაუფლების მოპოვება, არამედ უფულო



წარმოებით ურთიერთობათა დამკვიდრება.

რუსეთში, ოქტომბრის სამხედრო გადატრიალების და ძალაუფლების მოპოვების შემდეგ დაიწყო ბურჟუაზიული რადიკალური ღონისძიებების გატარება: მიწის ნაციონალიზაციას მიაყოლეს წარმოების საშუალებათა გასახელმწიფოებრიობის ღონისძიებანი. ამან მოითხოვა აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელება. საერთო ნაციონალიზაციის ტემპების გამო, ამ პროცესს კაპიტალზე გვარდიული შეტევა უწოდეს.

რაც მთავარია, მოინდომეს ბურჟუაზიული რევოლუციისათვის სოციალისტური ხასიათის მიეცემა. ამ მიზნით, დაიწყო კომუნისტური ღონისძიებების დანერგვა და ეს საბოლოო ანგარიშით, სამხედრო კომუნიზმად მონათლეს.

იმ პერიოდის ყველაზე დიდი სირთულე იყო არა კლასობრივი მტრების მოსპობა, რაც სამოქალაქო ომში გამოიხატა, არც უცხო ქვეყნების სამხედრო ინტერვენციის მოგერიება, ყველაზე ძნელი აღმოჩნდა გლეხობის გარდაქმნა და უკულტურობის (შრომის, ცოდნის) აღმოფხვრა. საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო ე. წ. ბურჟუაზიული სპეციალისტებისათვის მაღალი ხელფასი ეძლია, ებრძოლა მასობრივი საბოტაჟის წინააღმდეგ და იარაღის ძალით ჩაეხშო გლეხთა აჯანყებები.

მართლდებოდა მარქსისტული დასკვნა: წყობილება არ შეიძლება იმაზე მეტი იყოს, რაც არის ეკონომიკა და კულტურა ხალხისა.

ქვეყანა რჩებოდა ლენინური კონცეფციის იმედად: მთავარია, გყავდეს პარტია. იგი უზრუნველყოფს წესრიგს, გადალახავს წინააღმდეგობას, ააშენებს ეკონომიკურ ბაზას, აღზრდის ხალხს.

ვინც გაკვრით მაინც დაინტერესდება ვ. ლენინის თვალსაზრისით სოციალიზმის დამყარების შესახებ, აღმოაჩენს მრავალი მიმართების მრავალ მოწოდებას დათრგუნვის, ჩამოხრჩობის, რეპრესიების მოწოდებით. აქვე დაემატება: ვ. ლენინი, ბუნებრივია, მარტო არ იყო. მას ჰყავდა უამრავი მხარდამჭერი, მოწოდებების განმახორციელი მთელი ე. წ. საბჭოთა კა-



ვშირის მასშტაბით და მთელი საუკუნის მანძილზე (შეიძლება დღესაც). ამ შემთხვევაში კი ითქმება, რომ ისეთი გარდაქმნები, როგორც იყო შრომითი არმიების შექმნა, კომუნების დაფუძნება, ლ. ტროცკის დიდი მოწონებით და მხარდაჭერით სარგებლობდა.

კიდევ ორი საკვანძო საკითხი, რომელიც უშუალოდ ვ. ლენინს უკავშირდება, ესაა: ა) ფულად-სასაქონლო ურთიერთობის ბედი; ბ) ეროვნული საკითხი და საბჭოთა კავშირის შექმნა. ეს ორივე პრობლემა უშუალოდ ვ. ლენინის მიერ იყო განსაზღვრული და სტალინიზმის საფუძველს წარმოადგენდა.

მეცნიერულად დადგენილია, რომ კაპიტალისტური წყობილება (ფორმაცია) სხვებისგან ფულად სასაქონლო ურთიერთობის განუხრელი ბატონობით ხასიათდება. ფული, ხელოსნობა, ალებ-მიცემა, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობის ფორმა, ადრეც იყო, მაგრამ, როგორც გაბატონებული ფორმა, არ არსებობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმის დროს იგი ჩვეულ პოზიციებს ჰკარგავს. საქონელწარმოება სოციალიზმის პირობებში პროდუქტწარმოებით იცვლება. სწორედ პროდუქტწარმოება და უფულო განაწილება-გაცვლა ითვლება სოციალისტური წყობილების საფუძველად.

ვ. ლენინი განუხრელად იზიარებდა ამ მარქსისტულ ფუნდამენტურ დასკვნას. 1918-1920 წლებში ამიტომ ცდილობდნენ საბჭოთა რუსეთში სახელმწიფო კაპიტალიზმის სოციალიზმში გადაზრდას. პარალელურად მოინდომეს რევოლუციური პროცესის ევროპაში გავრცელება. იმედი ჰქონდათ, რუსეთმა დაიწყო რევოლუცია, გერმანია-ინგლისი გააგრძელებდნენ, შემდეგ მოწინავე სოციალისტური გერმანია-ინგლისი (და სხვა) დაეხმარებინან ეკონომიკურად ჩამორჩენილ რუსეთს, აქაც სწრაფად მოხდებოდა აუცილებელი გარდამავალი პერიოდების (საფეხურების) გავლა და საბოლოო ანგარიშით, სოციალიზმი მეტ-ნაკლებად ერთდროულად გაიმარჯვებს ევროპაში.

ამიტომ იყო, რომ სამოქალაქო ომის დამთავრებისა და უცხოური სამხედრო ინტერვენციის მოგერიების კვალობა-



ზე, საბჭოთა რუსეთი შეტევაზე გადავიდა. მოელოდნენ, რომ მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში დაიწყებოდა სოციალისტური რევოლუცია. მსოფლიო იმპერიალისტური განვითარების ლენინური გაგება იძლეოდა ამის თეორიულ საფუძველს. ლ. ტროცკი ეთანხმებოდა ასეთ ლენინურ კონცეფციას და, როგორც სამხედრო საქმეთა კომისარი (სამხედრო მინისტრი), მიესწრაფოდა პოლონეთის სწრაფ გასაბჭოებას. ი. სტალინი არ იზიარებდა ტროცკისტულ ენთუზიაზმს და ვრანგელის დამარცხებას, ყირიმის განთავისუფლებას მიიჩნევდა უპირველეს საქმედ (ამ საკითხზე უკვე იყო მსჯელობა).

არა მხოლოდ ევროპა, ვ. ლენინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელმძღვანელობა მსოფლიო რევოლუციის მოხდენაზე ოცნებობდა და ამ მიზნით წარმართავდა მთელ ენერგიას. 1920 წ. ვ. ლენინი იძლეოდა დირექტივას: ბაქო უკვე დაპყრობილია, აზერბაიჯანი განითვლებულია, საჭიროა ახალი ინიციატივები. ცნობილია, რომ ს. ორჯონიკიძე ითხოვდა ნებართვას, რათა ასევე წარმატებული „სოციალისტური“ რევოლუცია მოეხდინათ საქართველოში. ვ. ლენინი ცალკე ამუშავებდა საქართველოს ანექსიის ვარიანტებს. დროებით ფრთხილობდა¹ და ასკვნოდა: უნდა ვიფრთხილოთ, საქართველოს, სომხეთის, თურქეთის და ირანის დაპყრობა არ უნდა იყოს უახლესი ამოცანა.

ნიშანდობლივია, მსჯელობა იყო დაპყრობაზე და არა სხვა რამეზე. სხვა რამე სიტუაცია მალევე შეიქმნა, როცა მოხდა თურქეთისა და სომხეთის შეთანხმება. ეს საბჭოთა რუსეთს სომხეთის „დაკარგვად“ მიაჩნდა და დაასწრეს თურქეთს. საბჭოთა წითელმა არმიამ ერთ დღეში მოამწიფა სოციალისტური რევოლუცია სომხეთში და რადგან არ არსებობდა პროლეტარიატი, მხარი დაუჭირა არარსებულ საბჭოებს და გაამარჯვებინა საბჭოთა წყობილებას. ამით ერთი დღით დაასწრეს თურქეთს, რომელიც, სავარაუდოდ, ასევე სოციალიზმი-

1. ევროპის სოციალი-დემოკრატიული მოძრაობა დიდი ინტერესით სწავლობდა საქართველოში მიმდინარე სოციალ-დემოკრატიულ გარდაქმნებს და მხარს უჭერდა



საკენ მიისწრაფოდა მუსტაფა ქემალ ათათურქის მეთაურობით.¹

საბჭოთა რუსეთმა კავკასიის ანექსია (დაპყრობა) საბოლოო ანგარიშით კი შეძლო, მაგრამ ევროპის მიმართულებით მარცხი განიცადა. იმედი, რომ გერმანია (ძირითადად) გასაბჭოვდებოდა, არ გამართლდა. შესაბამისად, „სოციალისტური“ რევოლუციის ექსპორტი არ შედგა. რუსეთს ამ მხრივ მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა.

გასაბჭოებულ გლეხურ გაუნათლებელ რუსეთს იმპერიალისტური ქვეყნები ბოიკოტს უცხადებდნენ. იქ მიმდინარე ე. წ. სოციალისტური ღონისძიებები აფრთხობდა ევროპის ბურჟუაზიას. ამავე დროს, სოციალისტური ღონისძიებები არც რუსეთის მოსახლეობას აწყობდა. მართლდებოდა მარქსისტული დასკვნა იმის შესახებ, რომ სოციალიზმთან მიმართებაში წვრილი გლეხობაც კი რეაქციულ მასას წარმოადგენდა. აღარაა მსჯელობა მსხვილ და საშუალო გლეხობაზე, წვრილბურჟუაზიულ მასაზე, ინტელიგენციაზე (სპეციალისტებზე). ისინი თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას მიესწრაფოდნენ. ჩვეული საქონელწარმოებისა და ფულით ოპერირების ნაცვლად, უფულო პროდუქტწარმოება და გეგმიური განაწილება მათთვის უცხო ღონისძიებად რჩებოდა.

სანამ მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი და ინტერვენცია, მოსახლეობა გაჭირვებას, გაურკვევლობას, უიმედობას იტმენდა. მშვიდობის მიღწევის კვალობაზე, შინაგანმა სოციალ-ეკონომიკურმა პრობლემებმა იჩინეს თავი. იწყებოდა საყოველთაო საბოტაჟის პროცესი. წითელი ტერორი სიტუაციას, რევოლუციურ (კონტრრევოლუციურ) მოძრაობაში გადაზრდას უქადდა. გამოსავლის ძიებაში შესაძლებლად მიიჩნიეს ნაწილობრივ უკან დახევა, წვრილბურჟუაზიული ღონისძიებების გატარება. ეს ცვლილებები ახალი ეკონომიკური პოლიტიკის, ნეპის სახელწოდებითაა ცნობილი. ისტო-

1. სომხეთის მთავრობამ მხოლოდ ის მოასწრო, რომ სადავო ტერიტორია საქართველოსთან ე. წ. ნეიტრალური ზონა ალავერდი-ლორე-სანაინოს 20 კმ სასაზღვრო ზოლი, საქართველოს შემადგენელ ნაწილად ცნო



რიაში იგი ასახულია, როგორც სასურსათო გაწერის შეცვლა გადასახადებით. სინამდვილეში იგი მთელ რიგ ღონისძიებებს მოიცავდა.

ვ. ლენინს ნეპი საწყისში წარმოედგინა, როგორც უფულო გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის. 1921 წ. დაწყებული ეს გარდაქმნა საწყის მიზანს გასცდა. უკვე ერთი წლის შემდეგ ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ ნეპი, როგორც უფულო გაცვლა სოფელსა და ქალაქს შორის, ფაქტობრივად, ჩვეულებრივ, ფულად-სასაქონლო ურთიერთობად ჩამოყალიბდა (ნეპი-1 გადაიზარდა ნეპი-2). საბოლოო ანგარიშით, ვ. ლენინმა აღიარა: რუბლი (ფული) ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდაო. ფაქტობრივად, სოციალისტური გარდაქმნების კურსმა მარცხი განიცადა.

ნეპის არსის, მიზანდასახულობის, ხანგრძლივობის საკითხი, სხვადასხვანაირადაა შეფასებული მეცნიერთა მხრივ¹. მხოლოდ ერთი, ნეპი, რომლის არსიც პროდუქტწარმოებიდან საქონელწარმოებაზე გადასვლა იყო, გახდა საფუძველი სტალინური გარდაქმნებისა და ამდენად იგი სტალინიზმის პრობლემატიკას განეკუთვნება.

ვ. ლენინის უდიდეს დამსახურებად ეროვნული საკითხის თეორიული გააზრება და პრაქტიკული განხორციელება ითვლება. მისი თეორიული კონცეფცია, ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, სამოქმედო პროგრამად ჩამოყალიბდა და სსრკ (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი) შექმნით დაგვირგვინდა. შესაბამისად, შეიქმნა სტალინიზმის პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძველი.²

მრავალეროვანი რუსეთის იმპერიაში ეროვნული საკითხი ყოველთვის მწვავედ იდგა. ვ. ლენინი ეთანხმებოდა ევროპის წამყვანი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების დასკვნას ჩაგრული ერების თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმ-

1. რამდენადაც პრობლემა ძირითადად განხილულია, მათ შორის ავტორის მიერ, აქ მხოლოდ აღნიშვნაა მასზე.

2. ეროვნული პრობლემატიკის ლენინური კონცეფცია ავტორს ფართოდ განხილული აქვს ნაშრომში „რევოლუციური ანექსია“. აქ მხოლოდ მოკლე, ზოგადი მიმოხილვაა.



ნიფოს შექმნის უფლების შესახებ.

ამავე დროს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მრავალეროვნული იმპერიების დაშლას ცალკე ერთეულებად.

გამოსავალს იგი ასე ხედავდა: სოციალისტური რევოლუციის განხორციელების შემდეგ მსოფლიოს მსხვილი (მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე) ერები შექმნიდნენ ერთიან ფედერაციულ რესპუბლიკას. პარალელურად წვრილი ერები შეერწყმოდნენ, მსხვილ ერებს. ასიმილაციის პროცესი წარიმართება ისე, როგორც მოხდა სხვადასხვა ეროვნებების მოსახლეობის „გათქვეფა“, „შერწყმა“, „შედულება“ ამერიკის შეერთებულ შტატებში ან ისე, რბილად და დაჩქარებულად, როგორც ამას მეფის ნაცვალის ვორონცოვი აკეთებდა საქართველოში.

შესაბამისად, კოლონიზაციისა და ასიმილაციის ის პროცესი, რომელსაც საქართველოში მეფის ნაცვალის ახორციელებდა, სრულიად მისაღები იყო ბელადისა და ბოლშევიკური პარტიისათვის.

ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოში საქართველო მოსპობის გზაზე იდგა. ქვეყანა დაყვეს ორ გუბერნიად, გუბერნიები მაზრებად, უეზდებად და ა. შ.

საზოგადოება გაიხლიჩა წვრილ ერთეულებად, მათ ჩაუსახლეს უცხოტომელები და დაინყეს მათი ურთიერთდაპირისპირება. ვთქვათ, თუშები, სვანები, აჭარლები გამოაცხადეს სხვა ეთნოსებად. მათი საზომით, მეგრელები ხან ქართველები იყვნენ, ხან ქართველებთან დაპირისპირებული აფხაზები. თავად აფხაზეთში 17-18 სს. მთავარ შარვაშიძეების მიერ ჩასახლებული ადილ-აბაზები აფხაზებად გამოაცხადეს, ხოლო აფხაზები ხან მეგრელები იყვნენ, ხან ქართველებად აცხადებდნენ. აღარაა მსჯელობა ოსების, სომხების კომპაქტურად ჩასახლება და ქართველებთან მათ დაპირისპირებაზე.

გასაბჭოების შემდეგ ყოველივეს ემატებოდა ლენინური კონცეფციის პრაქტიკული ხორცშესხმა, რომლის თანახმად ყოველი წვრილი ეთნოსის პოლიტიკური ფორმირება უნდა



მომხდარიყო ისე, რომ არც ერთს არ სცოდნოდა ისტორიული საზღვრები, არა ჰქონოდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, სახელმწიფო ენა და ა. შ.

ბოლშევიკური პარტიის ცნობილმა ლიდერებმა და მათ შორის სერგო ორჯონიკიძემ გაიარა სწავლების ლენინური სკოლა და კარგად შეითვისა: საბჭოთა წყობილების პირობებში მცირე ეთნოსებს არ სჭირდებათ ცალკე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, სახელმწიფო საზღვრების ცოდნა, სახელმწიფო ენა, მშობლიურ ენაზე სკოლა, საგანმანათლებლო-კულტურული დაწესებულებები და ა. შ. ყველაფერი უნდა იყოს საერთო, ყველაფერი რუსული, რადგან მცირე ერები (ეთნოსები) სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში მოისპობიან, როგორც ცალკე ერთეულები შეერწყმებიან, შედუღაბებდებიან“ დიდ რუს ერს და ასე განაგრძობენ გათქვეფილ არსებობას.

ლენინური კონცეფცია პრაქტიკულადაც ხორციელდებოდა. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1921 წელსვე დაისვა საკითხი ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის გაერთიანებისა ერთ ფედერაციად. თანაც ეს პროცესი ვ. ლენინის აზრით, ისე უნდა წარმართულიყო, რომ თვითონ კავკასიის რესპუბლიკებს ეთხოვათ მოსკოვისთვის მათი გაერთიანება. 1929 წელს ს. კიროვი „დახურულ“ მოხსენებაში აღიარებდა: მოსკოვს ასე ერჩია. ბაქო-ბათუმის ხაზი ერთი ცენტრიდან ყოფილიყო მართული.

დასამალი არაა, რომ ამიერკავკასიის სამ მსხვილ გაერთიანებას (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) არაფერი ჰკითხეს. მით უფრო არაფერი ჰკითხეს ამ რესპუბლიკებში შემავალ წვრილ ერთეულებს, მხოლოდ ეგაა, თანხმობის (უფრო ზუსტად, ბოლშევიკური ადგილობრივი ინიციატივის) საწინააღმდეგოდ, სომხეთმა მოითხოვა, გაეთვალისწინებინათ მისი ტერიტორიული სიმცირე და მისთვის გადაეცათ ტერიტორიები საქართველოსგან ე. წ. ნეიტრალური ზონა – ლორე, ალავერდი, სინაინის მიდამოები და აზერბაიჯანისგან ზანგეზური და მიმდებარე ტერიტორიები. შეთანხმება სიტყვიერად შედგა, კომპენსაციის სახით აზერბაიჯანს საქართველოსგან ასევე



უნდა გადასცემოდა ე. წ. ზაქათაის მაზრა (ეს მაზრა 1920 წ. შეთანხმებით რუსეთმა სცნო საქართველოს კუთვნილებად). ამიერკავკასიაში ასეთ სოციალისტურ შეთანხმებას, ეროვნული საკითხის ასეთ დარეგულირებას, უპირველესი ბოლშევიკი ს. ორჯონიკიძე ედგა სათავეში. შესაბამისად, ლენინური თეორიული ცოდნით დამძიმებული ადგილობრივი ბელადი, თუ სჭირდებოდა, მაშინვე ტრიალითაც აგვარებდა საქმეს (რა, ყოფილ ტერორისტს მისი ხმარება გაუჭირდებოდა?).

მხოლოდ ეგაა, როცა შეთანხმების სიხარულით გამონვეულმა სიმთვრალემ გაიარა, აზერბაიჯანმა უკან წაიღო სომხეთისთვის ტერიტორიების გადაცემის პირობა. სამწუხაროდ, დაავიწყდა ასევე უარი ეთქვა საქართველოდან ზაქათაის მაზრის მიღების პირობაზე. ქართველები? ვინ ჰკითხავდა ქართველებს ვ. ლენინის ნიჭიერი და ერთგული მოწაფე ს. ორჯონიკიძე კურირებდა საკითხის მოგვარებას¹.

საქართველო ყოველთვის ითვლებოდა დაუმორჩილებელ მხარედ. როცა რუსეთმა კავკასიის დაპყრობა დაიწყო, სახელმწიფოებრივი ორგანიზება მხოლოდ საქართველოში იყო. ახლანდელი აზერბაიჯანი 15 სახანოდ იყო დაყოფილი. იქ ერთიანი სახელმწიფო მხოლოდ რუსეთის წყალობით შეიქმნა და აზერბაიჯანული ენაც მხოლოდ 1935 წ. ეწოდა თურქულს. ამ სახანოებიდანაც განჯა-ნახჩევანი მეფე ერეკლეს ყმადნაფიცებს (მოხარკეებს) წარმოადგენდნენ. რაც შეეხება სომხეთს, აქ ერთი ერეკლის სახანო იყო და ისიც ერეკლეს ეკუთვნოდა. ერეკლეს უფროსი ვაჟის გიორგის საუფლისწულო მამულს დღევანდელი ქ. ყაზახი წარმოადგენდა.

1918 წლიდან გაერთიანებული საქართველოს ყველაზე დი-

1. აქვე მცირე განმარტება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. თანამედროვე ადილ-აფხაზებს მტკიცედ სწამთ, რომ 1921 წ. რუსეთის IX წითელი არმიის დახმარებით შექმნეს აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც 1931 წლამდე სრულიად განკერძოებული იყო ქართული სახელმწიფოსგან.

საინტერესოა, ვ. ლენინს, მოსკოვს, ს. ორჯონიკიძეს როგორ გამოჩნათ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის რესპუბლიკის გაერთიანება ამიერკავკასიის ფედერაციაში? პასუხი არ არსებობს.



დი ტერიტორია რუსეთმა ჩამოაჭრა. 1920 წლის მაისის „შეთანხმებით“ საქართველოს ჩამოაჭრა მდინარე ფსოუს ჩათვლით აფხაზეთი, ჩრდილოეთი სვანეთი და რაჭა. ჩრდილოეთ დვალეთზე მსჯელობა აღარაა. ჩმის (ჩქიმის, ჩემის) და ქურთაულის ხეობები რუსეთმა ოსეთის დაპყრობის დროს მიისაკუთრა.

ასეთი იყო ამიერკავკასიის ზოგადი სურათი. იქ სამი რესპუბლიკის „ძმური“ გაერთიანების დროს ერთიან ფედერაციაში.

1922 წ. ვ. ლენინმა გადაუდებელ ამოცანად უკვე საბჭოთა კავშირის შექმნა დასახა. შეიქმნა სპეციალური მათორგანიზებული კომისია, რომელსაც სათავეში ეროვნებათა საქმის კომისარი სტალინი ჩაუყენეს. იმ დროს რევოლუციის ამ ორ ბელადს შორის უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა არსებობდა – იმდენად ახლო და მტკიცე, რომ ვ. ლენინი ი. სტალინს თავის უმცროს დას მარია ილინიჩნას სთავაზობდა ცოლად.

ი. სტალინმა შესანიშნავად იცოდა ვ. ლენინის კონცეფცია ეროვნული საკითხის ბოლშევიკური გადანყვეტის შესახებ. კომისიის მიერ რამე სიახლის შეტანა გაერთიანების პროექტში, უეჭველად გამოიწვევდა თავად ლენინის და ყველა „ჩასაფრებული კოლეგის“ მძაფრ რეაქციას. ვითარებიდან გამომდინარე, ვ. ლენინის მხრივ მუდმივი „ყურადღების“ ვითარებაში, შემუშავებული იქნა გაერთიანების პროექტი. იგი ითვალისწინებდა:

1. რეალურად არსებობდაოთხი რესპუბლიკა: რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია, უკრაინა და ამიერკავკასიის ფედერაცია. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული იყვნენ შუა აზიის, შორეული აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ეთნოსები. ასევე ამიერკავკასიის ფედერაცია აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს აერთიანებდა, მაგრამ გაერთიანების პროექტი ერთ ერთეულს წარმოადგენდა (ბევრის სურვილების მიუხედავად, იქ არც აფხაზეთი იანგარიშებოდა,



როგორც დამოკიდებული ერთეული, არც აჭარა და ა. შ.).

3. პროექტის მიხედვით, გაერთიანების შემთხვევაში, სამი რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდა.

პროექტი ცნობილი და მოწონებული იყო ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის მიერ. მათ შორის ვ. ლენინის მიერ გადამწყვეტილი იქნა პროექტის განსახილველად და მოსაწონებლად გადასცემოდათ რესპუბლიკებს. მოხდა გაუთვალისწინებელი: პროექტი ერთუზიანებით მოიწონა ყველა ერთეულმა, საქართველოს ხელმძღვანელობის გარდა. ატყდა ხმაური. ვ. ლენინმა ითავა პროექტის გადამუშავება. ქართველების გამოთქმული პრეტენზიები ი. სტალინის „შეცდომებად შეფასდა“.

ვ. ლენინმა დააშოშმინა ქართველები. პროექტში შეიტანეს ცვლილება. პროექტის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკები ერთიანდებოდნენ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. ცვლილებების მოხდენის შემდეგ ჩაინერა, რომ ერთიანდებოდნენ რუსეთთან ერთად. სხვაობა? არა რუსეთის შემადგენლობაში, არამედ რუსეთთან ერთად.

ბოლოს საერთო შეთანხმება შედგა და 1922 წლის 30 დეკემბერს საზეიმოდ გამოაცხადეს საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს შექმნის საკითხი. რამდენად რუსიფიკატორული იყო სტალინის პროექტი და რამდენად ინტერნაციონალური ლენინის მიხედვით შექმნილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ცხოვრებამ შეამოწმა და შეაფასა.

შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს ორი ფაქტი: 1923 წელს ი. სტალინმა საბჭოთა სახელმწიფოს ფედერაციული გაერთიანება უწოდა და ეს აღარ გაუმეორებია. რატომ? იმიტომ და იმიტომ. დასაწყისში საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო ერთპალატიანი იყო. უფრო ზუსტად, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს უწოდეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭო. იმავე წელს ი. სტალინის წინა-



დადებით უმაღლესი საბჭო გახდა ორპალატიანი – დამატა ეროვნებათა საბჭოს პალატა.

ვინც საბჭოების დამფუძნებელი ყრილობის დელეგატთა შემადგენლობით დაინტერესდება, ნახავს, რამდენად თანასწორუფლებიანი იყვნენ რესპუბლიკები და მიხვდება ლენინური ეროვნული პოლიტიკის მთელ საიდუმლოებას.

აქ მხოლოდ ერთი რჩევაა: 1922 წლის 30 დეკემბრის საბჭოების ყრილობის მონაცემთა პარალელურად უნდა გააანალიზოს ვ. ლენინის სტატია ავტონომიზაციის შესახებ.

დამატებით გათვალისწინებული უნდა იქნას ვ. ლენინის ბრძნული აღიარება: გარუსებული მოქალაქე, რუსზე მეტი შოვინისტი (მან დედით ებრაელმა და მამით ბოლომდე გაუეკვეველი ეროვნებისამ [ფიქრობენ, მამა შეიძლება, ჩუვაში ყოფილიყო, შეიძლება, ყაზანელი თათარი, შეიძლება... მაგრამ არა რუსი], კარგად იცოდა, გარუსების საზღაური).

ვ. ლენინმა შექმნა მრავალეროვანი ცენტრალიზებული რესპუბლიკა რევოლუციამდე არსებული იმპერიის მსგავსად.

III. რუსეთის განვითარების თავისებურება

რუსეთის, საბჭოთა იმპერიის, თეორიულ-იდეოლოგიური და პოლიტიკურ-ეკონომიკური საფუძვლების შემქმნელი ვ. ლენინი 1924 წ. იანვარში გარდაიცვალა. მან დატოვა ნახევრად ფეოდალური, ნახევრად კაპიტალისტური და მცირედ სოციალისტური ორიენტაციის მქონე ქვეყანა.

1920 წლის მაისიდან მოყოლებული იგი მძიმედ ავადმყოფობდა, ძირითადად, იმყოფებოდა კრემლიდან და თანამშრომლებიდან მოშორებით, ი. სტალინის მეთვალყურეობის ქვეშ და მკურნალობასთან ერთად, შეძლებისდაგვარად, განაგრძობდა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. პერიოდულად იგი ძალღონეს იკრებდა და ცდილობდა, არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი არ გადაწყვეტილიყო მისი უშუალო კონტროლის გარეშე.

შესაბამისად, უკანასკნელი პერიოდის სტატია-წერილები, კარგი ანალიზის შემდეგ, იძლევა საშუალებას, მოხდეს ახალი



წყობილების შესახებ თვალსაზრისის შეფერება.

ძირითადი, დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, არის აღიარება ქვეყნის განვითარების ვოლუნტარისტული კონცეფციის მარცხის შესახებ.

ევროპული ქვეყნების მიღწეული განვითარების დონე ცხადყოფდა მარქსისტული მოძღვრების პრაქტიკული განხორციელების შეუძლებლობას. საერთო ცივილიზაციური დონე შორს იყო სოციალიზმის პრინციპების რეალიზაციისაგან. რუსეთი მით უფრო ჩამორჩებოდა არსებულ დონეს. მოგვიანებით ი. სტალინი მიუთითებდა, რომ ევროპამ 50-100 წლით გაუსწრო რუსეთს. იგი აღიარებდა ჩამორჩენის რეალურ ფაქტს და სახავედა უმოკლეს დროში მისი დაძლევის ამოცანას.

ვ. ლენინის კონცეფცია ფეოდალურ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ, რეალიზაციის პროცესში იყო და უაღრესად დიდ სიძნელეებს აწყდებოდა (შეიძლება ითქვას, მარცხს განიცდიდა).

ვ. ლენინის თეორიული გათვლა და იმედი, რომ სოციალისტურ რევოლუციას გლეხური რუსეთი დაიწყებდა, მას კაპიტალისტურად მაღალგანვითარებული გერმანია და ინგლისი დაეხმარებოდნენ და სოციალიზმი მეტ-ნაკლებად ერთდროულად გაიმარჯვებდა, შეუსრულებელი ამოცანა აღმოჩნდა. მისი და ლევ ტროცკის დიდი მცდელობის მიუხედავად, რევოლუციის ექსპორტი ვერ განხორციელდა. მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია, დაწყებული რევოლუციური გამოსვლების მიუხედავად, შორს იყო სოციალისტური რეალობისაგან. რუსეთმა ვერ მოახერხა რევოლუციის ექსპორტი, ვარშავასთან წითელი არმია დამარცხდა. პერმანენტული რევოლუციის ლენინ-ტროცკისტულმა ვარიანტმა კრაზი განიცადა. არადა, ორივე აღიარებული ბელადი იმის იმედით იყვნენ, რომ ევროპა ფუნდამენტურ დახმარებას გაუწევდა და გლეხურ რუსეთს სოციალიზმის რელსებზე დააყენებდა.

რუსეთის ცდამ (რევოლუციურმა გაფაფხურებამ) ერთი რამ ცხადყო. პერმანენტული რევოლუციის მარქსისტული თვალ-



საზრისი მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ითვალისწინებდა და არა ჩამორჩენილ, გლეხურ ქვეყანას.

ვ. ლენინის დასკვნა რუსეთში გლეხების რევოლუციურ-სოციალისტური ბუნების შესახებ მცდარი აღმოჩნდა. მათი წვრილბურჟუაზიულ-მესაკუთრული ბუნება ლენინურმა რეპრესიებმა ვერ შეცვალა. გლეხობამ აჯანყება დაიწყო სოციალიზმის წინააღმდეგ.

შეუძლებელი აღმოჩნდა ასევე, სახალხო მეურნეობის მოწყობა პროდუქტთწარმოებისა და გაცვლის პრინციპზე. ის, რაც სოციალისტური ურთიერთობის განმსაზღვრელი უნდა გამხდარიყო, გლეხურმა, ჩამორჩენილმა რუსეთმა ვერ იგუა.

1921 წლიდან მოყოლებული გადავიდნენ ე. წ. ნეპის (ახალი ეკონომიკური პოლიტიკის) რელსებზე. თავდაპირველად იგი დროებით ღონისძიებად იყო მიჩნეული. ვ. ლენინი 1922 წ. უკვე მოითხოვდა მის გაუქმებას. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და ქვეყანა თანდათან ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს დაუბრუნდა. ვ. ლენინმა აღიარა: რუბლი უფრო ძლიერი აღმოჩნდაო.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობა კაპიტალისტური წყობილების საფუძველთა საფუძველია. უწოდეს მას სოციალისტური, მაგრამ არსებითი არსია და არა ფორმა.

ყველაზე დიდი, რადიკალური, რასაც საბჭოთა წყობილებამ მიაღწია, იყო წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების დონე.

ლოზუნგი: მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს, მიმზიდველი პროპაგანდისტული მონოდება იყო. ლოზუნგი ფორმალურად განახორციელეს, მაგრამ – შედეგი?

საბჭოთა წყობილების არსებობის მთელ მანძილზე ეს ლოზუნგი, როგორც აბრა მალაზიას, ამშვენებდა კონსტიტუციას, მაგრამ შედეგს ვერ იძლეოდა. რატომ?

თეორიულად პასუხი თავიდანვე იყო ცნობილი. მარქსიზმი არაორაზროვნად აცხადებდა, რომ თუ რევოლუციას მოინდომებდნენ კაპიტალისტურად ნაკლებგანვითარებულ ქვეყ-



ანაში, შედეგად მიიღებდნენ შემდეგს: უკეთეს შემთხვევაში შეძლებენ სიღარიბის თანაბარ განაწილებას საზოგადოების წევრებზე. კეთილდღეობის ნაცვლად სიღატაკის განაწილება კვლავ გამოაცოცხლებს იმ უარყოფით მოვლენებს, რომლის წინააღმდეგაც ხდება რევოლუცია. ადამიანები დაინახავენ, რომ რევოლუციის შედეგად დამყარებული წყობილება არასამართლიანია და ზურგს შეაქცევენ თეორიას. ფ. ენგელსი მიიჩნევდა, რომ ეს იქნება ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს. კაპიტალისტური წყობილების განვითარების დაბალ საფეხურზე სოციალისტური წყობილება ვერ განხორციელდება, თუ ამისათვის მზად არ არის ეკონომიკა ქვეყნისა და კულტურა ხალხისა – იყო მარქსისტული დასკვნა.

ფ. ენგელსი ასევე აფრთხილებდა რუს რევოლუციონერებს: რუსეთში მნიფდება ბურჟუაზიული რევოლუცია და მოხდება მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლუცია. 1895 წ. გაკეთებული ეს დასკვნა, რუსმა რევოლუციონერებმა „ვერ გაიგეს“. მათი ძირითადი ბირთვი ამიტომ იყო გაყოფილი „მენშევიკებად“ და „ბოლშევიკებად“.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ნაწილის ხელმძღვანელები, ბევრად უფრო მცოდნენი მარქსისტული მოძღვრებისა თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდისა. გ. პლეხანოვი, რომლის ნაშრომზეც მარქსისტულად აღიზარდა და დაკვალიანდა ვ. ლენინი, კატეგორიულად უარყოფდა სოციალიზმის შესაძლებლობას რუსეთის იმპერიაში. 1918 წ. კიდევაც ბრძანა, რომ რევოლუციონერებს იარაღისთვის ხელი არ უნდა მოეკიდათ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე, „ბოლშევიკური“ ნაწილი, პირიქით, მუდამ რადიკალური ღონისძიებების მომხრენი იყვნენ. მიიჩნევდნენ, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება და სოციალიზმის მომწიფება შორეული მომავლის საქმეა. ფიქრობდნენ, რომ თუ თეორია ამბობს, ჯერ მატერიალური პირობების მომწიფება, შემდეგ რევოლუცია,



შეიძლება მისი შებრუნებით განხორციელება: ჯერ რევოლუცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება, შემდეგ იძულებით ეკონომიკის განვითარება, მატერიალური პირობების მომზადება, პარალელურად ახალი ტიპის ადამიანის აღზრდა-ჩამოყალიბება და სოციალისტური წყობილების შექმნა.

ვ. ლენინის გარდა, საბჭოთა სახელმწიფოში იყვნენ მეტნაკლებად თეორიულად მომზადებულები: გრიგორი ზინოვიევი (რადომისლოვი). იგი პარტიის წევრი იყო 1901 წლიდან და ლენინთან ერთად ცხოვრობდა საზღვარგარეთ. თავს მიიჩნევდა არანაკლებ მცოდნედ. ამიტომ იყო 1917 წ. ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგი. საბჭოთა პერიოდში ითვლებოდა რევოლუციის ერთ-ერთ ბელადად. იყო სამხედრო კომუნიზმისა და სამხედრო ტერორის მომხრე, 1926 წლამდე ეკავა „მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის“ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. გასაკვირი არაა, რომ ამ მხრივ თავს ლენინის შემცველად მიიჩნევდა და ტოლად არავის სცნობდა. მისი უტყუარი მომხრე ყოველთვის იყო ლევ კამენევი (როზენფელდი). ისიც 1901 წ. ითვლებოდა პარტიის წევრად. 1914 წ. დააპატიმრეს. გადასახლებაში დაუმეგობრდა ი. სტალინს. 1917 წ. თებერვლის რევოლუციამ ორივე გადასახლებიდან გაათავისუფლა. არა ჰქონდა რა საკუთარი პრინციპული პოზიცია, იგი, ძირითადად, ზინოვიევის პოზიციას ითავსებდა.

სულაც არ იყო გასაკვირი, რომ ვ. ლენინის გარდაცვალების შემდეგ გ. ზინოვიევი თავს მისი საქმის გამგრძელებლად და პირველ მემკვიდრედ მიიჩნევდა. ამ საქმეში ი. სტალინი მისთვის დამხმარე მოკავშირე უნდა ყოფილიყო.

პარტიის ხელმძღვანელობაში იყვნენ სხვა თეორეტიკოსებიც: პიატაკოვი, ბუხარინი, რიკოვი, რომელთაც შეიძლება შინაგანად სურვილი ჰქონდათ ლიდერობისა, მაგრამ ისეთ ავტორიტეტს, როგორც ლევ ტროცკი იყო, გზას ვერ გადაუღობავდნენ.

ლევ ტროცკი (ბრონშტეინი) რუსეთში რევოლუციური მოძ-



რაობის უძველეს ნევრს წარმოადგენდა. მოხდა ისე, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაყოფის დროს, იგი არც ერთი მხარის ნევრი არ გახდა და ასე უფრაქციო რევოლუციონერად დარჩა 1917 წლამდე. 4 მაისს დაბრუნდა საზღვარგარეთიდან და მიემხრო ბოლშევიკებს.

მასთან კავშირით ბოლშევიკებმაც მოიგეს. ტროცკი პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე იყო და ხელი შეუწყო საბჭოს ბოლშევიზაციას. ამავე დროს ტროცკის ზურგს ამერიკული ფინანსები უმაგრებდა, რაც ძალიან სჭირდებოდა პარტიას. ყოველივეს ემატებოდა ტროცკის რადიკალიზმი. იგი მომხრე იყო შეიარაღებული აჯანყების, რადიკალური რევოლუციური ღონისძიებების. თუ გავიხსენებთ, რომ ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების წამყვანი ორატორი, სამოქალაქო ომის დროს რევოლუციური სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელი ტროცკი გახლდათ, გასაკვირი აღარ იქნება მისი ამბიციები. თავს იგი ლენინზე მეტად დამსახურებულად მიიჩნევდა (შესენიებისათვის უნდა მიეთითოს: ტროცკი, პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე, ფაქტობრივად, რუსეთის საბჭოების ცენტრს ხელმძღვანელობდა და დიდ როლს ასრულებდა ბოლშევიკების წარმატებებში. ვ. ლენინმა როცა შეიარაღებული აჯანყების დღედ 24 ოქტომბერი მოითხოვა დაჟინებით, ჰქონდა მარტივი, ეშმაკური გათვლა. ტროცკის თაოსნობით 25 ოქტომბრის დილით უნდა დაწყებულიყო რუსეთში საბჭოების მეორე ყრილობა. გადანყვეტილი იყო. ტროცკი გახსნიდა რა ყრილობას, გამოაცხადებდა საბჭოების მიერ ძალაუფლების აღებას. შესაბამისად, თუ მოვლენები ასე განვითარდებოდა, ტროცკი ხდებოდა რევოლუციის ბელადი. ლენინი მეორე რიგებში ჩამოქვეითდებოდა. ვ. ლენინმა იაზრა: თუ აჯანყებას დაიწყებდნენ 24 ოქტომბერს, დაასწრებდნენ ტროცკის, ბელადობა მას რჩებოდა გამარჯვების შემთხვევაში. თუ აჯანყება ვერ გაიმარჯვებდა იმავე დღეს, მეორე დღეს, დილით, ტროცკი მაინც გამოაცხადებდა ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლას. ნიშნავს, აჯანყება მაინც გაიმარჯვებდა, მაგრამ ბელადი კვლავ



ლენინი იქნებოდა. ასეც მოხდა და ტროცკი იძულებული იყო შერიგებოდა ბედს).

1924 წლამდე ლ.ტროცკიმ ბევრი ითმინა. სამხედრო აჯანყების ხელმძღვანელი იყო იგი და დათმო. 1918 წ. ბრესტის ზავთან დაკავშირებით მისი პოზიცია ლენინისას უპირისპირდებოდა და სტალინის გავლენით, დათმო¹. საომარ ფრონტებზე მისი ავტორიტეტის შემლახავი მოქმედებები ი. სტალინისა, დათმო. 1920 წ. პოლონეთის წინააღმდეგ წარმოებული ომის მარცხი, მართალია, გადააკისრა იმავე სტალინს, მაგრამ მაინც დათმო. ბევრი რამ დათმო, ითმინა და დადგა გადამწყვეტი მოქმედების დრო.

ვ. ლენინის გარდაცვალებამ პირველ რიგში მას გაუხსნა გზა ბელადობისაკენ. სხვა ვინ შეეცილებოდა? ამიტომ მდუმარე, ამაყი, მოთმინებით ელოდა, როდის მოიხრიდნენ ქედს მეორე ხარისხოვანი ბელადები: ზინოვიევი, კამენევი, სტალინი, ბუხარინი და სხვები, როდის სთხოვდნენ მას, აელო ხელში ქვეყნის მართვის სადავეები.

იმედები გაუტრუვდა, ვერ გაითვალისწინა სხვათა ამბიციები და შესაძლებლობები. ავტორიტეტით, თეორიულად თუმცა აჭარბობდა ზინოვიევ-კამენევს, მაგრამ თუ სტალინი მათ მიემხრობოდა, პრაქტიკულად, ორგანიზაციულად, ვერ აჯობებდა.

ადამიანთა დიდ ორგანიზაციაში, მით უფრო პოლიტიკურ პარტიაში აზრთა და პოზიციათა სხვაობა, ბუნებრივია, იყოფა ან მემარცხენე, ცენტრისტულ, მემარჯვენე ნაწილებად, ნაწილების ნაწილებად და ა. შ. რუსეთის საზოგადოებრიობა გამონაკლისი არ ყოფილა.

საინტერესოა მემარცხენეთა სიჭრელე, ხმაური, შეურიგებლობა. საქმე იქამდე იყო მისული, რომ მოითხოვდნენ ყოველგვარი არასაბჭოურის, არარევოლუციურის პრაქტიკულ უარყოფას. ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორცაა კო-

1. თუ არ დათმობდა, გერმანიის მთავრობა ვ. ლენინთან დადებულ ხელშეკრულებას გაასაჯაროებდა.



მუნების დაარსება და კომუნების სისტემების შექმნა, შრომითი არმიების შექმნა და სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე მოწყობა – გასაგებია. ამ ღონისძიებებს ვ. ლენინიც ემხრობოდა. მემარცხენეები მიდიოდნენ ისე ულტრა „იდებამდე“, როგორც იყო ბურჟუაზიული რკინიგზის აყრა და წითელი რკინიგზების დაგება, მონოგამიის შეცვლა პოლიგამიით და ა. შ.

რამდენადაც პარტიის გეზი ნეპის პოლიტიკას მისდევდა და იგი წვრილბურჟუაზიულ მოტივებს აძლიერებდა, ლ. ტროცკიმ, განაწყენებულმა, რომ მისი უცილო ბელადობა არ აღიარეს. პარტიას პოპულარული მემარცხენე პოზიციიდან შეუტია. მით უფრო, რომ არ იყო ერთიანობა ნეპის გაგებისა და მომავლის საკითხში. ხელმძღვანელების პოზიციები ერთიანდებოდა რევოლუციის პერმანენტულობის ირგვლივ. ყველას მიაჩნდა, რომ ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმი ვერ დამკვიდრდება. სხვაობს იყო განვითარების გზის გაგებაში. მემარცხენეები მიისწრაფოდნენ მსოფლიო რევოლუციური პროცესებისაკენ თავისი გზით, მემარჯვენეები თავისი ორიენტაციის ერთგულნი რჩებოდნენ.

დაჯგუფებები პარტიის ხელმძღვანელობაში ვ. ლენინის სიცოცხლეშივე გაჩნდა, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ პრინციპული მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ აქ გამოჩნდა ი. სტალინის როლი. მან ცენტრალურ კომიტეტსა და პოლიტბიუროში შეძლო თავისი კადრების შეყვანა და რამდენადაც გადანყვეტილებებს კენჭისყრით იღებდნენ, საკითხებსაც სასურველ მიმართულებას აძლევდა. შედეგად მოხდა ის, რომ პარტიის XII ყრილობამ 1924 წელს, მაისში, გააკრიტიკა და დაგმოტროცკის მემარცხენე, წვრილბურჟუაზიული იდეები.

ბრძოლა ამის შემდეგ გაგრძელდა სოციალიზმის მომავალი ბედის საკითხზე. ტროცკი კვლავ მსოფლიო რევოლუციისკენ მიისწრაფოდა. ი. სტალინი ავითარებდა აზრს, რომ რეალური ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროა სოციალიზმის მშენებლობის განგრძობა და არა რაღაც თვალსაზრისის იმედად ყოფნა, ტროცკი ფიქრობდა სოციალიზმის მშენებლო-



ბისათვის სახსრების გლახობისგან ამოქაჩვას. ამ მხრივ მას ზინოვიევი-კამენევის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა, რაც არ გამართლდა. პირიქით, ამ საკითხში მათი პოზიციები ერთიმეორეს დაუპირისპირდა და ურთიერთობა გამწვავდა.

1925 წ. იანვარში პლენუმმა იმსჯელა ამ საკითხებზე და შედეგად ტროცკის პოზიცია დაგმო. პლენუმის შემდეგ ზინოვიევი-კამენევი უფრო აქტიურად დაიწყეს თავისი პოზიციის გაშუქება. მათ ჯერ კიდევ იმედი ჰქონდათ ი. სტალინის მხარდაჭერის. ასე არ მოხდა და სამეულის კავშირი დაიშალა. ერთი პერიოდი ცკ მხარს ზინოვიევი უჭერდა. იყო ეს სტალინის პოზიციის მცდარობა თუ არა, შეფასებული არაა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ი. სტალინმა განაცხადა თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. ცკ მისი გადადგომა არ მიიღო.

ი. სტალინმა შექმნილი ვითარებიდან შესაბამისი დასკვნა გამოიტანა. მისი პოზიცია უფრო შემწყნარებლური და ნეიტრალური გახდა. სამეულის ზინოვიევი-კამენევი-სტალინი, წინა პლანზე იგი მოკავშირეებს აყენებდა. ზინოვიევს ცოდნით, ავტორიტეტით, კომინტერნის აღმასკომის თავმჯდომარის თანამდებობით კიდევ ეკუთვნოდა ასეთი პატივი. რამდენადაც დავა, ძირითადად, ზინოვიევი-ტროცკის შორის მიმდინარეობდა, სტალინს ნეიტრალური პოზიცია ავტორიტეტს კიდევ უმაღლებდა, როგორც გენერალურ მდივანს, ორივე მხარე მას მიმართავდა.

1925 წ. დეკემბერში პარტიას XIV ყრილობაზე დაისვა ზინოვიევის საკითხი. ყრილობამ იგი კომინტერნის თავმჯდომარეობიდან გამოიწვია.

პარალელურად ლენინგრადში მის ნაცვლად ს. კიროვი მიაწვლინეს.

მოვლენები ლოგიკური სვლიტ წარიმართა. დამარცხებული ლ. ტროცკი დაუკავშირდა დამარცხებულ ლ. ზინოვიევს და მისდამი მიმხრობილ გ. კამენევს. შედგა ოპოზიციონერთა ახალი ბლოკი. მხოლოდ ეგაა, როცა ლ. ტროცკი ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში აქტიურად იბრძოდა პარტიის გენერ-



ალური ხაზის წინააღმდეგ, გარდა საკუთარი დამსახურების დემონსტრირებისა, რეალურ სამოქალაქო პროგრამასაც აქვეყნებდა. რამდენად მისაღები იყო იმ პერიოდში ეს პროგრამა, სხვა საკითხია, მაგრამ გასაზიარებელ მოსაზრებას რომ შეიცავდა, ფაქტია.

ი. სტალინი იყო რა პარტიის ცკ გენერალური მდივანი, ვალდებული იყო, ყველა სადავო საკითხთან დაკავშირებით, ყრილობის, პლენუმის და ცკ დადგენილებები დაეცვა. ამჟამად, ყოველი გამოხდომა, გადაცდენა გენერალური ხაზიდან იყო ბრძოლა მის წინააღმდეგ. პარტიის ხაზი, პირველ რიგში, მას უნდა დაეცვა. ამ გზით ცკ გენერალური მდივნის თანამდებობა, რაზეც ამაყად უარს აცხადებდნენ პარტიის პოპულარული ლიდერები და მათ შორის ტროცკი, თანდათან გადაიქცა პარტიული ცხოვრების წარმმართველ ცენტრად და გენერალური მდივანი პიროვნებად, რომელიც პასუხს აგებდა მთელ საქმიანობაზე.

იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის ამ ეტაპზე, როგორც ტროცკის, ასევე ზინოვიევი-კამენევის წინააღმდეგ წარმოებული პროცესები უმთავრესად საგნობრივ-საქმიან ხასიათს ატარებდა. პარტიაში გასარკვევი იყო, ვის როგორ ესმოდა რევოლუციის, საბჭოთა ხელისუფლების მოქმედების გზა. ეს იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ლ. ტროცკი ზინოვიევი-კამენევის (ეგრეთ წოდებული ახალი ოპოზიციის) დავაში ცკ წინააღმდეგ არ შესულა. მას თავისი გაგება ჰქონდა საკითხების და თავისი ბრძოლის პროგრამა.

სიტუაცია ბევრად შეიცვალა ზინოვიევი-კამენევის ბლოკის მარცხის შემდეგ. მათ ადვილად მოძებნეს საერთო ლ. ტროცკისთან. გამოიკვეთა უკმაყოფილების საერთო საფუძველი. როცა ისინი ცალკ-ცალკე გამოდიოდნენ, მარტივად გასაგები იყო: ერთს ჰქონდა მემარცხენე პროგრამა, მეორეს – მემარჯვენე. როცა ქვეყანაში ახალი, გაუკვალავი გზით ვითარდება, ასეთი გადახრები ლოგიკურია. სხვა საქმეა, როცა მემარცხენი და მემარჯვენე ერთიანდებოდნენ და ასე ესმიან თავს პარტი-



ის ცენტრალურ კომიტეტს. აქ უფრო ხელისუფლებისათვის ბრძოლა იწვევს წინა პლანზე.

მთელი 1926 წელი იდეურ-პოლიტიკურ ბრძოლაში მიიღია. მან ბევრი პრობლემა მოუტანა ქვეყანას და დიდი სირთულეების წინაშე დააყენა. ეს ეხება როგორც საშინაო ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, ასევე საერთაშორისო მდგომარეობას. ჯერ კიდევ აპრილის პლენუმზე დაიხვა, ახლა უკვე გაერთიანებული ოპოზიციის საკითხი. ბრძოლა იყო უკომპრომისო და იგი მარცხით დასრულდა. ოქტომბრის პლენუმზე პროცესები დალაგდა. ოპოზიცია საბოლოოდ დამარცხდა. ყოველივე დამთავრდა იმით, რომ 1927 წლის ნოემბრის პლენუმზე ოპოზიციის უცილო ლიდერები ტროცკი და ზინოვიევი პარტიის რიგებიდან გარიცხეს. მალე მათ თანამზრახველები მიაყოლეს. დეკემბრის თვეში შედგა პარტიის XV ყრილობა, რომელმაც მოიწონა ალებული კურსი და პარტიის წმენდა ყოველგვარი ოპოზიციონერებისაგან.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა ოციანი წლების მეორე ნახევარში გამწვავდა. გარდა ანტანტის ქვეყნების აშკარა მტრული დამოკიდებულებისა, აღმოსავლეთში იაპონიის მხრივ აგრესიის საფრთხე იზრდებოდა. არასასურველი ვითარების პირობებში ქვეყანას ორი მხრივ ომის საფრთხე ემუქრებოდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია ნაკლებ დაზარალებული ქვეყანა იყო. ევროპის ქვეყნების მდგომარეობა მას სასურველ მომავალს უქადდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით.

როგორც წესი, არ აღნიშნავდნენ სამხრეთიდან, თურქეთის მხრიდან მომდინარე საფრთხეს, არადა, მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ ევროპული ცივილიზაციის გზაზე დაყენებული თურქეთი მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, რამაც იგი მომავალი ფაშისტური გერმანიის ერთგული მოკავშირე გახადა. მუდმივად იგრძნობოდა თურქეთის მხრივ დაძაბულობა და არაკეთილმეზობლური გამოსტომები. თუ მხედველობა-



ში იქნება მიღებული ამიერკავკასიის ფედერაციის წევრების – სომხეთისა და საქართველოს მოსახლეობის მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთ-თურქეთის ყარსის შეთანხმებისადმი, სიტუაცია დამამშვიდებელი არ დაიხატება.

ევროპის ისეთი პატარა ქვეყნებიც კი, როგორებიც იყო ფინეთი და რუმინეთი, მუდმივი საომარი მუქარის შემცველ სიტუაციას ქმნიდნენ. აღარაფერი ითქმის ყოფილი ანტანტის ქვეყნების პრეტენზიებზე. ცნობილია, რომ ინგლისი არაერთგზის ომით ემუქრებოდა საბჭოთა კავშირს. გერმანიის მხრივ მუქარა არ გაისმოდა, მაგრამ იქ მიმდინარე პროცესები დამშვიდების საშუალებას არ იძლეოდა. იტალიის შემდეგ ფაშისტურმა მოძრაობამ გერმანიაშიც იმძლავრა. უკვე 1926 წ. ადგილი ჰქონდა ფაშისტურ ამბოხს. სადამდე მივიდოდა მოვლენები, ძნელი გამოსათვლელი არ იყო.

კაპიტალისტური სამყარო კრედიტების გაცემაზე საბჭოთა კავშირს უარს ეუბნებოდა. კრედიტი კი არა, ამერიკის შეერთებულ შტატები საერთოდ არ სცნობდნენ ქვეყანას 1933 წლამდე. საბჭოთა კავშირს თუ რამე სურდა, მხოლოდ საკუთარი სახსრებით უნდა შეეძინა. ამ მხრივ, შესაძლებლობა არსებობდა. განსაკუთრებით მსოფლიო ომის შემდეგ „დაჩაგრულ“ გერმანიას აწყობდა მასთან სავაჭრო ურთიერთობის გაფართოება.

ოპოზიციის დამარცხების შემდეგ საბჭოთა მთავრობის წინაშე მთელი სიმძაფრით დაისვა ქვეყნის სამრეწველო განვითარების აუცილებლობის საკითხი. ხელმძღვანელობამ უკვე 1927 წ. დააფიქსირა მომავალი დიდი ომის საფრთხის არსებობა. ი. სტალინი აღიარებდა, რომ სამრეწველო-ტექნიკური განვითარებით ქვეყანა ევროპის დონეს 100 წლით ჩამორჩებაო და აფიქსირებდა: ან შეძლებდნენ ჩამორჩენის დაძლევას უახლოეს პერიოდში, ან მომავალში განადგურება გარდაუვალი იქნებოდა.

ი.სტალინმა, პარტიამ ამოცანამართებულად განსაზღვრეს: მიღებული იქნა გადაწყვეტილება საერთო სამრეწველო განვითარების ტემპებთან შემართებით, მძიმე მრეწველობის სამჯერ უფრო სწრაფი განვითარების შესახებ. ამის აუცილებლო-



ბის ყველა ხელმძღვანელი ხედავდა და ეთანხმებოდა.

სხვაობა იყო შესრულების შესაძლებლობების გაგებაში.

სუსტი სამრეწველო პოტენციის მქონე, გლეხურ საბჭოთა კავშირში ჯერ კიდევ ნების პოლიტიკა მოქმედებდა. მდგომარეობა ძალზე რთული იყო.

საბჭოთა წყობილების საწყის ეტაპზე პრინციპულად დაიწვა მიწის ნაციონალიზაციისა და წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების საკითხი. განსაზოგადოების ხარისხი წარმოადგენდა ახალ, ბოლშევიკების აზრით, სოციალიზმზე გადასვლის გზას. ლოზუნგი მიწა – გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები – მუშებს რაღაც ფორმით უნდა გამოვლენილიყო. არსი და ფორმა შესატყვისობას მოიცავდა. თუ არსით მიწა საერთოა, მასზე კერძო საკუთრება ისპობა, მაშინ როგორი ფორმით უნდა განხორციელდეს ეს საერთო საკუთრება? ვ. ლენინი, ბოლშევიკები მიიჩნევდნენ, რომ კომუნების შექმნა, კომუნების სისტემის ფორმით სოფლის მეურნეობის განვითარება იქნებოდა ყველაზე მისაღები. გლეხობა მონყდებოდა მიწის საკუთრებას, გაერთიანდებოდა კომუნებში, სადაც ერთად იშრომებდნენ და ერთნაირად იცხოვრებდნენ. არ იქნებოდნენ მდიდრები, მაგრამ იქნებოდნენ თანაბრად ღარიბები.

ამ იდეის განხორციელება იძულების წესით დაიწყო 1918 წელს ე. წ. სამხედრო კომუნიზმის პირობებში. სიმოკლისათვის ითქმება, რომ არ ითვალისწინებდნენ გლეხობის მრავალფენიანობას და ინტერესთა სხვაობას.

ზუსტად ასევე, ფაბრიკა-ქარხნები (თუ რამე არსებობს, საერთოდ, და 1914 წ. შედარებით ოთხჯერ ნაკლების პირობებში) ცხადდებოდა საერთო საკუთრებად. განსაზოგადოების ასეთი არსი რაღაცა ფორმით უნდა ყოფილიყო გამოხატული. მონონებული იქნა შრომითი არმიების იდეა. მუშები ხდებოდნენ ერთიანი მუშათა ერთობის (არმიის) წევრები და დასაქმდებოდნენ იქ, სადაც ამის აუცილებლობა იქნებოდა. სამხედრო კომუნიზმის პერიოდში კიდევ დაიწყო მუშათა კლასის ასეთი ფორმით ორგანიზება. სანამ სამოქალაქო და ინტერვენციის წინააღმდეგ ომი მიმდინარეობდა და სანამ მშრომელები ამ სი-



ახლებს აზრს გაუგებდნენ, სისტემა იქმნებოდა. ეს იყო განსაზოგადოების უმაღლესი გაგების გამოვლინება. ადამიანს არაფერი არ გააჩნია საკუთარი სამუშაო ძალის გარდა. მის სამუშაო ძალას საზოგადოება გამოიყენებდა იქ, სადაც მიზანშეწონილებას ნახავდა. შედეგად, ადამიანი ლეზულობდა მისი სამუშაო ძალის ღირებულებას. რამდენადაც ადამიანები მეტ-ნაკლებად თანაბარი სამუშაო ძალის მქონენი არიან, შემოსავალიც ასევე ექნებათ.

თეორიულად ყველაფერი სამართლიანი იყო, ოღონდ იგი არსებულ ვითარებას არ ითვალისწინებდა. სწორედ პრაქტიკამ შეიტანა თავისი კორექტივები, რაც გამოიხატა გლეხთა აჯანყებებში, მასობრივ საბოტაჟში და საერთო უკმაყოფილებაში. ის რაც უნდა მიღწეულიყო ეკონომიკურ-კულტურული განვითარების გზით მოინდომეს განეხორციელებინათ იძულებით.

საბჭოთა ხელისუფლებამ უკან დაიხია. განსაზოგადოების ასეთი მაღალი სტანდარტი მიუღებელი აღმოჩნდა ჩამორჩენილი (ღარიბი და უკულტურო) ქვეყნისათვის. 1921 წლიდან გადავიდნენ ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე¹.

ნეპის პოლიტიკამ საბჭოთა კავშირში წვრილბურჟუაზიული ტენდენციების გაძლიერება გამოიწვია. კერძო მესაკუთრული დამოკიდებულება გლეხობის მხრივ ისედაც ჩვეულებრივი მყარი მოვლენაა. როცა იძულების წნეხი შესუსტდა, გლეხობამ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მოინდომა საქონელწარმოებისა და გაცვლის მომგებიანად წარმოება, რაც სახელმწიფოს ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებდა. ისედაც მარქსისტული მოძღვრებიდან ცნობილი იყო, რომ სოციალიზმი საქონელწარმოებასა და გაცვლას გამორიცხავს. ახლა ნაწილობრივ მისი დაშვება, რაც ნეპის არსს წარმოადგენდა, მოასწავებდა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა რესტავრაციას.

1. სამწუხაროდ, ბევრი რამ სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლოვნადაა გაშუქებულ, მათ შორის ნეპი გაგებულია როგორც მხოლოდ განერის შეცვლა გადასახადით, არაა მოცემული სამხედრო კომუნიზმისა და ნეპის თანაფარდობის საკითხი და ა. შ.



ციას. ის იმედი, რომ პროცესების მართვის სადავეები პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელში იყო, ურთიერთობათა ფორმის მას შეცვლას წარმოადგენდა და არა არსისა. სახელმწიფო საკუთრება მიწაზე და წარმოების საშუალებებზე, რჩებოდა კერძო საკუთრების ფარგლებში. მართლდებოდა ფ. ენგელსის წინასწარ ნათქვამი: მიწის ნაციონალიზაცია, წარმოების საშუალებებზე სახელმწიფოს საკუთრების შემოღება, არის კერძო საკუთრების ლიკვიდაცია კერძო საკუთრების ფარგლებში და მას არაფერი საერთო სოციალიზმთან არა აქვს. უფრო ზუსტად, მსგავსი შუამდგომლობა თუ მიიღწევა ეკონომიკური განვითარების გზით, ეს იქნება მატერიალური საფუძვლების მომზადება სოციალიზმისათვის და არა სოციალიზმი.

საბჭოთა კავშირში ეს გარდაქმნა მიღწეული იყო მკაცრი იძულების გზით და ბუნებრივია, შედეგი დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა. ნეპის პოლიტიკის შედეგად გამოცოცხლებული ფულად-სასაქონლო ურთიერთობანი სახალხო მეურნეობის ნორმალურად კაპიტალისტური განვითარების პერსპექტივას ქმნიდა, რაც, ცხადია, პარტიული ხელმძღვანელობის მძიმე გადასაწყვეტ ამოცანას წარმოადგენდა:

1. იმიტომ, რომ საერთო განვითარება საერთაშორისო ვითარების პირობებში ნიშნავდა საბჭოთა კავშირის ჩამორჩენის ალიარებას და მუდმივად მაჩანჩალის როლში ყოფნას.;
2. ასეთი განვითარება ვერ შეძლებდა მძიმე მრეწველობის სწრაფი განვითარებისთვის შესაძენი სახსრების მობილიზებას.
ნ. ბუხარინის მიერ წამოყენებული გეგმა ნეპის არსებული გზით განვითარებისა, არსებითად მიუღებელი ხდებოდა. არსებული გზით გლეხური მეურნეობების, წვრილი ხელოსნობის გამდიდრებისა, შემდეგ მათგანგადასახადის გზით საჭირო სახსრების მიღება გაურკვეველად გრძელ დროს მოითხოვდა. 1928 წ. მაისში ნ. ბუხარინი იწყებს თავისი პოზიციის რეკლამირებას. იგი მიიჩნევდა, რომ მხოლოდ ასეთი გზით მოხერხდებოდა მუშათა და გლეხთა კლასობრივი კავშირის გან-



მტკიცება. ი. სტალინის, პარტიის ცკ მცდელობა ახალი გზების მოძებნისა თავიდანვე მიუღებელი იყო მისთვის. ამ საქმეში მას მხარი რიკოვი და ტროცკი უჭერდნენ. 1929 წ. იანვარ-თებერვალში გაიშალა ფართო დისკუსია. ნ. ბუხარინი მიიჩნევდა, რომ ახალი კურსი იწვევდა სამხედრო-ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

დისკუსიის შემდეგ იყო ბუხარინის ჯგუფის პოზიციების დაგმობა და გლენთა კოლექტივიზაციის კურსის დადგენა. 1929 წელი ითვლება სოფლის კოლექტივიზაციის დაწყების პერიოდად საბჭოთა კავშირში. მან შესაძლებელი გახადა ნების კერძო-ინდივიდუალური საკუთრებისა და წარმოებიდან საერთო-ჯგუფურ მეურნეობაზე გადასვლა. ამით შენარჩუნებული იქნა წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების სოციალისტურობა (ფორმით მაინც) და შესაძლებელი გახადა სახსრების მობილიზაცია მძიმე მრეწველობის სწრაფი განვითარებისათვის. მხოლოდ ეგაა, მიღებული იქნა გადანყვეტილება სამხედრო მრეწველობის სამჯერ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარებისა, ვიდრე მძიმე მრეწველობისა.

ოცდაათიანი წლები, საბჭოთა კავშირში აღინიშნება სოფლის კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის მაღალი ტემპებით, საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, რომ ან გადალახავდნენ დასავლეთ ევროპისაგან ტექნიკურ ჩამორჩენილობას ან კატასტროფა გარდაუვალი იქნებოდა. გერმანიის მილიტარიზაცია და ფაშისტურ რელსებზე გადასვლა, სხვა გამოსავალს არ ტოვებდა. ამ პერიოდში ფაშისტურმა ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ მოახდინა ხელისუფლების მონოპოლიზება, გადალახა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვერსალის ზავით დაწესებული ყველა შეზღუდვა და დაადგა ომის პოლიტიკის გზას. დამოუკიდებელი ავსტრიის მიერთება (ანშლუზი), სუდეტის ოლქისა და მთლიანი ჩეხოსლოვაკიის დაკავება, ნათელს ხდიდა გერმანიის მისწრაფებებს. თავის მხრივ, დასავლეთის წამყვანი ქვეყნების დამთმობლური პოლიტიკა ათამამებდა და იწონებდა ფაშისტურ პოლიტი-



კას. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩემბერლენი და საფრანგეთის პრემიერი დალადიე, პრაქტიკულად, ხელს უწყობდნენ და მიმართულებას აძლევდნენ ფაშისტებს აგრესია აღმოსავლეთისათვის წარემართათ. დასავლეთი გერმანიას აგრძნობინებდა, რომ მისთვის საშიშ და მიუღებელ ორ ფრონტზე ომი არ მოუწევდა. დასავლეთი არ აპირებდა თავისი ეროვნული და საერთაშორისო ინტერესებისათვის ომს. არადა, სწორედ ორ ფრონტზე ერთდროულად ომის საფრთხის შესახებ იყო ბისმარკის ცნობილი გაფრთხილება.

ბისმარკის გაფრთხილების შესახებ იცოდნენ საბჭოთა კავშირშიც. ამიტომ ი. სტალინის მთელი პოლიტიკა აგებული იყო ორ მთავარ მოთხოვნაზე: 1. არ გამოენვიანთ გერმანიასთან კონფლიქტი, მაქსიმალურად კორექტული ყოფილიყო მიდგომა; 2. იმავე გერმანიის დახმარებით, დაჩქარებული წესით, მოეხდინათ მრეწველობის მოდერნიზაცია.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნები ექსტრემალურ ვითარებაში ხდებოდა. ცხადია, მშვიდობიანი საერთაშორისო განვითარების შემთხვევებში პროცესები ქვეყნის შიგნით ნორმალური ტემპებით და მრეწველობის დარგების გეგმაზომიერი თანაფარდობის ვითარებაში წარმართებოდა. არსებულ ვითარებაში კი მსუბუქი მრეწველობის დარგები პრაქტიკულად განუვითარებელი რჩებოდა. დისბალანსი მრეწველობის დარგებს შორის, ბუნებრივია, მოსახლეობის მდგომარეობასა და განვითარებაზე გავლენას ახდენდა. მხოლოდ ეგაა, არა მხოლოდ საბჭოთა ხელმძღვანელობა, არამედ მთელი მოსახლეობა გრძნობდა ძალების დაძაბვის აუცილებლობას გარკვეული მიმართულებით. ქვეყანას უნდა დაეძლია დიდი სიძნელეები, გადაეტანა დიდი დანაკარგები, რათა საბოლოო ანგარიშით 100-წლიანი ტექნიკურ-სამრეწველო ჩამორჩენა 10 წელიწადში გადაეღობა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ არნახული ამოცანა შესრულებული იქნა. არა მთლიანად სახალხო მეურნეობის მოცულობით, არა სოციალ-ეკონომიკური განვითარე-



ბის დონით, არამედ, სამხედრო წარმოების დარგების შესაძლებლობებით, საბჭოთა კავშირი ცალკე აღებული გერმანიის შესაძლებლობებს გაუთანაბრდა. ნამყვანი უცხოელი სამხედრო ექსპერტები, როდესაც ადარებდნენ ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო შესაძლებლობებს 1937 წლისათვის, უპირატესობას უკანასკნელს ანიჭებდნენ.

IV. სტალინიზმის თავისეპურება

სწორედ ამ პერიოდისათვის სტალინიზმმა, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა და იდეურ-პოლიტიკურმა სისტემამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

მისი ძირითადი ნიშნები იყო:

1. მიწა სრულად იყო ნაციონალიზებული. სოფლის მეურნეობა იმგვარად ორგანიზებული, რომ კერძო-ინდივიდუალური საკუთრება გამოირიცხებოდა. მიწა ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად, მისი განკარგვა შეძლო მხოლოდ სახელმწიფოს¹. სახელმწიფო, მიწას უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში აძლევდა შრომით კოლექტივებს. შრომითი კოლექტივები მუდმივი იჯარის სახით სახელმწიფოს, ასევე უსასყიდლოდ, უხდიდნენ მთელ ნამეტ პროდუქციას. ამას ემატებოდა სოფლის მოსახლეობაზე გაცემული პირადი მიწის ნაკვეთების გადასახადი. ერთი შეხედვით, გლეხობა სახელმწიფოსაგან უფასოდ ღებულობდა მიწათსარგებლობის უფლებას. ამასთან, გარკვეული შეზღუდული ოდენობით, რაც გამოირიცხავდა ერთის უზომო გამდიდრებას და მეორის გაღარიბებას. ამასთან, ამ უფასოდ მიღებული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ გლეხობა თავის სამუშაო ძალის მაქსიმუმს ხარჯავდა იმავე სახელმწიფოს სასარგებლოდ. არ იანგარიშებოდა აუცილებელი და ზედმეტი სამუშაო ძალა სხვანაირად, თუ მუდმივ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთი განიხილებოდა, როგორც საქონელი, მის

1. სახელმწიფო საკუთრება რჩებოდა კერძო საკუთრების ფარგლებში თუ არა ცალკე საგნობრივი ანალიზის საკითხია. ამ შემთხვევაში ეს მიღებული იყო საფუძვლად.



შესაძენად დახარჯული შრომი არ იყოფოდა აუცილებელ და ზედმეტ შრომად, აუცილებელ და ზედმეტ ღირებულებად. მიწა არ ითვლებოდა გასაყიდ საგნად.

2. ფაბრიკა-ქარხნები ითვლებოდა მუშათა კლასის საკუთრებად. რევოლუციური ლოზუნგი – ფაბრიკა-ქარხნები – მუშებს, განხორციელებული იყო.

საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პოტენციალი სახელმწიფოს ხელში იყო და სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. სახელმწიფო ცალკეულ ობიექტებს (ფაბრიკა-ქარხნებს) გადასცემდა შრომით კოლექტივს მუდმივ, უსასყიდლო სარგებლობით. შრომითი კოლექტივი აწარმოებდა რამე სახის პროდუქციას, რომელიც ასევე სახელმწიფო საკუთრება ხდებოდა.

ობიექტზე დასაქმებული ყოველი მუშა ღებულობდა დახარჯული სამუშაო ძალის ანაზღაურებას დადგენილი წესით და დადგენილი მოცულობით. მუშის დახარჯული სამუშაო ძალა იყოფოდა აუცილებელი სამუშაო ძალა, ზედმეტ სამუშაო და ძალად. იგივეა, მუშა ხელფასის სახით ღებულობდა მის მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილს, დანარჩენი ზედმეტი ღირებულების სახით, რჩებოდა სახელმწიფოს.

ამ ფორმით საბჭოთა კავშირში ყოველი მოქალაქე ითვლებოდა სახელმწიფოს დაქირავებულ მუშაკად და ვალდებული იყო ეშრომა, როგორც საკუთარი საარსებო საშუალების მოპოვებისათვის, ასევე სახელმწიფოს (ითვლებოდა საზოგადოების) სასარგებლოდ.

3. საბჭოთა საზოგადოების გარკვეული ნაწილი, თუმცა სახელმწიფოს დაქირავებულ მუშაკებს შეადგენდნენ, მაგრამ მატერიალური დოვლათის შემქმნელებს უშუალოდ არ წარმოადგენენ. არსებული კლასიფიკაციის მიხედვით ისინი ორი კლასიდან, არც ერთს არ განეკუთვნებოდნენ. საზოგადოების ეს ნაწილი კლასად კი არა, ინტელიგენტთა ფენად იწოდებოდა.

ძალზე ძრელი შემადგენლობისა და ხალხმრავალი იყო ეს



ფენა. იქ შედიოდნენ, როგორც სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილე, ასევე არასანარმოო სფეროს მუშაკები. ამასთან, ინტელიგენციის დიდი ნაწილი თავისი სოციალური მდგომარეობით მუშათა კლასისგან არ განსხვავდებოდა. თუ იანგარიშება ის, რომ ინტელიგენციის დიდი ნაწილი ისევე საკუთარი სამუშაო ძალის (ფიზიკური და გონებრივი უნარის) გაყიდვით ირჩენდა თავს, როგორც მუშათა კლასის წევრები, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთად ქმნიდნენ ერთიან მუშათა კლასს. მართალია, მიღებული არ იყო ასეთი ტერმინი, მაგრამ რეალობა ქმნიდა ასეთ სურათს.

რჩებიდა ინტელიგენციის ფენის ის ნაწილი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველ ძალას წარმოადგენდა. ეს იყო პარტიის, სახელმწიფო სტრუქტურების, პროფკავშირების ხელმძღვანელი რგოლი. მთლიანობაში აღებული, ფორმით ისინიც საზოგადოების (სახელმწიფოს) დაქირავებულ მუშებს წარმოადგენდნენ, მათსავით სამუშაო ძალის გაყიდვით მიღებული ხელფასით ცხოვრობდნენ, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმა ურთიერთობისა. ისინი ხელფასს ღებულობდნენ არა დახარჯული სამუშაო ძალის მიხედვით, არამედ დაკავებული თანამდებობის როლის თანახმად. ითვლებოდა, რომ ყოველი თანამდებობა რაღაცა პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, რაც უფრო მაღალი იყო თანამდებობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობა და მეტი ეკუთვნოდა ხელფასი თუ სხვა ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიები.

ამ გზით საბჭოთა საზოგადოებაში გამოიყოფოდა გარკვეული შეზღუდული ოდენობის ადამიანების ფენა, რომელიც ხელფასს (ანაზღაურებას) ღებულობდა არა დახარჯული (გაყიდული) სამუშაო ძალის მიხედვით, არამედ თანამდებობის პასუხისმგებლობის მიხედვით. ეს ფენა პრაქტიკულად განაგებდა მთელ საზოგადოებრივ ძალისხმევას, ხელმძღვანელობდა (ბატონობდა) მშრომელ კლასებს და მათთან გათანაბრებულ ინტელიგენციას.

ფორმით ყველა სახელმწიფოს დაქირავებულ მუშად ითვ-



ლებოდა, პრაქტიკულად მათში გამოყოფილი იყო დამქირავებელთა და წარმართველთა ფენა, შესაბამისად, მათი ანაზღაურებაც სხვანაირად ხდებოდა.

4. წარმოების საშუალებათა ასეთი მაღალი დონით განსაზოგადოება მოითხოვდა გეგმიურობის შესაბამისი დონით შემოღებას.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ვ. ლენინმა დასვა ქვეყანაში მკაცრი აღრიცხვიანობისა და გეგმიურობის საკითხი. მას შემდეგ საბჭოთა ეკონომიკის ერთ მთავარ მახასიათებელს გეგმიურობა შეადგენდა.

გეგმიურობა მეურნეობის გაძლოლისა, ცხადია, დიდ სიახლეს არ წარმოადგენდა. უფრო მეტი როდესაც კაპიტალისტურ წყობილებას ახასიათებდნენ მის მთავარ ნაკლად მიიჩნევდნენ წინააღმდეგობას ქვეყნის მასშტაბით წარმოების ანარქიულობასა და ცალკეულ საწარმოებში მკაცრ გეგმიურობას შორის.

არც ერთი კაპიტალისტი საკუთარ საწარმოში ფუჭად დროისა და სახსრების ხარჯვას არ დაუშვებს, მაშინ, როცა ქვეყნის მასშტაბით წარმოება ანარქიულია. უფრო მეტი, ყოველთვის იყო მისწრაფება გეგმიური გაეხადათ მონათესავე საწარმოთა ფუნქციონირება. სახელმწიფო-მონოპოლისტური განვითარების საფეხურზე სახელმწიფო აშკარად ერევა ცალკეულ მონოპოლიათა საქმიანობაში და ცდილობს გეგმიურობის ელემენტების შეტანას. გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ფართოდ გავრცელდა კეინსიანიზმი, რომელიც ითვალისწინებდა გეგმიურობის დანერგვას კაპიტალისტური წარმოების მოცულობით.

უფრო ადრე ფ. ენგელსი ნაშრომის „ანტიდიურინგის“ მესამე თეორიულ ნაწილში ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური განვითარების მაღალ საფეხურზე განხორციელდება არა მხოლოდ მიწის ნაციონალიზაცია და მასთან წარმოების გასახელმწიფოება, არამედ წარმოების გეგმიურობაც იქნება შემოღებული. მიწის ნაციონალიზაციას და წარმოების სა-



შუალებათა სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევას უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევაც გეგმიურობის შემოღება ქვეყნის მასშტაბით. საბჭოთა მეურნეობა დაფუძნებული იყო მკაცრ აღრიცხვასა და გეგმიურობაზე. შესაბამისი ორგანო წინასწარ საზღვრავდა რა უნდა ეწარმოებინათ და რა რაოდენობით. დგებოდა დღიური, თვიური, კვარტალური, წლიური და ბოლოს ხუთწლიანი გეგმები, და არა მხოლოდ ადგენდნენ წინასწარ გეგმებს, არამედ რეგულარულად მათი შესრულების შემოწმებაც ხდებოდა.

საბჭოთა კავშირში ხუთწლედების ისტორია დაგეგმიდან – შესრულებამდე კონტროლირდებოდა და კარგად შესწავლილ პრობლემას წარმოადგენდა.

მხოლოდ ერთია. ხუთწლედების შესრულების ხარისხი და შედეგი სრულიად განსხვავებულ სურათს იძლევა ი. სტალინის მმართველობისა და მისი გარდაცვალების შემდეგ. მიზეზებში ჩაღრმავების გარეშე ითქმება, რომ სტალინის შემდეგ ხუთწლედებმა ბევრად ფორმალური ხასიათი შეიძინა და ბოლოს მძიმე ეკონომიკურ კრიზისამდე მივიდა. უნდა ითქვას, რომ ასეთი შედეგი და გამომწვევი მიზეზები კარგად ახსნა ფენგელსმა.

ნ. ხრუშჩოვის ბატონობის პირობებში მკაცრი განსაზღვრულობა, კონტროლი წარმოებასა და მოხმარებაზე, შეიცვალა ვოლუნტარისტული გადანყვეტილებებით და შედეგმაც არ დააყოვნა. გამოცოცხლდა და ბოლოს დამკვიდრდა ყველაფერი ის, რის წინააღმდეგაც მოხდა ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყება. თუ ი. სტალინის ეპოქაში ადგილი ჰქონდა მასობრივ ენთუზიაზმს, იმედს და ზრუნვას უკეთესი მომავლის შესაქმნელად, ნ. ხრუშჩოვის დროს ეს საყოველთაო აპათიით, ნიჰილიზმით, ურწმუნოებით შეიცვალა და შედეგიც შესაბამისი დადგა.

5. საბჭოთა კავშირში დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლეს სახალხო მეურნეობის ახალ რელსებზე გადაყვანა. რთული და ხანგრძლივი იყო პროცესები. სოფლის მეურნეობის მრავალ-



წყობიანობა, მოსახლეობის მრავალეროვნულობა (სადაც ყოველ ეთნოსს საუკუნეებით ჩამოყალიბებული ტრადიციები გააჩნდა) თავის დაღს ამჩნევდა მიმდინარე გარდაქმნებს. ვ. ლენინი შუა აზიელებს ჩვეულებრივ „ტუზემცებს“ მოიხსენებდა, სომხეთს „საქათმეს“ უწოდებდა, ქართველებს, უკრაინელებს და ა. შ. ყველას ერთ კალაპოტში მოქცევა, ერთგვარი აზროვნების ჩამოყალიბება ძალზე რთულ საქმეს წარმოადგენდა. ამას ემატებოდა მოსახლეობის სიბუნელი. ვ. ლენინი მიუთითებდა, რომ მოსკოვის, პეტერბურგის, დონეცკის იქით მოსახლეობის სრული უკულტურობაა. საქმე მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნას როდი შეეხებოდა.

ქართველებზე, სპარსელებზე რომ არაფერი ითქვას, თავად სომხები უძველესი კულტურის მატარებლები იყვნენ. უწოდებდა მათ „საქათმეს“ თუ არა, სომხებს თავისი უძველესი დამწერლობა გააჩნიათ და ვრცელი წერილობითი ძეგლები. თავად რუსეთი იყო ბნელი ქვეყანა.

ყოველივე ითქვა, რათა ადამიანმა წარმოიდგინოს როგორი განვითარების მოსახლეობის გადაყვანა სურდათ სოციალისტურ ურთიერთობებზე. ძალით, იძულებით მოხერხდა მოსახლეობის კოლექტივებში გაერთიანება. სოფლის მეურნეობის პროდუქტის გაყიდვით მიღებული ფულით შექმნილი იქნა მძიმე მრეწველობის ობიექტები, იქ ხომ იმ ადამიანებს უნდა ემუშავათ, ვისაც „ტუზემცებს“, „ქათმებს“ და ა. შ. უწოდებდა ბელადი. მათი გარდაქმნა კი თაობათა ცვლილებებს მოითხოვდა. ამიტომ, ყველაზე რთული ე. წ. კულტურული რევოლუციის განხორციელება აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო გახდა ძველი კადრების ე. წ. სპეციალისტების ჩაბმა ახალ საქმიანობაში. მათი საბოტაჟის თავიდან აცილების მიზნით, გადანყდა მატერიალური დაინტერესების მეთოდის გამოყენება იძულებასთან ერთად. ბურჟუაზიულ სპეციალისტებს მალე საბჭოთა სპეციალისტები დაერქვათ და აღმოჩნდა, რომ სპეციალისტები სპეციალურ ანაზღაურებას ღებულობდნენ და პრივილეგირებულთა სპეციალურ კასტას ქმნიდნენ.



სამწუხაროდ, არაა ფართოდ შესწავლილი ე. წ. წითელი პროფესურის ჩამოყალიბების თავისებურებანი. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ კეთილსინდისიერი, მცოდნე სპეციალისტები, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ძველი ჩვევები შეინარჩუნეს. ისინი მხოლოდ საფუძველს ქმნიდნენ მომავალი ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული „ინტელიგენტური“ არმიისათვის. ჯერ კიდევ ვ. ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირში მყარდება არა მშრომელთა, არა პარტიის, არამედ ბიუროკრატის დიქტატურა. ი. სტალინის მმართველობის პირობებში ბიუროკრატია თავს დაჩაგრულად გრძნობდა, მაგრამ არსებულ დისციპლინას ემორჩილებოდა. როცა ვითარება შეიცვალა, ბიუროკრატია გააქტიურდა და ბოლოს ქვეყანა მოიცვა.

მხოლოდ ერთი მახასიათებელი. ყოველი კერძო კაპიტალისტური საწარმო მოგებისათვის იქმნებოდა და მოგებას ემსახურებოდა. მოგება, როგორც მიზანი, საბჭოთა წყობილების საწყის პერიოდშიც მოქმედებდა, ხუთწლედების დროს, აღრიცხვიანობა და კონტროლის პირობებში, ბურჟუაზიული სპეციალისტები თუ სხვა სახის ხელმძღვანელი პირები, იძულებით ექვემდებარებოდნენ შრომით დისციპლინას და დასახული გეგმების გადაჭარბებით შესრულებას უზრუნველყოფდნენ. რა თქმა უნდა, იყვნენ არაკეთილსაიმედო კადრებიც, მაგრამ აშკარა მოქმედებას ძნელად თუ ვინმე გაბედავდა. ფაქტი, რომ ხუთწლედი სამ წელიწადში შესრულდა, ამის ნათელი დადასტურებაა. მასობრივი ენთუზიაზმი მასობრივ იძულებას ეფუძნებოდა, მთლიანობაში კი ქვეყნის წინსვლას უზრუნველყოფდა. ნ. ხრუშჩოვის „იმპერატორობის“ დროს ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის აღმავლობის პირობებში, კონტროლის მექანიზმი მოიშალა. ყველაფერთან ერთად, ი. სტალინის პირადი ცხოვრების წესი, მისი პირადი გამდიდრებისადმი გულგრილობა, გარშემო მყოფთ მთლიანად საზოგადოებას ამუხრუჭებდა მომხვეჭელობის გზაზე.

ითქვა, რომ კაპიტალისტური ყოველი საწარმო მოგებისათვის იქმნება. საბჭოთა წყობილების დროს ეს პრინციპი მოირყა.



სანამ საზოგადოების სათავეში ედგა ი. სტალინი, აღრიცხვა და კონტროლი მოგებას უზრუნველყოფდა. თუ არა ზედმეტი ღირებულების შექმნა და მისი რაციონალური მოხმარება, საზოგადოებაში წარმოებული მოხმარების საგნებზე პერიოდული ფასების შემცირების პოლიტიკა ვერ განხორციელდებოდა.

ნ. ხრუშჩოვის დროს, სახალხო მეურნეობის განვითარების ერთიანი სისტემა მოიშალა. დაიწყო გაუანგარიშებელი ექსპერიმენტები. მოსპეს მანქანა-ტრაქტორთა (მტს-ის) სისტემა, „გაამსხვილეს“ კოლმეურნეობები, ერთიანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა გაჰყვეს სამრეწველო და სასოფლო სფეროებად. ფაქტობრივად, გააორმაგეს ბიუროკრატიული აპარატი. ნ. ხრუშჩოვს ეს სჭირდებოდა, რათა პარტიული კადრები განეახლებინა და ცკ-ში უპირატესობა მიეღო. სახალხო მეურნეობის ამოცანები მას არ ესმოდათ და არ ანუხებდა. ასეთ პირობებში ამუშავდა ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი.

თავის დროზე მარქსიზმი მიუთითებდა, რომ მიწის ნაციონალიზაციის, წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების პირობებში მყარდება სახელმწიფოს მონოპოლია. მონოპოლიის ბატონობის პირობებში კი კონკურენცია და მასთან დაკავშირებული მოვლენები ადგილს უთმობენ სანინააღმდეგო მოვლენებს, რომლებიც გარკვეულ ვითარებაში ინვედენს განვითარების შეფერხებას და რღვევას.

უფრო გასაგებად. კონკურენციული ბრძოლის დროს, ყოველი მენარმე ცდილობს, სხვებს აჯობოს საქონლის ხარისხით, სიიაფით, დაიკავოს ბაზარი, შესთავაზოს მყიდველს ახალი ხარისხის, ფორმის, მოთხოვნების საქონელი და იყოს წარმატებული.

მონოპოლიის ბატონობის დროს მენარმეს გასაღების ბაზარი დაპყრობილი აქვს. არა ჰყავს კონკურენტი, ცდილობს, მაქსიმალური ექსპლუატაცია გაუწიოს ბაზარს. იგი სიახლეზე კი არ ფიქრობს, არამედ მოგების მაღალი დონის შენარჩუნებაზე. არა ჰყავს რა კონკურენტი, მას შეუძლია აწარმოოს დაბალი ხარისხის საქონელი და გაასაღოს მონოპოლიურად მაღალ



ფასებში. შეძლებს კიდეც ამას, რადგან სხვა საქონელი არ იქნება, ხალხს კი მოთხოვნილება უნდა დაუკმაყოფილდეს.

საქონელწარმოება და გასაღება კიდეც უფრო იოლდება სახელმწიფოს მონოპოლიის პირობებში. საბჭოთა კავშირში სტალინიზმის ჩამოყალიბებამდე, ნიშნავს სახელმწიფოს მხრივ სრული მონოპოლიის დამყარებამდე, განვითარების დამამუხრუჭებელი ტენდენციები. ჯერ კიდევ არ მოქმედებდა მსოფლიო ომისა და დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, მით უფრო არ იყო ამ ტენდენციათა მოქმედების პირობები.

სურათი მკვეთრად შეიცვალა ნ. ხრუშჩოვის ბატონობისას. ჯერ ერთი, ბიუროკრატიული მმართველობის გაძლიერება-გამსხვილებამ, მეორეც, ვოლუნტარისტულმა პოლიტიკამ გზა გაუხსნა მონოპოლისტურ უარყოფითი მოვლენების გაძლიერებას. მხედველობაშია ოც წელში კომუნიზმის თავდაპირველი აშენების პოლიტიკა და მცდელობა, რადაც არ უნდა დასჯდომოდან, გაეხსნათ აშშ განვითარების დონისათვის. ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ამან გზა გაუხსნა სახელმწიფო აფერისტობას, მიწერების, მოჩვენებითი მიღწევებით თავის მოწონებას. ამ „სასახელო“ საქმიანობაში ჩაბმულები აღმოჩნდნენ მსხვილი მეურნეობა-საწარმოების, რეგიონების, ცალკეული რესპუბლიკების ხელმძღვანელები. ისინი საკუთარ თავს და მოსახლეობას ეჯიბრებოდნენ მორიგი „აფიორის“ მიღწევებში, ამ გზით აღწევდნენ, იმ დროს პოპულარული სოციალისტური შრომის გმირის წოდების მოპოვებას. მოჩვენებითმა „გამარჯვებებმა“ გადაგვარებისა და დაღუპვის გზაზე დააყენა ადრე წარმატებული სახელმწიფო მონოპოლისტური მმართველობა. საწარმოები აწარმოებდნენ წინასწარ დაგეგმილ დაბალი ხარისხის საქონელს, დარწმუნებულები, რომ სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში, კონკურენციის არ არსებობის დროს, იგი მაინც გასაღებოდა.

სახალხო მეურნეობის განვითარების ასეთი სტილი ანტაგონისტურად ეჯახებოდა მოსახლეობის მოთხოვნილებათა ხა-



სიათს. ნ. ხრუშჩოვის დროს და შემდეგ საბჭოთა ადამიანები, უშუალო ტურისტული მოგზაურობებისა და სხვა კულტურული გაცვლის გზით ეცნობოდნენ უცხოურ (ევროპულ) მიღწევებს ცხოვრების ყველა სფეროში და, ბუნებრივია, ჰქონდათ ასეთის მიღების მისწრაფება. არა მხოლოდ დასავლეთი ევროპა, ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიც ბევრ სახარბიელოს უჩვენებდნენ საზოგადოებას.

ყოველივე ეს, საბოლოო ანგარიშით, საბჭოთა საზოგადოებას არწმუნებდა არსებული წყობილების მანკიერებაში, მისი ახლით შეცვლის აუცილებლობაში. მართლდებოდა ფ. ენგელსის წინასწარი ხედვა. იგი ამბობდა: თუ მოინდომებენ სოციალიზმის განხორციელებას ისეთ ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორც გერმანია (XIX საუკუნის დასასრულის გერმანია თუ განუვითარებელი იყო, რა შეიძლებოდა, თქმულიყო ბატონყმურ რუსეთზე?), უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება სილატაკის თანაბარ განაწილებას. ასეთ დროს თავიდან აღმოცენდება კაპიტალისტური წყობილების ის უარყოფითი მოვლენები, რომლის წინააღმდეგაც მოხდება რევოლუცია. ყველაზე უარესი, რაც შეიძლება მოხდეს ისაა, რომ ადამიანები იწამებენ არსებული სოციალიზმის მიუღებლობას და რწმენას დაკარგავენ სოციალისტური იდეებისა. ეს რომ არ მოხდეს, ვადაზე ადრე სოციალიზმის განხორციელებას არ უნდა ვეცადოთ. ეს ითქვა 1895 წელს. ვ. ლენინი უკვე 1894 წელს ქადაგებდა რუსეთში გლეხური სოციალიზმის შესაძლებლობას. დასკვნა მტყუან-მართალის შესახებ, მკითხველმა გააკეთოს. მთავარია, რომ ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქაში დადგა სოციალიზმით გულგატეხილობის ჟამი. შედეგიც ლოგიკურია. მარქსიზმის თანახმად, მთავარი შედეგია არა ე. წ. სოციალიზმის ჩვეულებრივ კაპიტალიზმად გარდაქმნა, არამედ საზოგადოების შეგნებაში სოციალისტური იდეების გაუფერულება. ამას კი უკვე ვერავითარი პროპაგანდა ვერ უშველის.

6. არა თუ პროპაგანდა, არამედ ისეთი ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი საქვეყნო მიღწევები, როგორც იყო უფასო საყო-



ველთაო სწავლა-განათლების სისტემა და ასევე უფასო ჯანდაცვა გაუფერულდა, მოიშალა და ჩვეულებრივი კაპიტალისტური ყიდვა-გაყიდვის ობიექტები გახდა.

კაპიტალისტური წყობილება განვითარების პროცესში არა მხოლოდ ზრდის ექსპლუატაციას, იმონებს და სძარცვავს მშრომელთა ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს ანუ ასრულებს ნეგატიურ სამუშაოს, არამედ დადებით პროცედურასაც წარმოშობს და ახალისებს.

დღეს, XXI საუკუნის ვითარებაში შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ XIX საუკუნის დონის მშრომელები ასრულებდნენ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური წარმოების დამაკმაყოფილებელ ფუნქციებს. ცხადია, კაპიტალიზმის განვითარება, პროგრესის ინტერესები მოითხოვენ და ახორციელებენ მუშათა კლასის მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებას. დღევანდელი ერთიანი მუშათა კლასი ბევრად განსხვავდება ასი წლის წინანდელი მუშათა კლასისგან თავისი სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნით და ქმნის საფუძველს უფრო მეტი პროგრესისათვის.

შესაბამისად, საერთო პროგრესის მოთხოვნილებები აიძულებენ კაპიტალისტთა კლასს, იზრუნონ მუშათა თეორიულ-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლებაზე. ამიტომაც კაპიტალისტურ ქვეყნებში უფასო განათლების სისტემები. საზოგადოებას სჭირდება მაღალგანვითარებული კადრები და საზოგადოება ქმნის აღზრდა-განათლების შესაბამის სისტემას. მხედველობაშია როგორც ფასიანი სკოლა-ინსტიტუტები, ასევე უფასო. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირზე ადრე იაპონიაში იქნა შემოღებული უფასო საშუალო განათლება და ა. შ.

იგივე უნდა ითქვას უფასო ჯანდაცვის შესახებ. არავინ უარყოფს ფასიანი კლინიკების, ლაბორატორიების, ინსტიტუტების არსებობის ფაქტს, მაგრამ ვერც უარყოფენ, რომ არსებობს ღარიბთა და უპოვართა უფასო მკურნალობის სისტემებიც.

სტალინიზმის დახასიათება მეტ-ნაკლებად სრული ვერ იქნება, თუ არ მიეთითა საბჭოთა კავშირში არსებულ სწავლა-აღზრდისა და ჯანდაცვის უფასო სისტემების არსებობა-



ზე. არავინ დაობს მათი დადებითი ან უარყოფითი მხარეების შესახებ, მაგრამ მათი დანესება და ფუნქციონირება რუსეთის იმპერიის საბჭოთა წყობილებად გარდაქმნის პროცესში უთუოდ და უდაოდ დადებით მოვლენას წარმოადგენდა..

შეიძლება, ბევრი წუნი ჰქონდა დანესებულ აღზრდა-განათლების სისტემას. ავტორს ახსოვს, როგორ „ნაცნობობით“ მოულობდნენ ცალკეულ ფურცლებს, კერავდნენ ერთიან რვეულად და ასე ასრულებდნენ პედაგოგების დავალებებს, როგორ თხოულობდნენ სახელმძღვანელოებს და განაგრძობდნენ სწავლას. მთელ საბჭოთა კავშირში ერთი სახელმძღვანელო იყო მათემატიკაში, ფიზიკაში, ისტორიაში და სხვა საგნებში, ყველას ერთნაირი ჰქონდა, ამ მხრივ, პირობები და ეს ვერ აფერხებდა სწავლა-განათლების მსურველებს. იზრდებოდნენ უმაღლესი განათლების სპეციალისტები, მეცნიერები და ა. შ. მთავარია, რომ ერთიან სახელმწიფოში იყო აღზრდისა და სწავლა-განათლების წესები.

ძნელია, ორი წინადადებით სრულად შეფასება თუნდაც ისეთი მოვლენისა, როგორც იყო ქალთა და ვაჟთა სკოლების ცალკე-ცალკე არსებობა. როგორი წარმოსადგენია, როცა მალალი კლასების მოსწავლე ვაჟები ბოლო გაკვეთილებიდან იპარებოდნენ, რათა შორიდან დაენახათ, როგორ გამოდიოდნენ სკოლებიდან გოგონები. ველურობა იყო? ეგებ მდებდრობითი სქესისადმი მონინების აღზრდა? – ვინ იცის.

აღარაფერი ითქმება უფასო ჯანდაცვის სისტემაზე. დღეს მხოლოდ შეძლებულები არიან სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილები. არავინ უწყის, რა უჯდება რიგით ადამიანს ჯანმრთელობის მინიმალური პირობების მოპოვება. დღეს ჩვეულებრივი კაპიტალისტური ალებ-მიცემობის პრინციპია გაბატონებული. თუ არა აქვს ადამიანს ფული, ვერც ექიმთან მივა, ვერც საავადმყოფოს მიაკითხავს და ვერც აფთიაქს. ყველაფერი ჯანმრთელობას კი არა, მოგებას ემორჩილება.

სტალინიზმის ჩამოყალიბების პერიოდში თავად იმ უფლების აღიარებას, რომ ადამიანს ეკუთვნის უფასოდ მკურნალო-



ბა, პროფილაქტიკა, უკვე დიდ წინ გადადგმულ პროგრესს მოასწავებდა. ადამიანები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქვეყნის განვითარების კვალობაზე ეს უფლება სულ მეტ შედეგს მიუტანდა. იმ დროს ახლადშექმნილი წყობილების სტრუქტურულ-ხარისხობრივ მსხვერველაზე არავინ ფიქრობდა.

7. ღონისძიებათა ის კომპლექსი, რომელზეც მსჯელობა იყო, წარმოადგენდა ხერხემალს ახალი წყობილებისა. მისი დამკვიდრება, ძირითადად, მიუხედავად ათასი ნაკლოვანებისა, მიჩნეული იქნა სოციალიზმის გამარჯვებად. ამასთან გამარჯვება განხორციელდა არა მსოფლიო, არც ევროპის მასშტაბით. მიიჩნიეს, რომ სოციალიზმმა გაიმარჯვა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში და თანაც მტრული გარემოცვის პირობებში. მოხდა ის, რის შესაძლებლობას უარყოფდნენ ე. წ. მარქსისტები.

1936 წელს სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირის მასშტაბით, გაგებული იქნა, როგორც ახალი სიტყვა თეორიაში. მანამდე, მარქსიზმ-ლენინიზმი ამ შესაძლებლობას გამორიცხავდა. ეს პრობლემა იყო ასევე ტროცკიზმის წინააღმდეგ იდეური და ორგანიზაციული ბრძოლის ქვაკუთხედი. ახლა დადგენილი იქნა, რომ განხორციელდა სოციალისტური იდეურ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნა. სოფლის კოლექტივიზაციამ, მრეწველობის ინდუსტრიალიზაციამ, პარალელურად კულტურულმა რევოლუციამ განაპირობა სოციალიზმის უპირობო გამარჯვება ერთ ქვეყანაში. ცვლილებები კანონმდებლობის ფორმით აისახა კონსტიტუციაში. ასეც უნოდეს: სტალინური კონსტიტუცია.

გარკვეული ცვლილებები განხორციელდა ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხაზითაც. კერძოდ, დაიშალა ამიერკავკასიის ფედერაცია, ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა. მათ შორის საქართველოს შემადგენლობაში დაკანონდა ორი ავტონომიური რესპუბლიკა და ერთი ავტონომიური ოლქის არსებობა. შეიქმნა შუა აზიის რესპუბლიკები. თუ ამდენ ხანს საბჭოთა კავშირის ოთხი რესპუბლიკა ქმნიდა



(რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია, უკრაინა, ამიერკავკასიის ფედერაცია), ახლა ერთბაშად თხუთმეტი რესპუბლიკის კავშირი გაერთიანდა. ჩათვალეს, რომ ეს იყო დემოკრატიის დიდი მიღწევა და არც ერთ ეთნოსს შენიშვნა, სურვილიც არ გამოუხატავს საკითხის სხვაგვარი მოგვარების ხაზით.

სტალინიზმმა დასრულებული სახე მიიღო და ამის შემდეგ შეიძლებოდა მსჯელობა მისი იდეურ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური თავისებურებების, შემდგომი სრულყოფის შესახებ.

იმ დროს არ დასმულა საკითხი, არ გამოთქმულა ეჭვი შექმნილი პოლიტიკურ-სოციალური სისტემის სოციალისტურობის შესახებ. შეიძლება ბევრს შეჰყროდა ეჭვი სოციალისტური სამართლიანობა, თანასწორუფლებიანობაში და სხვა, მაგრამ ოფიციალურად აღიარებულ წყობილებას სხვა სახელს ვერავინ უწოდებდა. მაშინვე იყო ნათელი, რომ ოფიციალური მიმართვა „ამხანაგო“, ბევრ უსამართლობას შეიცავდა. როგორ შეიძლება, ამხანაგები ყოფილიყვნენ მმართველი, გაბატონებული კასტის წევრები და მილიონობით მუშა-გლეხები მდიდრები და ღარიბები, მაგრამ მისი შეცვლა არავის შეეძლო.

სოციალიზმი, რომელიც ობიექტური განსჯის შემთხვევაში მხოლოდ სახელმწიფოს მონოპოლიას, მის საკუთრებას და ბატონობას ემსახურებოდა, ოფიციალურად სოციალისტურ სისტემად იყო აღიარებული მთელ მსოფლიოში. მსოფლიო იმ დროს არ იცნობდა საბჭოთა კავშირს. თავისი წყობით, იდეოლოგიით სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენდა და გასაკვირი არაა, რომ თეორიული ცოდნისდაბალი დონის პირობებში აღიარებულ იქნა ნამდვილ სოციალიზმად. მიწის ნაციონალიზაციის, წარმოების საშუალებათა ისეთი მაღალი დონით განსაზოგადოების პირობებში გარკვეულად წაშლილი იყო ზღვარი სახელმწიფო კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის. ამ დროიდან მოყოლებული სტალინიზმი, სოციალიზმის სახელწოდებით, განაგრძობდა არსებობას, პოზიციების გამყარებას და სამყაროს გარდაქმნას მიესწრაფოდა თავისი არსისა და ფორმის მსგავსად.



V. დასკვნა

საბჭოთა კავშირში დამყარებული სისტემა აღქმული იყო, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ხორცშესხმა, როგორც საზოგადოებრივი საუკუნოვანი მისწრაფებების ტრიუმფი. დასტურად ნათქვამისა სასწავლებლებში ეცნობოდნენ პოპულარული უტოპისტების შემოქმედებას. უტოპიური ხასიათის კონცეფციების ღრმა ცოდნა საჭიროდ არ მიიჩნეოდა. მთავარი იყო დემონსტრირება მემკვიდრეობითობისა.

პარალელურად, მიჩქმალული იყო მარქსისტული დასკვნები კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი შესაძლებლობების შესახებ. ამიტომ იოლი იყო სახელმწიფო კაპიტალიზმის (კაპიტალისტური განვითარების მეექვსე საფეხურის) წარმოდგენა სოციალიზმად, ხოლო სოციალიზმისა კომუნისტური ფორმაციის პირველ ფაზად.

უნდა ითქვას, რომ ამ მრუდე ტრადიციას ვ. ლენინმა მისცა სათავე. თავად კ. მარქსი და ფ. ენგელსი საოციალიზმს და კომუნიზმს სინონიმებად წარმოიდგენდნენ, არავითარ სხვაობას მათ შინაარსში არ ხედავდნენ. ვ. ლენინმა პრაქტიკული მოთხოვნილებიდან გამომდინარე, დააშორა ისინი და სოციალიზმი წარმოადგინა. როგორც კომუნისტური ფორმაციის საწყისი პერიოდი.

ვ. ლენინისათვის არსებითი იყო მონოპოლისტური და ბოლოს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის იმპერიალისტურ, მომაკვდავ კაპიტალიზმად დახატვა, რადგან ამ საფეხურზე, მისი აზრით, სრულად მომწიფებულია მატერიალური პირობები რევოლუციის განსახორციელებლად.

სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არა გვხვდება სახელმწიფო კაპიტალიზმის განხილვა.¹ მიჩნეული იყო, რომ მინის ნაციონალიზაცია და წარმოების საშუალებათა სახელ-

1. თავად ავტორის „ფ. ენგელსი გასახელმწიფოებრიობის შესახებ“ (რუსულ ენაზე), პარტიის ცენტრალურ კომიტეტში 1972 წ. გამოსაქვეყნებლად აკრძალეს. ჩათვალეს, რომ სოციალიზმზეა მსჯელობა და ამასთან, დამახინჯებულად ასახული. ოდნავ შერემონტებული 1974 წ. კრებულში იქნა დასტამბული.



მნიფო საკუთრებად გადაცემა უკვე სოციალიზმია.

რეალურად საბჭოთა კავშირში მოხდა წარმოების სა-
შუალებების განსაზოგადოება სახელმნიფო საკუთრების ფორ-
მით. კერძო-ინდივიდუალური საკუთრების ლიკვიდაცია აღ-
ქმული იქნა, როგორც განსაზოგადოება სოციალისტური ში-
ნაარსით.

ამან, თავის მხრივ, დროებით მიჩქმალა კაპიტალისტური
და, საერთოდ, ფორმაციათა ძირითადი წინააღმდეგობა საზო-
გადოების მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერ-
თობათა ფორმას შორის. ეს იყო სტალინიზმის, როგორც წყო-
ბილების ძირითადი წინააღმდეგობა.

უფრო გასაგებად: საზოგადოებაში მოქმედებს მწარმოე-
ბლური ძალების ხასიათიდან, წარმოებით ურთიერთობათა
ფორმის აუცილებელი შესატყვისობის კანონი. ნებისმიერი
ფორმაცია, დღემდე მაინც, ილუპებოდა ამ კანონის საფუძველ-
ზე.

კანონის თანახმად, საზოგადოებრივ მწარმოებლურ
(საწარმოო) ძალებს უნდა შეესაბამებოდეს წარმოებითი ურთ-
იერთობანი. როცა ძალებს ურთიერთობათა ფორმა არ შეესა-
ბამება, დღის წესრიგში დგება, ფორმის ძალებთან შესაბამი-
სობაში მოყვანა.

სტალინიზმის გამარჯვების წყალობით დაირღვა აუცილე-
ბელი შესაბამისობა. საზოგადოებაში იძულების წესით ურთ-
იერთობათა ფორმა ჩამოყალიბდა კაპიტალისტური განვი-
თარების მეექვსე საფეხურის შესაბამისი. რაც შეეხება მწარ-
მოებლურ ძალებს, მათი განვითარება მანქანური წარმოების
დონეზე იყო (სხვანაირად, კაპიტალისტური განვითარების მე-
სამე საფეხურზე იდგა). განვითარებაში ფორმამ 2-3 საფეხუ-
რით გაასწრო არსს და მივიდა შეუსაბამო მდგომარეობაში.
არსი (შინაარსი) მოითხოვდა შესაბამის ფორმას, მაგრამ, რო-
გორც იძულებამ ჩამოაყალიბა ეს რეალობა, იგივე ძალა ამუხ-
რუჭებდა შესაბამისობის კანონის მოქმედებას.

ამას ემატებოდა თეორიული თავისებურებები, რამდენად-



აც მიწისა და წარმოების საშუალებათა სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევა აღიარებული იყო სოციალიზმად. მისი შესაბამისი იდეოლოგიური ფორმულირებანი უნდა დამკვიდრებულიყო საზოგადოების მასშტაბით.

გამოვიდა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფო საკუთრება მიჩნეული იქნა სოციალისტურად. შესაბამისად, წარმოებითი ურთიერთობანი აღიარებული იქნა სოციალისტურად, ლოზუნგი (პრინციპი): ყველასაგან შესაძლებლობის მიხედვით, შეესაბამებოდა სოციალისტურ იდეებს. უგულებელყოფილი იყო მისი მეორე ნაწილი: ყველას შრომის მიხედვით. სინამდვილეში ყველას შრომის მიხედვით, მოქმედებდა მშრომელებთან მიმართებაში. რაც შეეხება ხელმძღვანელ კადრებს, ერთიან მიმართებაში მოქმედებდა არასოციალისტური პრინციპი: ყველას თანამდებობის (პასუხისმგებლობის) მიხედვით. ეს იყო იდენტური კაპიტალისტური პრინციპისა: ყველასაგან შესაძლებლობის მიხედვით, ყველას შრომისა და კაპიტალის მიხედვით. რამდენადაც საბჭოთა კავშირში ფორმით ყველა დაქირავებულ მუშაკს წარმოადგენდა და კაპიტალს (დიდ საკუთრებას) არ ფლობდა. აშკარად კაპიტალის მიხედვით, შეიცვალა სიტყვით თანამდებობის (პასუხისმგებლობის) მიხედვით.

ყოველივე გამყარებული იყო იდეოლოგიურად, ითვლებოდა, რომ მთელი გარდაქმნები ატარებდა სოციალისტურ ხასიათს მიღწეული იყო სოციალისტური საკუთრება და საკუთრებითი ურთიერთობანი. რაც მთავარია: ყველა ცვლილება, გარდაქმნა შეესატყვისებოდა მარქსისტულ-ლენინურ თეორიულ გარდაქმნებს, მხოლოდ ეგაა, ამ სოციალისტურ იდეოლოგიაში რა იყო მარქსისტული, რა ლენინური, ამის კვლევა-ძიება არ მიმდინარეობდა. უკეთეს შემთხვევაში, ეფუძნებოდა მარქსის რამდენიმე ამოგლეჯილ ციტატას. მარქს-ენგელსის თხზულებათა 52-ე ტომში სასურველი წინადადებების მოძებნა შესაძლებელი იყო, მთავარია, რომ ყოველი ნაშრომი შესაბამისობაში ყოფილიყო პარტიის ყრილობის, პლენუმის დებულებებთან.



უფრო ზუსტად, ქვეყნის მორიგი ბელადის ნათქვამებთან.

ამრიგად, გამოვიდა, რომ: საბჭოთა ქვეყნის სამრეწველო-ეკონომიკური განვითარება უტოლდებოდა კაპიტალისტური განვითარების მესამე, შემდეგ მეოთხე საფეხურს მწარმოებლური ძალები ამ დონეზე იყო. წარმოებითი ურთიერთობანი და მწარმოებლურ ძალთა საკუთრების ფორმა, კაპიტალისტური განვითარების მეექვსე საფეხურს შეესაბამებოდა. ეს მდგომარეობა თეორიულად ახსნილი იყო ე.წ. სოციალისტურ საფუძველზე.

წყობილების ძირითადი წინააღმდეგობა: მწარმოებლურ ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა აუცილებელი შესატყვისობის შეუთავსებლობა, საერთოდ, არც განიხილებოდა.

VI. გამარჯვებული სტალინიზმი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) ახალი ახალი კონსტიტუციის მიღებით საკანონმდებლო დონეზე ამტკიცებდა სტალინურ წყობილებას. ოციანი წლების ბოლოს იგი მკვეთრად დაუპირისპირდა გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მიერ შექმნილ სისტემას, რომელსაც სხვანაირად, თუ არა ფაშისტური გერმანია, არ უწოდებდნენ.

საუკუნის დასაწყისში მიჩნეული იყო, რომ გერმანია (ინგლისთან ერთად) ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა და ყველაზე მომზადებულს სოციალიზმის დასამყარებლად. ვ. ლენინი, როცა რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაზე ფიქრობდა, აღიარებდა, რომ ეს მოხდება გერმანიის მხრივ დახმარების შემთხვევაში. ცალკე რუსეთში სოციალიზმის წარმატებებს გამორიცხავდა. ამიტომ იყო, 1920 წელს წამოიწიყეს ომი პოლონეთის წინააღმდეგ, რათა იქიდან გერმანიაში რევოლუციის წარმატებისათვის შეეწყოთ ხელი.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ, გერმანიაში ადგილი ჰქონდა რევოლუციურ მდგომარეობას. გერმანიის კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები, წვრილბურჟუაზიული



პარტიები ცდილობდნენ აქტიური როლი შეესრულებინათ მშრომელთა მოძრაობაში. მათ შორის იყო ნაციონალურ-სოციალისტური პარტია.

პროლეტარულმა რევოლუციურმა მოძრაობამ გერმანია, ავსტრია, უნგრეთში მარცხი განიცადა. 1924 წელს შეწყდა მშრომელთა რევოლუციური გამოსვლები. სანაცვლოდ, იმძლავრა ნაციონალ-სოციალისტურმა მოძრაობამ. მსოფლიო ომში დამარცხებული, დამცირებული, დაქსაქსული, გერმანელებისათვის მისაღები აღმოჩნდა ნაციონალური იდეების მატარებელი სოციალისტური იდეები. მით უფრო, რომ ისინი უარყოფდნენ კერძო საკუთრების მოსპობის, მიწის ნაციონალიზაციასა და ისეთ პრინციპებს, რასაც ეფუძნებოდა რუსეთის სოციალდემოკრატიული პარტიის ბოლშევიკური ნაწილი, რომლებმაც თავს კომუნისტები უწოდეს.

გერმანიაში ძლიერი იყო კომუნისტური პარტია, რომელიც მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის (კომინტერნის) ნამყვან ძალას წარმოადგენდა. შესაბამისად, გერმანიაში მოხდა კომუნისტური პარტიისა და ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის დაპირისპირება. უკანასკნელებმა საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწიეს.

1933 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ნაციონალ-სოციალისტებმა კომინტერნის პარტიები იდეოლოგიურ მონინაალმდეგებად გამოაცხადეს. მათ შორის იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ ბევრი რამ ისწავლა ბოლშევიკებისაგან. საბჭოთა კავშირში ბოლშევიკების კლასობრივ მტრად შეძლებული გლეხობა გამოცხადდა და მათგან იქნა იძულებით ამოღებული მრენველობის განვითარებისთვის საჭირო თანხები. გერმანიაში კერძო საკუთრებას არ შეხებინან, ნაციონალური საკითხი იქნა მიზანში ამოღებული და ებრაელების რეპრესიებით, ძარცვით შეძლეს საჭირო შესაძლებლობის მობილიზება. დიდი, არიული გერმანიის წმინდა მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა იქცა მიზნად.



1938 წელს მიუნხენის კონფერენციაზე ინგლისმა და საფრანგეთმა პრაქტიკულად გზა გაუხსნეს გერმანიის მილიტარისტული მისწრაფებების ხორცშესხმას. მათ იმედი ჰქონდათ, ორი მონათესავე იდეოლოგიის პარტიებისა და სახელმწიფოების შეჯახებისა. ამ დროიდან მოყოლებული გერმანია არა მალავდა სურვილს, არიული წარმომავლობის ეთნოსების გაერთიანებისა ტიბეტამდე ტერიტორიების დაპყრობის გზით. ბუნებრივია, ამას საბჭოთა კავშირთან ომის გარეშე ვერ განახორციელებდნენ.

ინგლის-საფრანგეთი შეცდა, როცა იფიქრეს, რომ მშვიდობას მიაღწიეს თავიანთი ხალხებისათვის, მაშინ განირეს ომისათვის. დასავლეთის პოლიტიკოსებმა არ გაითვალისწინეს ბისმარკის ანდერძი: გერმანიას ორ ფრონტზე არ უნდა ეომა. სანაცვლოდ, გაითვალისწინეს გერმანელებმა და, სანამ აღმოსავლეთს შეუტევდნენ, ჯერ დასავლეთი დალაშქრეს. ზურგი გაიმაგრეს¹.

ი. სტალინის დამსახურებაა არსებული სოციალისტური წყობის მსოფლიო სისტემად გადაქცევა ე. წ. სოციალისტური ქვეყნების იდეურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ბანაკის ფორმირება. მართალია, მან ვერ შეძლო სამხრეთ აზერბაიჯანის, თურქეთის ფარგლებში მოქცეული სომხური და ქართული მხარეების საბჭოთა კავშირისთვის შემოერთება, ვერც სამხედრო ბაზის დაფუძნება თურქეთის ტერიტორიაზე, მაგრამ რაც მოახერხა, უკვე უდიდეს მიღწევას წარმოადგენდა. კურილიის კუნძულებიდან მოყოლებული, სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის ჩათვლით, ბერლინამდე ტერიტორია ბევრ

1. მცირე გახსენება: ნ. ხრუშჩოვის „იმპერატორობის“ დროს იმდენი ითქვა, ამ პერიოდის და შემდგომი ცხოვრების განმავლობაში ი. სტალინის „ბედოვლათობაზე“, „სიდეღეზე“, „უცოდინრობაზე“ და სხვა, რომ ძნელია თავშეკავება, რათა ობიექტურმა ადამიანმა არ გაიხსენოს ბევრი ისეთი, რაც მოცემულია იმ ამბების მონაწილეთა მოგონებებში. იქნებ, ვინმე კიდევ შეასრულებს ამ საინტერესო სამუშაოს? აქ კი ითქმება, რომ ნ. ხრუშჩოვის დროს ცილისწამება, ლ. ბრეჟნევის დროს, ძირითადად, იქნა მხილებული. მ. გორბაჩოვის დროს კვლავ სცადეს შავი კრიტიკა და უშედეგოდ. არაა ადამიანობა მიცვალებულთან ომი.



ქვეყანას და ხალხებს აერთიანებდა.

მიზანი არაა იმ რთული ისტორიული პროცესების ანალიზი. ამოცანა მხოლოდ ისაა, რომ ითქვას: ყველა ის ქვეყანა, რომელიც საბჭოთა კავშირთან ერთ სივრცეს ქმნიდა, ფაქტობრივად, სტალინიზმის მოდელს იმეორებდა.

არც ერთ სოციალისტურ თუ ე. წ. სახალხო დემოკრატიის ქვეყანაში არ განხორციელებულა გარდაქმნების ის პროგრამა, რაც მოხდა საბჭოთა კავშირში. როგორც წესი, შენარჩუნებული იქნა მიწაზე კერძო საკუთრების უფლება. შეიძლება რიგ შემთხვევებში მსხვილ მიწათმფლობელებს ნაციონალიზაციის პროცესი შეეხო, მაგრამ არა წვრილ მიწათმფლობელებს. შეიძლება, განხორციელდა მსხვილ საწარმოთა ნაციონალიზაცია და ჩამოყალიბდა მძლავრი სახელმწიფო საკუთრების სექტორი, მაგრამ საშუალო და წვრილ მწარმოებლებს, როგორც წესი, არ შეეხებოდა. განსაზოგადოება არც ერთ ქვეყანაში არ განხორციელებულა საბჭოთა განსაზოგადოების დონემდე. შესაბამისად, თუ საბჭოთა კავშირში კერძო საკუთრება სრულად მოექცა კერძო საკუთრების ფარგლებში, სხვაგან ამის მცდელობაც არ ყოფილა.

სხვანაირად, ალბათ, არც შეიძლებოდა. ყველა ქვეყანას ახასიათებდა განვითარების ესა თუ ის დონე, ტრადიციები, კონკრეტული სოციალ-ეკონომიკური პირობები. მათი ერთ კალაპოტში მოქცევა, ერთნაირი ცვლილებების განხორციელება, არა მხოლოდ შეუძლებელი, არამედ არასასურველიც იყო.

რაც შეეხება საკუთრივ საბჭოთა კავშირს, მეორე მსოფლიო ომის დროს დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა იყო პირველი რიგის ამოცანა. მისი სწრაფად გადაწყვეტა ქვეყანას არ შეეძლო. გადაწყდა, რეპარაციების მაქსიმუმის მოზიდვა. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ გერმანიიდან გამოტანილი იქნა ყველაფერი ხელშესახები. უფრო მეტი, როდესაც მოკავშირეებმა დამარცხებული გერმანია გავლენის სფეროებად დაყვეს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობამ კუთვნილი ზონიდან ქარხნების წაღებაზე უარი გა-



ნაცხადა და ეს ნაწილიც საბჭოთა კავშირს დაუთმეს. განცხადების თანახმად, გერმანიაში ქარხნის დაშლა, მისი ამერიკაში გადატანა და იქ აწყობა, უფრო ძვირი უჯდებოდათ, ვიდრე ასეთივე ქარხნის აგება საკუთარი სახსრებით. საბოლოო ანგარიშით, საბჭოთა კავშირმა გერმანიის სამრეწველო პოტენციალის 45% წამოიღო. ამ გზით შეიქმნა მძიმე მრეწველობის მძლავრი ბაზა. ქვეყანამ 3-4 წელიწადში გადაჭარბებით აღიდგინა ომით მიყენებული ზარალი. 1947 წლიდან შესაძლებელი გახდა მოსახლეობისთვის გარკვეული შეღავათების განხორციელება, რამაც გაზარდა წყობილების სოციალისტურობისადმი და უკეთესი მომავლისადმი რწმენა.

იმ პერიოდის მოვლენებიდან ბევრი რამის გახსენება შეიძლება. საკმარისია, მიეთითოს საბჭოთა სიამაყის, რაკელმშენებლობის ტრიუმფზე, რომელიც გერმანიიდან წამოღებულმა მიღწევებმა გახადეს შესაძლებელი.

დაპყრობილი ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირმა იმდენი მიიღო, რომ სამეცნიერო-ტექნიკური დონით ევროპაში მონინავე ქვეყანა გახდა. არც ყოფილი მოკავშირეები დარჩნენ ყურადღების გარეშე. თუნდაც ერთი, ბრუნო პონტიაკოვროს გამოტაცება რას ნიშნავდა, გამოჩნდა, როცა ინგლისში შეფერხდა ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა და საბჭოთა კავშირმა პირველმა მსოფლიოში შექმნა ასეთი სადგური.

ამ შემთხვევაში მთავარია, რომ საბჭოთა კავშირმა შეძლო ევროპისა და აზიის ქვეყნებში გავლენის გავრცელება და არა მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური, არამედ სოციალ-ეკონომიკური ერთიანი სისტემის შექმნა. აქვე უნდა ითქვას, რომ ცვლილებები ყველგან და თანაბრად არ განხორციელებულა. ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას და ძალის გამოყენების აუცილებლობას. შედეგად, შეიქმნა ე. წ. სოციალისტური ქვეყნების ბანაკი. მსოფლიო გაიყო ორ დაპირისპირებული ქვეყნების, ჩვეულებრივი კაპიტალისტურ და ე. წ. სოციალისტურ სისტემებად. ითქმება სოციალისტური, თორემ ეს იყო სტალინიზმის პრინ-



ციპებზე დაფუძნებული მსოფლიო სისტემა. ამდენად, მსჯელობა შეიძლება სტალინიზმზე მსოფლიო მასშტაბით.

რამდენად შეიძლება სისტემის და შემადგენელი ქვეყნების სოციალისტურობაზე მსჯელობა, ეს საკმაოდ იოლი დასადგენია. საკმარისია, მოაზროვნემ, არა ცალკეული ციტატების მოშველიებით, არამედ მოძღვრებათა ცოდნით შეადაროს მარქსიზმის არსი ლენინიზმის მონაცემებს, ორივე კი საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების სინამდვილეს და შედეგიც ლოგიკური იქნება.

ე. წ. სოციალისტური ქვეყნების რეალური სურათი მიესადაგება ჩვეულებრივი კაპიტალიზმის პრინციპებს თუ არა, გამოაჩენს მათი ბუნების ანალიზი.

არაერთხელ აღინიშნა, რომ კაპიტალიზმის ძირითადი განმასხვავებელი სხვა ფორმაციებისგან არის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების ბატონობა. ისევე, როგორც ფეოდალურ ფორმაციაში ძირითადი იყო ბატონისა და ყმის ურთიერთობა. ისევე, როგორც მონათმფლობელობის ფორმაციაში ძირითადი იყო მონათმფლობელისა და მონის ურთიერთობა. თქმა არ უნდა, ამ ფორმაციების ფარგლებშიც იყო ფული, იყო წარმოება ხელოსნობის სახით, მაგრამ მთავარი, წამყვანი ადგილი მას არ ეკავა. ფული და სამრეწველო დონემდე ასული წარმოება, წამყვანი, გაბატონებული მდგომარეობის მქონე ხდება მხოლოდ კაპიტალიზმის დროს.

ითქვა, რომ მარქსიზმის მოძღვრების თანახმად მომავალში გაბატონებულ მდგომარეობას პროდუქტწარმოება და პროდუქტთგაცვლა დაიკავებს. ეს ნიშნავს, რომ კაპიტალისტური კერძო საკუთრება ამონურავს თავის შესაძლებლობებს, გადაიზრდება სახელმწიფო კერძო საკუთრებაში და შექმნის საზოგადოებრივ საკუთრებად გადაზრდის პირობებს. კერძო საკუთრება და საზოგადოებრივი საკუთრება კი სრულიად განსხვავებული ბუნების მოვლენებია. უფრო მეტი: კ. მარქსი ამტკიცებდა, რომ როგორც ადრე ფორმაციები იცვლებოდა კერძო საკუთრების ფარგლებში, ასევე მომავალში ფორმაცი-



ბი შეიცვლება საზოგადოებრივი საკუთრების ფარგლებში.

ვ. ლენინი ეთანხმდებოდა მარქსიზმს, რომ ფულად-სა-საქონლო ურთიერთობათა ბატონობა კაპიტალიზმის არსის გამომხატავი მოვლენაა, რომ ახალი (სოციალისტური) წყობილების დროს იგი მოისპობა და ადგილს პროდუქტთწარმოებას და გაცვლას დაუთმობს. ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ბოლშევიკებმა კიდევ სცადეს ფულის ბატონობის მოსპობა (ე. წ. სამხედრო კომუნებში). უფრო მეტი, თვით ნეპი ვ. ლენინს ესმოდა, როგორც დროებითი უკან დახვევა, ერთი წლის შემდეგ კი მოითხოვდა, კვლავ პროდუქტთწარმოებაზე გადასვლას და ბოლოს აღიარა: არაფერი გამოდის, რუბლი ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდაო.

ი. სტალინიმა იძულებით შეძლო კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხურის (სახელმწიფო კაპიტალიზმის) ურთიერთობანი, მანქანური წარმოების დონის მწარმოებლური ძალებისთვის მოერგო. მიიჩნევდა, რომ შეძლებდა წარმოების სწრაფ განვითარებას და წარმოებით ურთიერთობათა წინწასული ფორმის, მწარმოებლურ ძალებთან აუცილებელ შესაბამისობაში მოყვანას. ამას ხელს შეუწყობდა სოციალისტური იდეოლოგიის დანერგვა.

სოციალიზმის (სტალინიზმის) მსოფლიო სისტემის შიგნით არ იყო განვითარების (ეკონომიკური და კულტურული) ერთნაირი დონე. საბჭოთა კავშირში იგი მიღწეული უნდა ყოფილიყო და იქნა, მკაცრი იძულების გზით, ასეთივე მეთოდები დასჭირდებოდათ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს (ჩინეთი, ვიეტნამი, კორეა, მონღოლეთი...). სხვა ვითარება იყო გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში. იქ კაპიტალიზმი ევოლუციურად, ეკონომიკური მოთხოვნილების მიხედვით ვითარდებოდა. სოციალიზმის მსოფლიო ბანაკის შექმნის პერიოდისთვის, თუმცა რეპარაციების გადახდის შემდეგ, მათი ეკონომიკა გაღატაკებული, გაძარცვული იყო, საერთო დონით ისინი კაპიტალისტური განვითარების მეოთხე საფეხურზე იყვნენ და წარმოებითი ურთიერთობანიც შესატყვისი ფორმის ჰქონდათ.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში კერძო-ინდივიდუალური და კოლექტიური საკუთრების გარდა, მაღალ დონეზე იყო სახელმწიფო საკუთრება. წარმოების სახელმწიფო სექტორი დაახლოებით უტოლდებოდა კერძო-ინდივიდუალური სექტორის მონაცემებს. ასეთი მდგომარეობის მოთავე იყო კანცლერი ბისმარკი. იგი ხელს უწყობდა მძლავრი სახელმწიფო სექტორის შექმნას და, საჭიროების შემთხვევაში ნაციონალიზაციასაც ახორციელებდა. ფ. ენგელსი ამიტომაც აღნიშნავდა: ნაციონალიზაცია და სახელმწიფო საკუთრების შემოღება რომ სოციალიზმი იყოს, მაშინ სოციალიზმის მამამთავარი ბისმარკი იქნებოდა და არა მარქსი.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ძალისხმევით ჩამოყალიბებული ბანაკის შიგნით, გერმანიის მწარმოებლური ძალების ხასიათთან წარმოებით ურთიერთობათა ფორმა შესატყვისობაში იყო და რამე ძირეულ გარდაქმნებს არ საჭიროებდა. იქ ე. წ. სოციალისტური იდეოლოგიის დანერგვა სხვა მოვლენებთან იყო კავშირში. კერძოდ: მსოფლიო ომის პირობებში, საბჭოთა ჯარები იმ ქვეყნების ხალხებს ევლინებოდნენ, როგორც განმათავისუფლებლები. ომის შემდეგ გამოვიდა, რომ ერთი დამპყრობი მეორემ შეცვალა. ეს კი ხალხების უკმაყოფილებას იწვევდა. აჯანყებები ბერლინში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში ამის ნათელი დასტურია. ამავე კონტექსტში უნდა იქნეს განხილული 1956 წლის 9 მარტის ჟღერა თბილისში.¹

სტალინიზმი, როგორც იდეურ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების სისტემა სხვადასხვა დონით და მეთოდებით ხორციელდებოდა ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. მათ შორის სხვაობა დიდი იყო. განმსაზღვრელს მაინც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა, სადაც ყველაზე უფრო სრულად განხორციელდა ძირეული ცვლილებები.

1. ამიტომაც აუცილებელი თბილისში, მშრალ ხიდან, სტალინის ძეგლთან განხორციელებული ველური ხოცვა-ჟლეტის მსხვერპლთა მემორიალის მოწყოლა. ვაკის და სხვა სასაფლაოებიდან მსხვერპლთა გადასვენება. ავტორი, იმ ამბების მონაწილე, ადასტურებს, რომ სტალინის სახელი იყო ფორმა, არსი კი ეროვნული დამიუკიდებლობისათვის ბრძოლა.



ე. წ. სოციალისტური ქვეყნების ბანაკის წარმატებები გარკვეულ გავლენას ახდენდა დანარჩენ მსოფლიოზე. ლოგიკურია, რომ ეს გავლენა გამოიხატებოდა მიბაძვასა და სტალინიზმის ღონისძიებათა გადაღებაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ არა მხოლოდ ე. წ. მესამე სამყაროს ქვეყნები, არამედ ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყნებიც დაინტერესდნენ არსებული სოციალიზმის რაობით, იქიდან პროგრესული ელემენტების გადაღებით. ასე გაჩნდა ფრანგული სოციალიზმის, დანიური, სკანდინავიური სოციალიზმის ვარიანტები. ამას ემატებოდა მსოფლიოს წამყვანი მოაზროვნეების მიერ (გელბრაიტი, ბელი, მარკუზე და სხვ.) კონვერგენციის თეორიის შემუშავება. ამ თეორიის თანახმად, კაპიტალისტურ და სოციალისტურ ქვეყნებს უფრო მეტი ჰქონდათ საერთო, ვიდრე განმასხვავებელი ნიშნები. იქვე დასკვნა, რომ ეს ორი სისტემა ვითარდებოდა დაახლოების და შერწყმის გზით.

ყოველივე ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წარმატებებზე მითითება გახლდათ. ძნელია მარჩიელობა, რა დონეს, რა სიძლიერეს მიაღწევდა სტალინური სისტემა, რომ არა ხელისუფლების ცვლა საბჭოთა კავშირში.

VII. ცვალებადობის კანონი

ამ ქვეყანაზე მუდმივი არაფერია. მუდმივი მხოლოდ ცვლილებებია. სტალინიზმის აღმავლობა, მსოფლიო სისტემად გადაქცევა (რის შესახებ მხოლოდ სქემატურად იყო მსჯელობა), შეიძლება, მკვეთრ აღმართს შედარდეს. აღმართს კი, როგორც წესი, დაღმართი მისდევს.

სტალინიზმის, როგორც მსოფლიო მოვლენის არსებობაში, დაღმართი, ნეგატიური მოვლენები თუ აშკარა წინააღმდეგობრივი პროცესების სახით, დაიწყო ნ. ხრუშჩოვის მიერ მოღალატური გზით ძალაუფლების უზურპაციის შემდეგ. შეთქმულება, რომლის მსხვერპლი ი. სტალინი იყო, საერთოდ, სტალინიზმის (რეალური სოციალიზმის) წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებებად უნდა შეფასდეს. თუმცა, მის გარეშეც, წყობილების შინაგანი წინააღმდეგობების მოქმედება, საბ-



ოლო ანგარიშით, უეჭველად გამოინვევდა იმავე შედეგს.

ხანგრძლივი მსჯელობის გარეშე ითქმება, რომ ნ. ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულმა პოლიტიკამ და შეზღუდულმა თეორიამ დააჩქარა სტალინიზმის იმანენტური წინააღმდეგობების გამოაშკარავება, გააშიშვლა შინაგანი ბუნება და ხელი შეუწყო საერთო კრახს.

ყოველი წყობილების დროს ძირითადი იყო წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის. სტალინიზმის დროს მითვისებას გაორებული ხასიათი ჰქონდა. ერთი იყო მითვისება შრომის მიხედვით, მეორე – თანამდებობის (პასუხისმგებლობის) მიხედვით. ეს თავის მხრივ, იწვევდა რიგ უარყოფით მოვლენებს.

ი. სტალინის დროს მკაცრი აღრიცხვა-კონტროლი შესაძლებელს ხდიდა სახელმწიფო საკუთრებისთვის დამახასიათებელი გეგმიურობის შესრულებას. ნ. ხრუშჩოვის დროს წესრიგი მოიშალა. ფართო გასაქანი მიეცა მიწერებს, მოჩვენებითობას. ეს დაკავშირებული იყო დაუინტერესებლობით მშრომელების მხრიდან და კონტროლის მოშლით ხელმძღვანელობის მხრიდან.

კაპიტალისტური განვითარების დაბალ საფეხურზე კაპიტალისტები ცდილობდნენ, ნაკლები დანაკარგებით მეტი ეწარმოებინათ და მეტი მოგება მიეღოთ. ამასთან, კონკურენციის პირობებში, არ იცოდნენ რა ბაზრის მოთხოვნილება, ადგილი ჰქონდა პერიოდულად ზედმეტი წარმოებით გამონვეულ კრიზისს. სახელმწიფო საკუთრების საფეხურზე, გეგმიურობის პირობებში, ადგილი ჰქონდა არარეალური გეგმების შემუშავებას, რომლებიც, საერთოდ, დაუინტერესებლობის პირობებში არა სრულდებოდა ან, უკეთეს შემთხვევაში, სრულდებოდა უხარისხო საქონლის წარმოების გზით, რაც ნაკლებ-წარმოების ეკონომიკურ კრიზისთან იყო დაკავშირებული. ქალაქებში, პარტიულ მაჩვენებლებში, ყველაფერი წარმატებული და კარგი იყო, რეალურ ცხოვრებაში კი – პირიქით. ეს, თავის მხრივ, საერთოდ, უკმაყოფილებას იწვევდა.



საზოგადოების მწარმოებლური ძალები თავისი დონით, შესაძლებლობით, ბევრად ჩამორჩებოდნენ სახელმწიფო საკუთრების იმანენტურ წარმოებით ურთიერთობებს და ანტაგონისტურ წინააღმდეგობაში შესულები აუცილებელ შესაბამისობის აღდგენის აუცილებლობაზე მიაწინებდნენ. სხვანაირად, სტალინისტური წარმოებითი ურთიერთობები კაპიტალისტური განვითარების მეექვსე საფეხურს შეესაბამებოდნენ, მწარმოებელი ძალები კი მეოთხე საფეხურს.

ქვეყნის ხელმძღვანელობა, მოკლებული მარქსისტული მოძღვრების ძირითადი დასკვნების ცოდნას, გადანყვეტილებებს ხშირად სუბიექტური გაანგარიშებებით იღებდა. სხვა რას უნდა მიეწეროს გახმაურებული დასკვნა საბჭოთა კავშირში ე. წ. განვითარებული სოციალიზმის ეპოქის დადგომის შესახებ? ცხადია, ქვეყნის ხელმძღვანელობა გამოსავლის ძიებისას მივიდა ამ „გენიალურ“ დასკვნამდე.

რეალურად, მთელი სამოციანი წლების მანძილზე, ქვეყნის ეკონომიკა რღვევასა და წინააღმდეგობათა გამწვავებას განიცდიდა. არადა, გამოცხადებული ჰქონდათ, რომ სწორედ სამოციანების ბოლოს (1980 წლისათვის) შეძლებდნენ კომუნიზმის პრინციპების ძირითადად განხორციელებას. საზოგადოება ცხოვრების კომუნისტურ ფაზაში შევიდოდა.

პრაქტიკა კი საპირისპიროს ადასტურებდა. რა ექნათ? გადანყვიტეს, რომ კომუნიზმის ნაცვლად, „განვითარებული სოციალიზმის“ შექმნა გამოეცხადებინათ. სოციალიზმი ხომ 1936 წელს აღიარეს გამარჯვებულად, ახლა „გამარჯვებული სოციალიზმი“ უკვე „განვითარებულ სოციალიზმად“ მონათლეს. რა შეიცვალა წყობილებაში? რა ახალ სიმაღლემდე გაიზარდა წყობილება? ამის ანალიზი და პროპაგანდა დაქირავებულ მეკალმე-აგიტატორების არმიას მიანდეს. მათვე უნდა „დაესაბუთებინა“ მომავალში „განვითარებულ“ სოციალიზმს „მომწიფებულ“ სოვიცალიზმად გადაზრდა.

სინამდვილეში, სამოციანი წლები იყო სახელმწიფო კაპიტალიზმისათვის ბუნებრივი შინაგანი წინააღმდეგობის გამ-



წვავების პერიოდი. კაპიტალიზმის თავისუფალი კონკურენციის ანარქიული წარმოებისათვის დამახასიათებელი ჭარბწარმოების ეკონომიკური კრიზისი შეცვალა სახელმწიფო კაპიტალიზმის (სტალინიზმის) გეგმიური წარმოებისათვის დამახასიათებელი (საერთო დაუინტერესებლობის პირობებში) ნაკლებწარმოების ეკონომიკურმა კრიზისმა.

სტალინიზმის საერთო კრიზისის ვითარებაში გამწვავდა წყობილებისათვის დამახასიათებელი ყველა წინააღმდეგობა. ვერავითარი აგიტაცია და პროპაგანდა ველარ ფარავდა საზოგადოების დაყოფას, თანამდებობის ბურჟუაზიის მზარდ კეთილდღეობას, ერთიანი მუშათა კლასის ცხოვრების კატასტროფულად დაბალი დონის ფონზე. ცხადი ხდებოდა საზოგადოების კლასებად დაყოფის და მათ შორის ურთიერთობის ხასიათის შესახებ ოფიციალური თვალსაზრისის სიცრუე.

ოფიციალურად მიღებული იყო, რომ ე. წ. სოციალისტური საზოგადოება შედგებოდა ორი მუშათა და გლეხთა კლასებისაგან და მათგან გამოყოფილი ინტელიგენციის ფენისაგან. ექსპლოატატორული კლასები კი არა, ელემენტებიც ლიკვიდირებული იქნენ და მთელი საზოგადოება მშრომელებისაგან შედგებოდა.

გარეგნულად ასეც იყო. ქვეყანაში, სადაც მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, მეურნეობები სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა, ფორმალურად, ყოველი ადამიანი სახელმწიფოს დაქირავებული მუშაკი ხდებოდა. რჩებოდა არაარსებითი სხვაობა ქალაქსა და სოფელს შორის (ქარხნის და მეურნეობის) მშრომელებს შორის, მაგრამ ეს სოციალური პირობების მხრივ წინააღმდეგობას არ იწვევდა. ყველანი სახელმწიფოს დაქირავებული მშრომელები იყვნენ. ასეთსავე მდგომარეობაში უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა ინტელიგენციის ფენის წარმომადგენლებს. ყველა შრომობდა, ყველა ღებულობდა... აი, აქ იყო ჩამარხული ანტაგონიზმის გარდაუვალობა.

მარქსიზმის თანახმად, სახელმწიფო კაპიტალიზმის საფეხ-



ური (თუ ის ევოლუციური ეკონომიკური განვითარების გზით იქნებოდა მიღწეული), იმიტომ იყო მიჩნეული სოციალიზმის წინააღმდეგ, მისთვის მატერიალური და კულტურული წინაპირობების მომნიშვნელობა, რომ უფრო მეტი განსაზოგადობა კერძო საკუთრების ფარგლებში, შეუძლებელია. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის კერძო საკუთრების გადაღობვა. ეს, საზოგადოებრივი მასშტაბით, კერძო საკუთრების მოსპობის საფუძველია და არა მოსპობა.

კერძო საკუთრებიდან საზოგადოებრივ საკუთრებაზე, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის საიდუმლო იმაშია, რომ განსაზოგადობის დონე ერთნაირია. სოციალიზმის დროს მინა და წარმოების საშუალებანი ფორმით ისევეა სახელმწიფოს საკუთრებაში, როგორც კაპიტალიზმის დროს. და თუ ეს ასეა, როგორ განასხვავოს რეგითმა ადამიანმა ის კაპიტალიზმის პირობებში ცხოვრების თუ სოციალიზმისა? თან თუ ოფიციალური იდეოლოგია არწმუნებს, რომ ესაა ნამდვილი სოციალიზმი.

სტალინიზმის ყველაზე დიდი საიდუმლოება სწორედ ამ პრობლემას უკავშირდება. ადამიანები ხედავენ, რომ გარშემო ყველა სახელმწიფოს დაწესებულებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, მეურნეობებში შრომობს. თანაც ყველა შრომობს ხელფასისთვის. უმტკიცებენ, რომ ექსპლუატაცია აღარ არსებობს, საზოგადოებისთვის ყოველი წევრი მისი „ამხანაგია“ და არა ბატონი. საზოგადოების მხრივ ესმის მხოლოდ თავისუფლების, ერთობის მოწოდებები. რა ქნას, დაიჯეროს? თუ არ დაიჯერებს, დაისჯება.

მეორე მხრივ, ადამიანი ხედავს, რომ ადგილი აქვს უსამართლობას, თავს მოხვეული პრინციპების შეუსრულებლობას.

საზოგადოების უდიდესი ნაწილი ვალდებულია იშრომოს. თუ არ იშრომებს, დაისჯება. ამავე დროს საზოგადოებაში არიან ადამიანები, უფრო ზუსტად, ადამიანთა წრე, რომლებიც შრომას თავს არიდებენ ან ფორმალურად ითვლებიან მშ-



რომელებად, ცხოვრებით კი ბევრად უკეთეს პირობებში, შეიძლება, მდიდრულად ცხოვრობენ.

საზოგადოების მასშტაბით, ისმება კითხვა: თუ ყველაფერი სახელმწიფოს საკუთრებაა, თუ ყველა ვალდებულია იშრომოს შესაძლებლობის ფარგლებში, უნარის მიხედვით, მაშინ საიდან ჩნდებიან მდიდრები საერთო სიღარიბის ფონზე?

მითითება იმაზე, რომ ადამიანები ერთნაირი უნარის, ერთნაირი დაინტერესებისანი არ არიან და შედეგიც განსხვავებულია, მთლად მართებული არაა. ბუნებრივია, რომ ადამიანები განსხვავდებიან ფიზიკურად, გონებრივად, მონდომებით და ა. შ., მაგრამ არა იმდენად, რომ ერთმა მეორეს გადააჭარბოს ასჯერ, ათასჯერ და ა. შ¹.

ისმის კითხვა: თუ ყველა სანარმო, ყველა დანესებულება და ა. შ. სახელმწიფო საკუთრებაა, თუ ყველა ვალდებულია, იშრომოს უნარის მიხედვით, მაშინ მათ ანაზღაურებაც დახარჯული უნარის მიხედვით უნდა ხდებოდეს. სტალინიზმის დროს, თეორიულად ასეც უნდა ყოფილიყო, პრაქტიკულად კი სანინააღმდეგო სურათი იხატებოდა. საზოგადოების დიდი ნაწილი ცხოვრობდა სიღარიბეში, მცირე ნაწილი კი ბატონკაცურად. ბუნებრივია, რომ ასეთი მდგომარეობა აჩენდა დაპირისპირებას.

საზოგადოებრივი მასშტაბის გამოცანის გასაღებს განაწილების პრინციპი წარმოადგენს. თუ საზოგადოების ყოველი წევრი ვალდებულია და შრომობს უნარის მიხედვით, სამარ-

1. მცირე განმარტება: 1974 წელს მოსკოვში მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მარქს-ენგელსის სექტორის უფროსთან გიორგი ბალათურიასთან ავტორს კამათი ჰქონდა ამ საკითხზე. ნათქვამის საილუსტრაციოდ, გამოალო კარადა და აიღო მარქს-ენგელსის თხზულებათა მეოცე ტომი. ბატონმა გიორგიმ მიაძახა: ნახე, ახლა გადაშლის და წამიკითხავს ციტატას, რომელიც 206-ე გვერდზე იწყება და 207-ეზე გადადისო. ავტორმა გადაშალა წიგნი და ბალათურია მართალი აღმოჩნდა. ასე ღრმად, რუსულად, გერმანულად, იცოდა მან მარქსიზმი. ამიტომ იყო, რომ თუ რომელიმე ქვეყანაში იპოვიდნენ ნაწერს და ეჭვობდნენ, ხომ არ იყო ის მარქსის ან ენგელსის ნაწერი, ექსპერტად გ. ბალათურიას ინვევდნენ. ახლაც, ვინც ამ საკითხით დაინტერესება, შეუძლია აიღოს და გადაიკითხოს მე-20 ტომის, გვ. 206-207.



თლიანობის პრინციპის თანახმად, როგორი უნდა იყოს ანაზღაურების წესი? ცხადია, თუ სამართლიანია პრინციპი, თითოეულისაგან უნარის მიხედვით, სამართლიანი იქნება, თუ თითოეულს მიეცემა განუხლები შრომის მიხედვით. სტალინიზმის პირობებში კი როგორი პრინციპი მოქმედებდა? საზოგადოების უმრავლესობას შრომის მიხედვით, ხოლო უმცირესობისათვის – თანამდებობის და პასუხისმგებლობის მიხედვით.

საზოგადოების ეს უმცირესობა საზღვრავდა, როგორც უმრავლესობის ხელფასების საკითხს, ასევე თავისთვის თანამდებობისათვის და პასუხისმგებლობისათვის ხელფასების საკითხს. ამას შემდეგ ემატებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიების ოდენობის საკითხი. ბოლოს კი გამოდიოდა, რომ საზოგადოების უმცირესობის შრომის უნარი ფასდებოდა არა შრომით, არამედ პასუხისმგებლობით, თანამდებობებით. შედეგად, საზოგადოების უმცირესობა ღებულობდა ბევრად მეტს, ვიდრე იმსახურებდა მათი დახარჯული უნარი. ასე ყალიბდებოდა პრივილეგირებულ და გაბატონებულ ადამიანთა ფენა. საზოგადოება იყოფოდა ერთიან მშრომელთა კლასად და უმცირესობა პრივილეგირებულ, გაბატონებულთა კლასად. იყო ეს ამხანაგების საზოგადოება? იყო სოციალისტური თუ კაპიტალისტური წყობილება?

სტალინიზმის იდეოლოგიისა და პრაქტიკის დეტალური ანალიზი არა მხოლოდ რთული, არამედ ხანგრძლივი ანალიზის საკითხია. აქ მხოლოდ ის აღინიშნა, რომ სამართლიანობის ეტალონად აღიარებული სისტემა უსამართლო და მრავალი წინააღმდეგობის შემცველი იყო. მათ შორის ეროვნებათშორისი ურთიერთობის სახით. არადა, უზარმაზარი სივრცის იმპერია, თავის სატელიტებთან ერთად ასზე მეტ ეთნოსს აერთიანებდა და ცდილობდა, მათი ერთობა შეენარჩუნებინა.

სტალინიზმის არსებობის ამ პერიოდისათვის დიდი ხნის დავიწყებული იყო ეროვნულ საკითხზე ვ. ლენინის თვალსაზრისი. ამ პერიოდში კი არა, საბჭოთა კავშირის შექმნის დროიდან დაიწყო მისი შეცვლა სტალინური კონსტიტუციით.



ვ.ლენინის მოძღვრების მიხედვით რომ ემოქმედათ, საბჭოთა კავშირის სტრუქტურა სულ სხვანაირი იქნებოდა და სხვანაირადაც განვითარდებოდა. ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხაზით ვ. ლენინს მიაჩნდა, რომ უნდა შექმნილიყო მსოფლიო ქვეყნების ერთიანი ფედერაციული რესპუბლიკა (ევროპაში პოპულარული იდეის ევროპის შეერთებული შტატების მსგავსად). ამ ფედერაციულ რესპუბლიკას შექმნიდნენ დიდი ქვეყნების პროლეტარები¹.

ფედერაციაში გაერთიანებული დიდი ერები (რუსები, გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები და სხვა), თავის მხრივ მოაწესრიგებდნენ მათ რესპუბლიკაში შემავალი პატარა ერების საკითხს, ამასთან, მოაწესრიგებდნენ ისე, რომ არც ერთ პატარა ერს (ეთნოსს) არა ჰქონოდა სახელმწიფოებრივი გაერთიანების ფორმა, სახელმწიფო ენა, სახელმწიფოებრივი საზღვრები², განათლება არ მიეღო ეროვნულ ენაზე და ა. შ.³

ვ. ლენინის აზრით, სოციალისტური სახელმწიფოს ასეთი მოწყობა დააჩქარებდა „ტუზემცების“, „საქათმეების“ ეთნოსთა რუს ერთან შერწყმა-შედუღაბებას. ასეთი ინტერნაციონალური ერთობით შეკრული რუსეთის სოციალისტური სახელმწიფო სრულყოფილად განვერიანდებოდა მსოფლიო ფედერაციულ რესპუბლიკაში.

საბედნიეროდ, ვ. ლენინის ეს კონცეფცია მთლიანობაში ვერ განხორციელდა, მაგრამ გარკვეული გავლენა მაინც მოახდინა. რესპუბლიკათა, ავტონომიურ ერთეულთა ისტორიული საზღვრები არ იყო გამორკვეული და ბევრ სადავო ელემენტს შეიცავდა. დღემდე ასე გრძელდება.

ამას გარდა, საბჭოთა კავშირში, პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებობდა ე. წ. მშრომელთა ინტერნაციონალ-

1. კონფედერაცია ვ. ლენინისათვის ყოვლად მიუღებელ იდეას წარმოადგენდა.
2. საზღვრები ისე უნდა დაეწესებინათ, რომ თითოეულ ერთეულს რაც შეიძლება მეტი უცხოტომელი ჰყოლოდა ჩასახლებული.
3. ამ საკითხზე ავტორის „რევოლუციური ანექსია“. ნაშრომი 1987 წ. გადაეცათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს და გავრცელდა მოძრაობის წევრებს შორის.



ური აღზრდის სექტორი. მისი ძირითადი დანიშნულება იყო, შეესწავლა და განესაზღვრა ეთნოსთა ურთიერთობებში არსებული წინააღმდეგობები. სცოდნოდათ, ვინ ვის წინააღმდეგ და როდის უნდა აემხედრებინა¹.

სტალინიზმის ქვეყნებში მძაფრდებოდა და ერთიან სისტემას დაშლით ემუქრებოდა, როგორც იდეურ-პოლიტიკურად სოციალ-ეკონომიური, ასევე ეროვნებათშორისო ურთიერთობის ხასიათის წინააღმდეგობანი. საკმაოდ რთული დასადგენია, განვითარების რომელ მომენტში, რომელი ხასიათის წინააღმდეგობები იჩენდა მწვავედ თავს. მთავარია, რომ წინააღმდეგობათა ერთიანობა მოქმედებდა, მწვავედებოდა და ბოლოს სტალინიზმის მსოფლიო სისტემის დაშლით დამთავრდა².

სტალინიზმის კრიტიკის, პრაქტიკული უარყოფის პროცესში განსაკუთრებული ადგილი საბჭოთა კავშირში მიმდინარე ე. წ. პერესტროიკის პერიოდს და მიმდინარე ცვლილებებს უკავია.

მეოცე საუკუნუნის ოთხმოციან წლებში სრული სიძლიერით ამოქმედდა სტალინისტური სოციალიზმის ანტაგონისტური წინააღმდეგობები და არსებული სინამდვილის ცვლილება დააყენა დღის წესრიგში.

უმთავესი იყო წინააღმდეგობა განუვითარებელ მწარმოებლურ ძალებსა და ბევრად წინ წასულ წარმოებით ურთიერთობებს შორის. მათ შორის აუცილებელი თანაფარდობის კანონი თავიდანვე იყო დარღვეული, მაგრამ ჯერ ჩამოყალიბების დროს, ე. ი. სტალინიზმის სისტემის შექმნის დროს, შემ-

1. ამ საკითხზე, მის სტრუქტურაზე, მოღვაწეობაზე ავტორის სხვა ნაშრომებშია ნათქვამი და აქ მხოლოდ აღნიშვნაა.

2. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტალინიზმის მსოფლიო სისტემა დაიშალა, საბჭოთა კავშირში არსებული პოლიტიკური, ეროვნებათშორისი სისტემა დაიშალა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ მოასწავებს სტალინიზმის, როგორც აზროვნების პროდუქტის, როგორც მრავალთა იდეური და პრაქტიკული მოქმედების ლიკვიდაციას. მილიონობით ადამიანი, ცალკეული ქვეყნები კვლავ აგრძელებენ მისი იდეების, პრინციპების განხორციელებას. ამდენად, სტალინიზმი არა მხოლოდ წარსულია, რომელიც დავიწყებას უნდა მიეცეს, არამედ დღევანდლობის და, რაც მთავარია, ხვალინდელი აზროვნებისა და პრაქტიკული ბრძოლის საგანიცაა.



დეგ თავად ი. სტალინის მმართველობის პირობებში, წინააღმდეგობის ანტაგონიზმში გადაზრდა ფერხდებოდა მმართველობის მტკიცე მეთოდებით განხორციელების გზით. ნ. ხრუშჩოვის „მეფობის“ ვოლუნტარისტულმა და სუბიექტივისტურმა მეთოდებმა წინააღმდეგობა გააშიშვლა და მას ანტაგონისტური ხასიათი შესძინა.

მთავარი იყო წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების გაორებულ ფორმას შორის. სისტემა ყველა შრომისუნარიანი ადამიანისაგან ითხოვდა შრომაში მონაწილეობას უნარის მიხედვით. წესრიგის დამრღვევებს სასჯელი ელოდათ. წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს, სამართლიან მოთხოვნას, განაწილების უსამართლო ფორმა ახლდა თან. ადამიანებისგან ითხოვდნენ შრომის უნარის მიხედვით, ძირითად მასას, განაწილების დროს, უხდიდნენ შრომის მიხედვით, გარკვეული კატეგორიის ადამიანებს კი თანამდებობების ანუ პასუხისმგებლობის მიხედვით. ეს პრინციპი საზოგადოებას ყოფდა სოციალურ ფენებად, რომელთაგან შემდეგ ჩამოყალიბდა ერთიანი მუშათა კლასი (საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელთა ბედი ხელფასზე იყო დამოკიდებული) და ერთიან კაპიტალისტთა კლასი (რომელთა ბედი ხელფასზე არ იყო დამოკიდებული).

ცხადია, ადამიანები ხედავდნენ საზოგადოების ასეთ უსამართლო დაყოფას სოციალურ კლასებად და ეს თავიდანვე იყო წინააღმდეგობის გამომწვევი. ვერავითარი სოციალისტური იდეოლოგია ამ წინააღმდეგობას ვერ ფარავდა. ი. სტალინის მმართველობის მეთოდები წინააღმდეგობის გამწვავების საშუალებას არ იძლეოდა. ნ. ხრუშჩოვის დროიდან მოყოლებული, კლასობრივმა ურთიერთობებმა ანტაგონისტური ხასიათი შეიძინა.

ამ ორ წინააღმდეგობას ემატებოდა ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში გამწვავებული წინააღმდეგობა. იდეოლოგიის დონეზე აყვანილი მტკიცებულებანი ხალხთა თანასწორობას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთობის შესახებ, არსებულ პრაქტიკას ვერ ფარავდა. ე. წ. სო-



ციალისტური ქვეყნების ბანაკში და თავად საბჭოთა კავშირში ყველა საკითხი მოსკოვში, კრემლში წყდებოდა. მმართველობის უაღრესი ცენტრალიზაცია ეთნოსების, უფრო ზუსტად, ცალკეული ერების ვითომ სახელმწიფოებრიობის ფიქცია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ უსამართლობას სამართლიანობის იერს ვერ ანიჭებდა. სინამდვილეში თუ რუსეთში რუსი მოსახლეობა იჩაგრებოდა საკუთარი ხელისუფლების მიერ, არარუსულ რესპუბლიკებში სოციალურ ჩაგვრას ეროვნულიც ემატებოდა. არარუსი ეთნოსები ერთდროულად სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას განიცდიდნენ. მათთვის ზოგჯერ სოციალურზე მეტად ეროვნული ჩაგვრა იყო აუტანელი. ამას ემატებოდა მოსკოვის, ცენტრის მცდელობები, ბევრი რამ ცალკეული ეთნოსებისათვის გადაებრალებინა, გაეთიშა, დაეპირისპირებინა ისინი ერთმანეთისათვის და ბატონობა გაეხანგრძლივებინა.

საუკუნის ოთხმოციან წლებში წინააღმდეგობანი გამწვავდა და რათა სოციალისტური და ნაციონალური ხასიათის აფეთქებები არ მოჰყოლოდა, ხელისუფლებაში გადაწყვიტეს გარკვეული გარდაქმნების განხორციელება, რასაც ხალხში მ. გორბაჩოვის „პერესტროიკა“ უწოდეს. რიგი საბჭოთა მეცნიერების ამტკიცებს, რომ „პერესტროიკა“ განხორციელდა კაპიტალისტური სამყაროდან დიდი ოდენობის კრედიტების საფასურად.

მიღებულმა კრედიტებმა სტალინიზმის მსოფლიო სისტემას ვერ უშველეს. სანაცვლოდ მმართველი კლასის წევრების მსხვილ მაგნატებად გადაქცევას შეუწყვეს ხელი¹.

1. მცირე ცნობა: რუსული „პერესტროიკის“ იდეოლოგი აღექსანდრე იაკოვლევი, ოფიციალური ხელმძღვანელი მიხეილ გორბაჩოვი, რეალური ხელმძღვანელი რაისა მაქსიმოვნა და მთავარი შემსრულებელი საერთაშორისო მასშტაბით ედუარდ შევარდნაძე ბევრ საიდუმლო ინახავდნენ. ე. შევარდნაძეს ერთხელ წამოსცდა: როცა გერმანიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის საკითხი იხილებოდა, ჩვენ გადაწყვიტეთ, კომპენსაციის სახით, დასავლეთ გერმანიისაგან 25 მლრდ მოგვეთხოვა. როცა ჰელმუტ კოლს შევხვდი, ეს საკითხი განვიხილეთ, კოლმა მკითხა: 25 მილიარდი თქვენთვის თუ სახელმწიფოსთვისო. მივხვდი, რომ ცოტა მოვითხოვე და არ ვუპასუხე, განხილვა სხვა დროისათვის გადაიდო. როგორც ცნობილია, დასავლეთ გერმანიისაგან საბჭოთა კავშირმა 250 მილიარდი მიიღო. საინტერესოა, ამ თანხაში ის 25 მილიარდი შევიდა?



„პერესტროიკის“ პერიოდში, მეცნიერთა შეფასებით, აზრი გაიყო. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ საბჭოთა წყობილება არასოდეს სოციალისტურს არ წარმოადგენდა. მეორეთა აზრით, წყობილების კრაზი სოციალიზმის კი არა, სტალინიზმის კრაზი იყო. მესამეთა მტკიცებით, სტალინიზმი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებით განვითარებას წარმოადგენდა და ა. შ. საკამათო ბევრი იყო და მომავალსაც გადაეცემა.

ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხაზით ასევე მრავალი კონცეფცია იქნა გაჟღერებული. მათ შორის ის, როგორ მისცა ბიძგი გ. შახნაზაროვის თხოვნით, რაისა მაქსიმოვნამ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართე კონფლიქტს. როგორ დაიგეგმა და განხორციელდა ოსებისა და ინგუშების კონფლიქტი. შუა აზიიდან როგორი ველური მეთოდებით გამოდევნეს ე. წ. თურქი მესხები და ა. შ.

საბჭოთა ხელმძღვანელობა ამაოდ ცდილობდა მყისიერი მეთოდებით მძიმე სოციალური და ეროვნული დაპირისპირების შერბილებას, ერთობის შენარჩუნებას, შავის თეთრად წარმოდგენას. საერთო ვითარებიდან გამომდინარე, შეუძლებელი აღმოჩნდა სტალინიზმის სისტემის შენარჩუნება.

„პერესტროიკის“ ამ პირობებში აირია ტრაგიკული და კომიკური, რეალური და მოჩვენებითი. არ იყო იდეა, არ იყო ძალა, რომელიც ანტაგონისტური პროცესებისთვის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებს მოუძებნიდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალურ ლიდერებს მიაჩნდათ, რომ ისინი არიან საბჭოთა კავშირის მასშტაბით პროგრესის განმსაზღვრელები. მათი ბრძოლაა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე. ამ ხაზით განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და საქართველო. მოლდავეთი, დასავლეთ უკრაინა ზომიერ პოზიციას იკავებდნენ. რუსეთსაც ჰყავდა თავისი ერთგული სატელიტები სომხების, ოსების, ე. წ. აფხაზების და სხვათა სახით. მუსულმანურ რესპუბლიკებს აღმოსავლური პოლიტიკის ბრძნული პოზიცია ეკავათ.



ეროვნული მოძრაობის რადიკალები ბევრს ხმაურობდნენ, მაგრამ რეალურ ძალას არ წარმოადგენდნენ. მეტროპოლიას (რუსეთს) ყოველთვის შეეძლო მათი არა მხოლოდ განეიტრალება, არამედ ლიკვიდაციაც. მოჩვენებითი დემოკრატიის გზაზე დამდგარი „პერესტროიკის“ რუსეთი ითმენდა. მოთმინება კი ნაკარნახევი იყო თავად რუსეთის შიგნით სოციალური მოძრაობის გაძლიერებით, რომელსაც სათავეში ბევრი განათლებული და დემოკრატი მოღვაწე ედგა¹.

საბჭოთა კავშირში სოციალური და ეროვნული მდგომარეობით და მიმდინარე პოლიტიკით უკმაყოფილება ძალას იკრებდა. თუ ეროვნული მოძრაობის ნეიტრალიზება შეიძლებოდა, იგივე არ ითქმის სოციალური უსამართლობით უკმაყოფილოთა მასებზე. ორივე მოძრაობა ერთიმეორეს ყვებოდა და აძლიერებდა, მათ შორის კი წამყვანი სოციალური იყო. მართლდებოდა მარქსისტული დასკვნა: არ შეიძლება თავისუფალი იყოს ერი, რომელიც სხვას სჩაგრავს.

მოკლედ რომ ითქვას, სწორედ მასების სოციალ-პოლიტიკურმა აქტივობამ განაპირობა 1991 წ. საბჭოთა კავშირის დაშლა.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა დაიშალა. იგივე განმეორდა საბჭოთა კავშირის შიგნით. თავის მხრივ, რესპუბლიკების გამოყოფა ე. წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა, მართალია, მოასწავებდა სტალინიზმის ეროვნული პოლიტიკის კრახს, მაგრამ სულაც არ ნიშნავდა სტალინიზმის ლიკვიდაციას უკვე „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკების შიგნით.

სტალინიზმმა დიდი ცვლილებები განიცადა, მაგრამ არა ყველგან და არა ერთნაირი დონით. ვთქვათ, ბელორუსიამ თითქმის უცვლელად შეინარჩუნა სტალინიზმის სისტემა, მისმა მეზობელმა რუსეთმა და უკრაინამ – არა. ზოგადად, რა მოი-

1. საკმარისია მიეთითოს, რომ ჯერ კიდევ 1986 წელს ი. აფანასიევემა აღიარა, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმი არ არისო. გ. პოპოვმა 1989 წ. საბჭოების ყრილობაზე გააკეთა მოხსენება, სადაც ამტკიცებდა საბჭოთა სისტემის გარდაქმნის აუცილებლობას და ა. შ.



გო და რა წააგო თითოეულმა? ბელორუსიაში სტალინიზმი, ძირითადად, ძალაშია. ნიშნავს კვლავაც ის საკუთრებითი და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რაც იყო, გამოყოფამდე. ერთიანი მუშათა კლასი კვლავ დასაქმებულია, სამსახურით გარანტირებულია და უმუშევრობა არ აწუხებს. ერთიანი კაპიტალისტთა კლასი ძველებურად მარნუხებშია მოქცეული, გამზადებული ყაჩაღური „პრივატიზაციისათვის“, მაგრამ აშკარა ბრძოლას ვერ ბედავს.

მეზობელ რუსეთსა და უკრაინაში მძლავრი სახელმწიფო სექტორის გვერდით შექმნეს კერძო სექტორი. პირველ რიგში, პარტიულმა და საბჭოთა ყოფილმა „ამხანაგებმა“ ყველაფერი მრუდე წესების გამოყენებით შეძლეს სახელმწიფო სექტორიდან საშუალებების კერძო სექტორში გადაქაჩვა. ამას მოჰყვა „ეროვნული“ ოლიგარქების, მაგნატების, მილიონერების კლასის ჩამოყალიბება და მშრომელი მასების გალატაკებით ჰაუპერიზმი.

მთავარი იყო, რომ კერძო სექტორის ჩამოყალიბებით, არსებული წარმოებითი ურთიერთობანი დაუახლოვეს მწარმოებლური ძალების განვითარების დონეს და გარკვეულწილად აღადგინეს აუცილებელი შესაბამისობა. დღეს იქ წარმოებით ურთიერთობათა ფორმა შესატყვისობაშია მწარმოებლურ ძალთა ხასიათთან და საერთო პროგრესის საფუძველს ჰქმნის. მხოლოდ ეგაა, გარდაქმნები წარმოებით ურთიერთობათა ფორმის უკანდახევა, ხასიათდებოდა ათასგვარი ექსცესებით და ახალ ურთიერთობებს ბევრი ცვლილებების განხორციელება მოუწევთ, სანამ სტალინიზმის სისტემიდან ბუნებრივ კაპიტალისტურ სისტემად გადაიქცევიან.

სხვაგან? მთავარია რა მოხდა ჩვენთან, საქართველოში.



VIII. სტალინიზმი საქართველოში

საქართველო სტალინის სამშობლოა და არა სტალინიზმის. როგორც იდეურ-პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური მოძღვრება და პრაქტიკა, სტალინიზმი უკვე საბჭოთა კავშირად წოდებულ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა და შემდეგ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ჰპოვა გავრცელება. მათ შორის საქართველოში. საქართველო იმ დროს აგრარული მეურნეობის მხარე იყო. ეს არ ნიშნავს წვრილი ხელოსნური წარმოების არ არსებობას. სამრეწველო წარმოების ხაზით იყო თბილისის რკინიგზის სახელოსნოები, ბათუმის ნავთობმომღები და გადამამუშავებელი საწარმო, ფოთის ნავსადგური, გადიოდა რკინიგზა თბილისში და ბაქომდე, მაგრამ მთლიანად ქვეყანა აგრარული მეურნეობის მხარედ ითვლებოდა.

1918 წ. დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და დემოკრატიული რესპუბლიკის ამოქმედების შემდეგ ორ წელიწადში ქვეყანამ ბევრს მიაღწია. ჯერ ერთი, შეძლო რუსეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დიდი ნაწილის დაბრუნება ტუაფსემდე და გელენჯიკამდე (ცნობილი ადილი პროფესორის მერეტუკოვის განმარტებით, გელენჯიკი მხოლოდ მეგრულად იშიფრება და გარე ციხეს ნიშნავს. ამასთან, მერეტუკოვი ვერ თუ არ ამბობს, რომ დღეს მეგრულად მიჩნეული ენა იყო ძველავხაზური. სანამ რუსეთი ადილებს აფხაზებად გამოაცხადებდა, აფხაზებს მეგრელებად და მეგრელებს ქართველებად და ამ გზით ისტორიულ აფხაზებს მოსწყვეტდა ქართველებს, ხოლო ახალ აფხაზებს ქართველობას დაუპირისპირებდა). მეორე, საქართველოს რესპუბლიკამ მოიგერია სომხეთის აგრესია (1918 წ. სომხებმა, რომელთა აგრესიულ ბუნებაზე ჯერ კიდევ ცნობილი სტრაბონი მიუთითებდა, მოინდომეს კიდევ ერთხელ მეზობელი ქართველების შევიწროება, მაგრამ სასტიკად დამარცხდნენ. ზავის შემდეგ ოცი კილომეტრის სიგანის ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა სომხეთ-საქართველოს შორის). ახალგაზრდა რესპუბლიკამ შეძლო თურქეთის ფარგლებში მოქცეული ტერიტორიების დაბრუნება. დროებით, მა-



გრამ შეძლო). მეოთხე და მთავარი: დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკურ-სამეურნეო სისტემის შექმნა, ევროპული სოციალ-დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად (რაც არ დასცალდა).

1920 წ. ლენინი წერდა: საქართველოს, სომხეთის, თურქეთის და ირანის დაპყრობა (დაპყრობა!) არ უნდა იყოს ჩვენი უახლესი მიზანი. დიდი თურქი მოგზაური და მოაზროვნე ევლია ჩელები ამბობს: მსდალი კაცის გმირობა მუხთლობააო. ვ. ლენინმაც იმუხთლა, ნათქვამიდან ერთ კვირაში სომხეთი დაიპყრეს, რამდენიმე თვეში კი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაამხეს.

რუსეთმა ხელში მოგდებული, საზიზლარი, დაუმორჩილებელი საქართველო ყოველმხრივ გაძარცვა:

1. მისი ტერიტორიების დიდი ნაწილი თვითონ შეიერთა, ზაქათალის მაზრა გადასცა ახლად შექმნილ აზერბაიჯანს. ე. წ. ნეიტრალური ზონა, რომელიც სომხეთმა საქართველოს ტერიტორიად სცნო, აჩუქა სომხეთს. ახლად შემოერთებული სამხრეთ საქართველოს მიწები დაუთმო თურქეთს;
2. თავად საქართველო ერთ ფედერაციაში გააერთიანა სომხეთ-აზერბაიჯანთან;
3. საქართველოს წარმატებული ეროვნული ბანკი, ამ ფედერაციის ბანკად გადააკეთა;
4. იმ დროს წარმატებული ქიათურის მარგანეცის უცხოური კონცერნები მიისაკუთრა;
5. განითლებულ, ძალით გასაბჭოებულ, „ბედნიერ“ ქართველობას „დასაცავად“ რუსული ჯარები ჩაუყენა და უცხო ტომელთა შრომითი არმიით „გააძლიერა“.

ერთი სიკვთე ის იყო, რომ საქართველო ასცდა რუსული „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდს.

საერთო რუსული სოციალიზმით და ეროვნებათშორისი ურთიერთობით აღშფოთებულები, იმავე რუსეთმა 1924 წელს რუსული მეთოდებით „დაამშვიდა“. ამ დროიდან იწყე-



ბა სტალინიზმის, როგორც აზროვნების, პრაქტიკის დაფუძნება-დამკვიდრება საბჭოთა კავშირში და მის ერთ მცირე მხარე საქართველოში.

საქართველოში, პირველ რიგში, განხორციელდა მიწის ნაციონალიზაცია. წვრილ გლეხური მეურნეობის ქვეყანაში მიწის ნაციონალიზაცია რთულად განსახორციელებელი საქმე იყო. ნაციონალიზაცია მხოლოდ დეკრეტის გამოქვეყნება ხომ არ იყო? დაიწყო და დიდი იძულების გზით, მოახდინეს კოლექტივიზაცია. აღსანიშნავია, რომ თავად საბჭოთა ხელისუფლება ქართველებისთანა გლეხობის კოლექტივებში გაერთიანებას საერთო პროცესის ბოლო ეტაპზე გეგმავდა, მაგრამ ხომ იყვნენ ე. წ. კომუნისტი-ბოლშევიკები, ენთუზიასტ-კარიერი-სტები და რატომ არ უნდა ეჯობნათ სხვათათვის? და ვინ მოთვლის, რამდენი სიმდაბლე-სიმახინჯე, ძალადობა და უსამართლობა ახლდა ამ პროცესს?

მიწის ნაციონალიზაციას მიაყოლეს ყველაფერი, რისი გასახელმწიფოებაც შეიძლებოდა. ქვეყანაში ყველაფერი სახელმწიფო საკუთრება გახდა. არც ეს გარდაქმნები ყოფილა მშვიდი და სამართლიანი. რაც მხდალი ადამიანის გმირობაზე ითქვა ევლია ჩელების მიერ, სრულიად გამოვლინდა სტალინიზმის დამკვიდრების დროს¹. როცა სტალინიზმის დამკვიდრების პერიოდში ჩადენილ უსამართლობაზე წედნენ, ერთმა ბრძენმა რუსმა აღნიშნა: რა, 6,5 მილიონი დაბეზღებები სტალინმა დაწერაო? აქ არ შეიძლება არ მოიგონო პეტრე I-ის ნათქვამი რუსი მუჟიკის ეშმაკობის შესახებ და კ. მარქსის დასკვნა რუსის წვრილმანი თალღითი ბუნების შესახებ. ქართველები კი რუსების ნიჭიერი შეგირდები გახდნენ იმ დროისთვის (და დღემდე არ დავიწყნიათ ეს სწავლება, ნათქვამი, რა თქმა უნდა, არც ყოველ რუსს ეხება და არც ყოველ ქართველს).

1. ცნობილია, რომ ერთი წლის განმავლობაში ერთმა კარგმა ბინამ ოთხი მაცხოვრებელი გამოიცვალა, ვიდრე იქ ასეთი დამსმენ-ცილისმწამებელი „გმირი“ არ შესახლდა. და რამდენი ასეთი? ისიც ცნობილია, ტროცკის-ტობაზე გადასახლებული ერთი გლეხი ძმისწულს სწერდა: ვინმე ტროცკის დაჯუბეზღებვარ, მოძებნე და პასუხი აგებინეო. და რამდენი ასეთი?



სტალინიზმის დამკვიდრება შეიძლება „დიად მიზანს“ ე. წ. სოციალიზმის აშენებას ემსახურებოდა, მაგრამ უამრავი „საგმირო“ საქმეებით ხასიათდებოდა. ვერავითარი მონანიება ვერ დაფარავს ყველა არაადამიანობას. შედეგად, რა მიიღო საზოგადოებამ? საზოგადოებაში არსებული კლასობრივი შემადგენლობის გარდაქმნა თუ სახეცვლილება? როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოში შეიცვალა მეურნეობის ხასიათი. განსაკუთრებით გერმანიიდან რეპარაციების მოტივით წამოღებული სამრეწველო ობიექტების წყალობით, შესაძლებელი გახდა საქართველოს სამრეწველო რესპუბლიკად ჩამოყალიბება. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, თბილისში საავიაციო, ჩარხმშენებელი, ტანკთშემკეთებელი და სხვა უამრავი. ამას შემდეგ მოჰყვა საბჭოთა კავშირის საკუთარი ძალებით შექმნილი მანქანათმშენებელი, ტრაქტორთმშენებელი და ა. შ. ამ ბაზაზე დაფუძნებით აიგო ბევრი ხილული თუ დახურული დანიშნულების ინსტიტუტი-საწარმო. რესპუბლიკა აგრარულ-გლეხური ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ, სამეცნიერო-საწარმოო ცენტრად ჩამოყალიბდა.

ამ ძირეულ გარდაქმნებს თან სდევდა გლეხთა კლასის ბაზაზე მუშათა კლასის ჩამოყალიბება და მოსახლეობის უმრავლესობად გადაქცევა. გლეხოვაც შეიცვალა. სოფლად მეურნეობების ქსელის შექმნით, მოხდა გლეხოვის ბუნების ცვლილება. საბოლოო ანგარიშით, რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა ერთიანი მუშათა კლასი. ხშირად ძნელი იყო განსხვავების დადგენა მუშას, გლეხს ე. წ. საინჟინრო-ტექნიკურ ინტელიგენციას შორის. სტალინიზმის დამკვიდრება რესპუბლიკაში ბევრ პროგრესულ გარდაქმნებთანაც იყო დაკავშირებული. მოსახლეობის მასობრივი უფასო აღზრდა-განათლების სისტემის შექმნა დიდ სიკეთეს და პროგრესს წარმოადგენდა. დღეს ბავშვის აღზრდა, უკვე სკოლაში სწავლა უამრავ სახსრებთანაა დაკავშირებული. უმაღლესი განათლება უმთავრესად ფასიანია. ვინ მოთვლის, რამდენი ათი-ათასი ახალგაზრდა რჩება განათლების გარეშე.



მოაზროვნე ადამიანმა ცუდი და კარგი უნდა გაარჩიოს. იყო სავალდებულო (სავალდებულო!) საშუალო განათლება უფასო. ეს ნიშნავს, იქმნებოდა პირობები (სკოლა-ინტერნატების ჩათვლით), სადაც მოზარდს აღზრდა-განათლება შეეძლო მიეღო უფასოდ.

დღეს ქვეყანა მოიცვა ფასიანმა საბავშვო აღმზრდელობითმა, ფასიანმა საშუალო განათლების მიმცემმა სისტემამ. ამას ფასიანი უმაღლესი განათლების სისტემა ემატება და რა გამოდის?

არ უნდა გამორიცხოს, რომ უფულო ადამიანი ბეჩავდება, ფული კი რყვნის ადამიანს. ამასთან, დიდი ფული დიდად. ეს ფულის ფუნქციების დაფარული მხარეა.

მოაზროვნემ ასევე უნდა დააფასოს ჯანმრთელობის სისტემის ფასიან და უფასო მომსახურებას შორის სხვაობა.

სტალინიზმის დიდი იარაღი იდეური ზემოქმედების სისტემა გახლდათ. ერთიან მუშათა კლასს (მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას) შრომის ანაზრაურების ერთიანი სისტემის გარდა, ერთიანი იდეოლოგია ეძლეოდა. სწორედ იდეოლოგია ფარავდა რეალურ სურათს. მშრომელებისაგან ითხოვდნენ შრომას უნარის მიხედვით, ხელფასს აძლევდნენ შრომის მიხედვით. ამავე დროს იყო ე. წ. ინტელიგენციის გარკვეულ ხელმძღვანელი ნაწილი, რომელიც ხელფასს ღებულობდა არა შრომის, არამედ პასუხისმგებლობის, თანამდებობის მიხედვით. ხელფასის გარდა, მათ ჰქონდათ პოლიტიკური და ეკონომიკური პრივილეგიები. ამის გამო, საზოგადოება იყოფოდა ერთიან მუშათა კლასად და ერთიან კაპიტალისტთა კლასად. ამ დაყოფას თან ახლდა არაკანონიერი გზით გამდიდრებულთა სოლიდური ჯგუფების არსებობა.

საზოგადოებაში ბევრი ხვდებოდა არსებული წყობილების თაღლითურ ბუნებას. იყო კიდევ ჩუმი საუბრები და მცდელობები მისი კრიტიკისა. რა იყო სოციალისტური, რა ძველებური, კაპიტალისტური, რით განსხვავდებოდა სტალინიზმი წინა ყოფისაგან. საუბრებს ბუნებრივად მოსდევდა პროტესტის



ფორმა, ფარული ორგანიზაციების სახით.

მეორე მხრივ, ომის შემდეგ განხორციელებულმა პოლიტიკამ თითქმის გარდატეხა მოახდინა ხალხის განწყობაში. 1947-1948 წლებიდან მოყოლებული, ფასების მნიშვნელოვანი კლება კვების პროდუქტებზე, გარკვეულად დადებითად მოქმედებდა ქვეყნის სოციალისტურობის აღიარების საზიო. ი. სტალინის მკვლევლობის შემდეგ,¹ სიტუაცია შეიცვალა. ფასებისთვის ვის ეცალა, ქვეყნის ხელმძღვანელობა ძალაუფლებისათვის შეურიგებელ ბრძოლაში ჩაება, რასაც დიდი ცვლილებები მოჰყვა.

იმ პერიოდში, ნ. ხრუშჩოვის ვოლუნტარისტულმა პოლიტიკამ კრახის პირას მიიყვანა საბჭოთა კავშირი და მათ შორის საქართველოს რესპუბლიკა. იქ გამწვავებული სოციალური და ეროვნული საკითხები, შესაბამისი განწყობები გაერთიანდა და პრაქტიკული გამოსატყულება 1956 წ. 9 მარტის მოვლენებში ჰპოვა.

სამწუხაროდ, მარტის ეს ამბოხი და მეტროპოლიის რეპრესიები სათანადოდ შეფასებული არ არის. ბატონი ნოდარ ნათაძის პატარა ბროშურა ეხება, მაგრამ სიღრმისეულად არ იხილავს დიდ პრობლემას. უცოდინარობა კი თანამედროვე თაობას ნეგატიურად განაწყობს. არადა, იმ დროს სახალხო მღელვარება 5-9 მარტის განუწყვეტელი მიტინგები სრულებითაც არ იყო მხოლოდ ი. სტალინის და სტალინიზმის დაცვით განპირობებული.² ვინც გაითვალისწინებს დაუნერვლი ისტორიის გრძელ პროცესს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საზიო. 1924 წლის შემდეგ, აშკარა აჯანყებიდან არალეგალური მოძრაობის მეთოდების გამოყენებას, ცნობილი მოღვაწეების დაჭერა-დახვრეტას ტროცკიზმის მოტივიო, ვინც

1. ამ საკითხზე იხილე ავტორის „შეთქმულება“.

2. მკვლევართა ამოცანაა გამოაშკარაონ და გააშუქონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება 1924 წ. მრავალრიცხოვანი დახვრეტების შემდეგ. თბილისის უნივერსიტეტში არსებული არალეგალური ორგანიზაციის მოღვაწეობა, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დევნა და ა. შ.



მოსემენდა სულმნათი შალვა ნუცუბიძის, სიმონ ყაუხჩიშვილის და სხვათა მოგონებებს, გაუგებდა თბილისის უნივერსიტეტის დარბეული ორგანიზაციის გადარჩენილ (წამებაგამოვლილ) წევრებს და ა. შ. მისთვის საკამათო აღარ იქნება 1956 წლის მარტის მოძრაობის ქეშმარიტი ხასიათი და მისწრაფება: ი. სტალინის და სტალინიზმის „დაცვა-აღიარების“ საფარქვეშ ეროვნული მოტივების წინ წამოწევა და შეძლების ფარგლებში პრაქტიკული რეალიზაცია.¹

1956 წლის 9 მარტის მოვლენები იყო სტალინიზმის სისტემის წინააღმდეგ პირველი ამბოხი. მან სტიმული მისცა რუსეთში მუშათა გამოსვლას და საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა წყობილების კრახს. ამის შემდეგ გაძლიერდა ხელისუფლების რღვევა, მასებში სოციალისტური რწმენის დაკნინება, რაც ფარული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და დისიდენტური მოძრაობის გაძლიერებაში გამოიხატა.

სტალინიზმის სისტემის წინააღმდეგობათა გამწვავებამ და შესაბამისი მოძრაობის გაძლიერებამ განაპირობა ე. წ. პერესტროიკის პოლიტიკის გატარება. ამ სოციალურ-ეკონომიკურ და იდეურ-პოლიტიკურ მოძრაობაში უკანასკნელი ადგილი როდი ეკავა რესპუბლიკაში აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამასთან, ეს მოძრაობა თუ მთლიანობაში არყევდა სტალინიზმის საფუძვლებს, მეორე მხრივ, დიდი შინაგანი წინააღმდეგობებით ხასიათდებოდა. იგი თავიდანვე იყოფოდა რადიკალურ და ზომიერი პროგრამის მიმდევრებად და მათ შორისაც იყვნენ სხვადასხვა ხაზის მატარებლები.

ვასილ მჟავანაძის ლიბერალურმა პოლიტიკამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ე. წ. კერძომესაკუთრული ტენდენციების

1. განმეორებით: ი. სტალინის ქება-გინებაინდივიდუალური გაგების საქმეა, მაგრამ 1956 წ. 9 მარტს დაღუპულთა დაფასება, საერთო ვალდებულებაა. ბევრის გასაგონად: დღეს, როცა ცდილობენ ქვეყანა ტურიზმის მხარედ აქციონ, რამდენი მნახველი ეყოლებოდა ძველ ადგილს. ი. სტალინის ძეგლის აღდგენას, იქ დაღუპულთა გადასვენებას, ნამდვილი მიზეზის წარმოჩენას რამდენი მნახველ-დამფასებელი გამოუჩნდებოდა? დღეს, როცა განადიდებენ უკანასკნელ კონფლიქტებში დაღუპულ გმირებს, რატომ უნდა დაივიწყონ წინა თაობები?



გავრცელებას, რასაც თან კრიტიკული აზროვნების გაძლიერება ახლდა. ეროვნული თვითშეგნების ხაზით დიდი სტიმული იყო ზვიად გამსახურდიას (ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლის) რამდენიმეთვიანი დაპატიმრება. სულმნათი კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟის ამბოხი ფართო რეზონანსის მომცველი ფაქტი გახდა. ერის უსაყვარლესი მწერლის არა მხოლოდ შემოქმედება, არამედ მემბოხე ხასიათიც ამძაფრებდა ფაქტის გავლენას.

სამოციან წლებში არსებული წყობილებისადმი კრიტიკულად განწყობილი ჯგუფები იწყებენ ფორმირებას. მათ შორის თბილისის უნივერსიტეტში 1965 წლიდან 1974 წლამდე არსებობდა ჯგუფი კობას (ჩაგელიშვილი) ხელმძღვანელობით. უფრო ზუსტად, კობა უნდა ყოფილიყო მოქმედი შუა რგოლი. საიდან ასეთი დასკვნა? 1967 წ. კობას წაეყენა წინადადება, დაკავშირებოდნენ ზვიად გამსახურდიას. კობამ დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ თქვა: საშამ განაცხადა, ზვიადის ნდობა არ შეიძლებაო. ვინ იყო ორგანოების მონაცემების მცოდნე საშა? თითოეულმა წევრმა სამი-ოთხი ადამიანის შესახებ იცოდა. მთელი კავშირები კი 1974 წ. კობას დაღუპვის შემდეგ განყდა. და ასე რამდენი ჯგუფი ყალიბდებოდა და იშლებოდა.

კრიტიკული აზროვნების და მოქმედების გარკვეული სტიმულატორი გახდა შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნული ედუარდ შევარდნაძე. მისი ბრძოლა წვრილმანი ხულიგნობის წინააღმდეგ, სინამდვილეში მსხვილმანს ისახავდა მიზნად, რაც გამომჟღავნდა კიდევ მრავალწლიანი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბოლშევიკური შეტევის სახით. რა მოიტანა ამ ბრძოლამ ე. შევარდნაძის რესპუბლიკაში „გამეფების“ გარდა? ან რა შეიძლებოდა მოეტანა რესპუბლიკისთვის, რომელიც პრაქტიკულად, საბჭოთა კავშირის ოლქს წარმოადგენდა თავისი შესაძლებლობებით და უფლებებით. სახელით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქმით – საკავშირო კომპარტიის საოლქო კომიტეტის მდივანს უტოლდებოდა. ამიტომ ვერც ვერაფერს მიაღწია ე.



შევარდნაძემ ხალხისთვის, თავისთვის კი ფალსიფიკაციის, მიწერების წყალობით სოციალისტური შრომის გამირობა დაიმსახურა.

ძალზე ბევრი რამის გახსენება და შეფასება შეიძლება. ითქმის მხოლოდ ერთი. საბჭოთა კავშირში სტალინიზმის კრიტიკის მოტივით სტიმული მიეცა ათასგვარი მითების შექმნას და პარალელურად ამუშავდა ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხაზით დაგეგმილი ნაღმი¹. სურათი საგანგაშო იყო, დასკვნები შემაშფოთებელი:

1. ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაბატონებული წრეები აშკარად დევნიდნენ ყოველივე ქართულს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა „ვერ ამჩნევდა“ საგანგაშო მდგომარეობას;
2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და საზოგადოებრივი ზედაფენა, ფაქტობრივად, არ ცნობდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ როლს და დაქვემდებარებასაც ფორმალური ხასიათი ჰქონდა. კომისიამ შეისწავლა ყველა სოფელი, სანარმო, სკოლა, პარტიული, სამეურნეო, უშიშროების ორგანოები და შესაბამისი დასკვნა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას წარუდგინა. ხელმძღვანელობამ წაყრუების პოლიტიკა აირჩია. არადა, ხელთ გვქონდა გ. ტრაპეზნიკოვის მიერ შედგენილი „აფხაზების საჩივარი“, საქართველოსგან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთების თხოვნით. ეს წერილი დანერილი მოსკოვში, ჩაბარებული ჰქონდა აფხაზ მარხოლიას, რომელმაც უკვე მარიხუბას გვართი წერილი ლიხნის ყრილობაზე 18 მარტს გაასაჯაროვა. ამ წერილმა ბიძგი მისცა მძაფრ დაპირისპირებას ადილ-აფხაზებსა და ქართველებს შორის (ამ საკითხზე, ავტორის „აფხაზები“). საბოლოო ანგარიშით, მოსკოვში

1. მათ შორის ავტორს, გურამ ლეკვეიშვილთან ერთად, რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის პრობლემატიკის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელს, საშუალება ჰქონდა 1984-1985 წლებშისაკმაოდ საფუძვლიანად შეესწავლა ეროვნებათშორისი ურთიერთობის მდგომარეობა და შესაბამისი დასკვნები წარედგინა რესპუბლიკების ხელმძღვანელობისათვის.



დაგეგმილი დაპირისპირება, მოსკოვის კარნახით და უშუალო ჩარევით აფხაზეთის „დამოუკიდებელი რესპუბლიკის“, იმავე მოსკოვის ცნობით დამთავრდა;

3. საქართველოს რესპუბლიკაში არ იყო ეთნიკური ჯგუფი, რომელიც იმავე მოსკოვის ნაქეზებით, არ დაუპირისპირდა ქართველობას.

სოციალური და ეროვნული საკითხების გამწვავებამ წარმოქმნა ასეთი ვარიანტი: ე. წ. საქართველოს კომუნისტური პარტია რესპუბლიკის მაცხოვრებელთა ათასობით წევრს აერთიანებდა. ისინი ყველა ეროვნებას წარმოადგენდნენ: რუსებს, უკრაინელებს, სომხებს, და ა. შ. თუ მოხდებოდა პარტიულთა ამ არმიის გამოყოფა საერთო კომპარტიისაგან, მაშინ შეიძლებოდა მშვიდობიანად საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა და ეროვნული საკითხის მშვიდობიანი დარეგულირება. შესაბამისი წერილი 1989 წ. მარტში გაეგზავნა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. 9 აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა არიეს საქმე, შეიცვალა ხელმძღვანელობა და მეორედ წერილი-პროგრამა ახალ ხელმძღვანელს ბატონ გივი გუმბარიძეს გადაეცა.

1989 წ. დეკემბერში, როდესაც იხილებოდა ა. სობჩაკის კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით, შეიქმნა სასურველი სიტუაცია გამოყოფისათვის. სამწუხაროდ, გ. გუმბარიძეს და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას წინადადება მხოლოდ 1990 წლის იანვრის ბოლოს გაახსენდა და მოითხოვეს უფრო მეტი დასაბუთება. საჭირო მომენტი გავლილი იყო, დღის წესრიგში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები იდგა. გადანყვეტილების თანახმად არჩევნები 25 მარტს უნდა გამართულიყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა ლიდერმა და ყველა ფრთამ უარი განაცხადა „საბჭოურ“ არჩევნებში მონაწილეობაზე. მხოლოდ სახალხო ფრონტმა ბატონ ნოდარ ნათაძის ხელმძღვანელობით, გადანყვიტა კომპარტიას დასჭიდებოდა და არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. ვითარება და ძალთა



თანაფარდობა კარნახობდა, რომ არჩევნებში სახალხო ფრონტი გაიმარჯვებდა. ასეთი შედეგი ხელს არ აძლევდა გ. გუმბარიძეს და რესპუბლიკის პარტორგანიზაციას. ნიშანდობლივია, რომ სახალხო ფრონტის გამარჯვება ხელს არ აძლევდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებსაც. სულმნათი მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე უკვე მსხვერპლად შეწირულები იყვნენ. ეს ფაქტიც ორმაგი დანიშნულებისა იყო. ახლა, თუ სახალხო ფრონტი გაიმარჯვებდა, რაც გარდაუვალი ჩანდა, ეს ყველა სხვა პრეტენდენტს მეორეხარისხოვან ლიდერად ჩამოაქვეითებდა. ამის დაშვება არავის სურდა და საერთო ძალებით არჩევნები ჩაშალეს, ვადა ოქტომბრის 28 რიცხვისთვის გადაიტანეს. კომპარტიამ ნახევარი წლით გაიხანგრძლივა ბატონობა, ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა შანსი შეინარჩუნეს. ერთიანი ძალით სახალხო ფრონტის წინსვლა დამუხრუჭდა.

ამ ფაქტიდან ბევრი დასკვნა გამოდიოდა. ყველაზე მომგებიანი გააკეთა ზვიად გამსახურდიამ. მან მიატოვა ეროვნული მოძრაობის ერთიანობა და თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიელო ოქტომბრის არჩევნებში. სხვა ლიდერებმა შეინარჩუნეს ბოიკოტის რეჟიმი. ზვიად გამსახურდიამ ერთი ნაბიჯით ჩამოიტოვა ყველა მეტოქე და მომავალი არჩევნებისთვის მზადება დაიწყო. ნოდარ ნათაძემ იგრძნო მარცხი და ბედს შეურთგდა. ი. წერეთელი, გ. ჭანტურია და კამპანია გადაერთო ეროვნული კონგრესის არჩევნების მომზადებაზე. მიზანი იყო საბჭოთა არჩევნებისთვის დაესწროთ და, წარმატების შემთხვევაში, ძალაუფლება ხელში აეღოთ.

საინტერესო იყო ზ. გამსახურდიას „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციისა და კომპარტიას შორის ურთიერთობა. სააშკარაოდ ერთიმეორეს ებრძოდნენ, მაგრამ საჭირო მომენტში პოზიციები ემთხვევოდა¹.

1. ეგებ საიდუმლოს გასაღები იყო გახმაურებულ ინფორმაციაში? ზვიად გამსახურდია გივი გუმბარიძეს სხვანაირად არ გაიხსენებდა თუ არა „კაგებეს“ აგენტი. თავის მხრივ გ. გუმბარიძემ უპასუხა: მე აგენტი კი არა „კაგებეს“ გენერალი ვარ, აგენტი ხარ შენ.

კიდევ ერთი დაფარული ფაქტი: ოქტომბრის არჩევნების წინა დღეებში,



ისტორიული ფაქტია, რომ ოქტომბრის არჩევნებში ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა გაიმარჯვეს და უზენაეს საბჭოში დიდი უმრავლესობა მიიღეს.

ზვიად გამსახურდია გახდა რესპუბლიკის ფაქტობრივი ხელმძღვანელი. მრავალ ათწლიანი ბრძოლა ძალაუფლებისათვის წარმატებით დაგვირგვინდა. იწყებოდა ბრძოლის მეორე ეტაპი. მერე რა?

მართლაც რთული კითხვაა: მერე რა? თავად ზვიადი დიდი საერთო განათლებისა და წარმატებული ლიტერატორობის მიუხედავად, საზოგადოებრივი მმართველობის და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ცოდნით თავს ვერ მოიწონებდა¹.

წარსული დროების რევოლუციების გამოცდილების თანახმად, პირველ ეტაპზე, მოძრაობას რადიკალები ხელმძღვანელობენ, როგორც წესი, მათი როლი ძველი წყობილების ნგრევაში გამოიხატება. ამ პროცესებს რადიკალთა ნაწილი ეწირება, მეორე ნაწილი კი უფერულდება და ადგილს „ჭირონდისტებს“ უტმობს. ზვიად გამსახურდიას ისტორიული დანიშნულება ნგრევა იყო და, სამწუხაროდ, ესაც ვერ მოასწრო.

ითქვამს, რომ „ზევიდან“ მითითებით კომუნისტებმა არჩევნების მარცხი განიცადეს. შეიძლება მითითებით მოხდა, რომ 1991 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული ზ. გამსახურდიას

დეპუტატობის კანდიდატებმა კომპარტიისაგან, მასობრივად უარი განაცხადეს არჩევნებში მონაწილეობაზე. ამით ასპარეზი დაუთმეს ზვიად გამსახურდიას. შეემთხვევით? ავტორი ამ დროს მცხეთის რაიონში იყო და ძველ ნაცნობ-მეგობარ თემურ აბესაძეს მივარდა გაკვირვებული. თ. აბესაძე რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მოსახლეობა კარგად იცნობდა და როგორც დეპუტატობის კანდიდატს კომპარტიის ხაზით, არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა. მცირე კამათის შემდეგ თ. აბესაძემ ახსნა: გადანყვეტილება ძალიან ზევიდან მოდისო.

1. თვით ისეთი ახლობელი თემა, როგორც იყო ეროვნული საკითხი, მისთვის ძირეულად უცხოდ რჩებოდა. ავტორი, როგორც შედარებით ახალგაზრდა და მარქსიზმის შედარებით ღრმა მცოდნე, ორჯერ შეხვდა და ძალზე ცივად დასცილდა მომავალ ლიდერს. შეხვედრა უნივერსიტეტში მოქმედი ჯგუფის და ზვიადის ინიციატივით შედგა. იგი ეროვნულ საკითხებს ეხებოდა.



გარემოცვამ დაიწყო მოსკოვში „საკონსულტაციოდ“ სიარული. პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა იყო განსაკუთრებით აქტიური. სათქმელი ბევრია, სტალინიზმთან კავშირში არსებობითა, რომ 1992 წ. მარტში ედუარდ შევარდნაძე მოევილინა რესპუბლიკას, როგორც „მხსნელი და გზის გამკვლევია“. კაცი, რომელიც „ბოლშევიკობით“ და კომუნისტობით იწონებდა თავს, ქვეყნის კაპიტალისტურ მოდერნიზაციას ჩაუდგა სათავეში.

ქვეყნის ხელისუფლებაში თავი მოიყარეს შევარდნაძის ძველმა პარტიულმა ბიუროკრატ-მექრთამეებმა და „დაწინაურებულმა“ ავტომატიანმა ყაჩაღებმა. მათი „ბრძნული“ ხელმძღვანელობით განხორციელდა სტალინიზმის სისტემის მსხვერვა. ამ მხრივ ნიჭიერმა ავაზაკებმა ყველას აჯობეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში.

ე. შევარდნაძის მმართველობის ეს პერიოდი ხასიათდება საბჭოთა წყობილების 70-წლიანი მმართველობის დროს დაგროვილი ეროვნული სიმდიდრის ნგრევით და დატაცებით. სტალინიზმის სისტემა უფრო საფუძვლიანად არსად მოუხსნიათ. ძირითადად, გაქრა სახელმწიფო საკუთრება, გაჩნდა კერძო-ინდივიდუალური საკუთრების სექტორი, ახლად გამოცხვარი მილიონერებით და გალატაკებულ-დამცირებული მოსახლეობით (ვინც შეძლო, ძირითადად, გონებრივი შრომის მუშაკებმა საზღვარგარეთმოძებნეს თავშესაფარი. დარჩენილები დარჩნენ ღირსებანართმეული მონის მდგომარეობაში).

მთლიანობაში, 2003 წლამდე პერიოდი უნდა შეფასდეს, როგორც მტაცებლების თარეში. მათთვის არც სტალინიზმი ნიშნავდა რამე ფასულს და არც მისი მატარებელი მშრომელი საზოგადოება. ყველაზე უფრო ტრაგიკული ისაა, რომ შავბნელ საქმეს ხალხის ინტერესების დაცვის საფარველ ქვეშ ახორციელებდნენ.

2003 წელს მოხდა თაობათა ცვლა ხელისუფლებაში. საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით შეხვდა ახალგაზრდა, განათლებული ადამიანების გამოჩენას. იმედი იყო, რომ სამართლიანო-



ბის პრინციპი აღდგებოდა. ცხადია, დაქუცმაცებულ, გაყიდულ, გადაგვარებულ სახალხო მეურნეობას არავინ აღადგენდა, მაგრამ სამიკიტნოებად, საროსკიპოებად, სავაჭრო პუნქტებად გადაქცეულ ქვეყანას ცოტა მაინც მიხედავდა. დასაწყისში ტენდენცია გამოიკვეთა: საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების და ძალაუფლებით გატაცების. ბოლოს ახალი ხელისუფლება ძველი გზით წავიდა.

მთლიანობაში სააკაშვილის ხელისუფლება უნდა შეფასდეს, როგორც რეკეტიორთა თარეში. ამიტომ იყო, რომ საზოგადოება დიდი ენთუზიაზმით შეხვდა 2012 წელს არჩევნების შედეგად ბიძინა ივანიშვილის მოსვლას მთავრობის პრემიერ-მინისტრად.

ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვეტილება პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმის შესახებ 2011 წელს გამოაცხადა. იმ დროს მას დიდი ქველმოქმედის და უმნიშვნელო პატრიოტის რეპუტაცია ამშვენებდა. ამ სახელმა კიდევაც გადაფარა აქსიომა: უფულობა ადამიანს აბეჩავებს, დიდი ფული კი დიდად რყვნის. იმედი იყო, გაჭირვებაში გაზრდილი ქართველი სოფლელი ბიჭი არ დაივიწყებდა არც წარსულს, არც ეროვნებას და სამშობლოს ფეხზე დააყენებდა. მით უფრო, რომ 100 ქარხნის აშენების დაპირება რეალურ პროგრამად მოჩანდა.

მცირე მოგონება: ავტორი 2010 წ. შემოდგომაზე გაეცნო მასთან სტუმრად რამდენჯერმე მისულ ანზორ ჩუბინიძეს და უტა ივანიშვილს. საუბრებში დაისვა კითხვა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის აუცილებლობაზე. უთხრეს, რომ ასეთი ამოცანა რეალურად დგას. ეს აუცილებლობა გარდაუვალი გახდა, როდესაც პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა ბ. ივანიშვილს 80 მილიონი და კალაძეს 20 მილიონი შეაწერა.

100 ქარხნის გარდა, 100 მილიონის შეწერა ნებისმიერს განაწყობდა საბრძოლველად. 2011 წ. შემოდგომაზე ბ. ივანიშვილმა კიდევ ოფიციალურად განაცხადა პოლიტიკაში შესვლის და ქართული ოცნებისათვის ბრძოლის დაწყებაზე. ავტორმა გულუბრყვილოდ ირწმუნა და სასწრაფოდ „გამოაცხო“ თვალ-



საზრისი, თუ რას ნიშნავდა „ქართული ოცნება“ (სტატია თვეების შემდეგ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა). ამასობაში გაირკვა, რომ ბ. ივანიშვილმა შემოიკრიბა ქვეყანაში ცნობილი სახეები (თ. ჯაფარიძე, მ. უგრეხელიძე და ა. შ.) და დაავალა სამოქმედო პროგრამის შედგენა. რამდენიმე მონაწილე შემოქმედის გვარის გაგებაც საკმარისი იყო ავტორის ენთუზიაზმის ჩასაქრობად. ვაირომ, წინათგრძნობა გამართლდა.

კიდევ ერთი გახსენება: 1842 წელს 22 წლის ფრიდრიხ ენგელსი იძულებული იყო, ჩასულიყო ინგლისში, მანჩესტერში სამუშაოდ. იქ გაეცნო ფულად-სასაქონლო ურთიერთობის „სიმშვენიერეს“ და დაასკვნა: კაპიტალიზმის დროს თუ ფული გაქვს, შეგიძლია იყიდო სხვისი ცოლიც და შვილიც. სტალინიზმის პირობებში ფულის ეს უნარი იზღუდებოდა და ინიღბებოდა. 1991 წლის შემდეგ „დიადი პრივატიზაციის“ შედეგად, შეზღუდვები მოიხსნა. ფულმა თავისი ფუნქციები და ძალა გამოაჩინა. ბატონ ბიძინა ივანიშვილს კი ფული ბევრი ჰქონდა (არავის უკითხავს რა გზებით, რა ნიჭით, რა უნარით შეძლო, მაგრამ ფული ჰქონდა).

მცირე მეცნიერული დასკვნა: ჯანსაღი ადამიანები მეტ-ნაკლებად თანაბარი მონაცემების არიან. გარკვეულ ვითარებაში ერთმა მეორეს შეიძლება, აჯობოს სამჯერ, დაუშვათ, ხუთჯერ, მაგრამ არა ხუთასჯერ. შესაბამისად, ერთს თუ შეუძლია სამჯერ-ხუთჯერ მეტი იშრომოს, შემოსავალიც ასეთივე თანაფარდობით უნდა ჰქონდეს. რეალურ ცხოვრებაში კი სხვანაირადაა. ერთს მილიონები აქვს, მეორე სულს ძლივს ითქვამს. რატომ?

პატიოსანიშრომით ვერ გამდიდრდები. გამდიდრებას ყოველთვის ახლავს სხვისი უნარის (შრომის) მითვისება. თვით ბილ გეიტსიც არ გამდიდრებულა სხვანაირად.

მცირე განმარტება გაფრთხილებაა. ირგვლივ ბევრი ირწმუნება, რომ პატიოსანი შრომით გამდიდრდა. ზოგიერთი ეკლესიებსაც აშენებს და ღვთისმოსავად ევლინება საზოგა-



დოებას. ზოგი ქველმოქმედია. ეს უფრო ღმერთისათვის ქრთამის მიცემას ემსგავსება, ჩადენილი ცოდვების გამოსასყიდად.

2012 წლის ოქტომბრისათვის რესპუბლიკაში სტალინიზმი საფუძვლიანად იყო დაძლეული. სადღა იყო დიდი ქარხანა-ფაბრიკები, სამეცნიერო-საწარმოო ინსტიტუტები. ინდუსტრიული რესპუბლიკა კაზინოების, რესტორნების, საროსკიპოების ცენტრად იყო გადაქცეული. ყველა სიბილნე, რაც ფულის ბატონობას ახლავს, ძალას იკრეფდა. რა შეეძლო ასეთ საზოგადოებაში „ქართული ოცნების“ პარტიას და მის ბელადს? მით უფრო, რომ იგი რუსეთში მიჩვეული იყო ფულის კეთებას და არც უთქვამს მასზე უარი.

კიდევ ერთი მცირედ მეცნიერული დასკვნა. საუკუნეების განმავლობაში მეცნიერება ამბობს: ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე ერთი და იმავე მოძრაობით (საქმით) არის დაკავებული, პროფესიული ავადმყოფი ხდება (ქართველებმა შეიმუშავეს გამოთქმა: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო). ამ დაავადების დაძლევის გზების ძიებისას იქნა დადგენილი: საჭიროა ადამიანის ყოველმხრივი განვითარება.

სწავლა-აღზრდისა და მოღვაწეობის სისტემები იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ მოხდეს ფიზიკური და გონებრივი საქმიანობის შეხამება. ქვეყნის მასშტაბით ეს ნიშნავს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის ჯერ წინააღმდეგობის, შემდეგ კი არსებითი განსხვავების დაძლევას.

სტალინიზმის ეს ნიშან-თვისებანი იმ დროისათვის დღის წესრიგიდან მოხსნილი იყო. „საზიზღარი“ სტალინიზმი. იგი გარკვეულად ზღუდავდა ადამიანთა აზროვნება-მოქმედებას.

სტალინიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის მსხვერვა, დაწყებული ნ. ხრუშჩოვის „ბედნიერი“ ეპოქიდან მოყოლებული, დამოუკიდებელ საქართველოში წარმატებით დასრულდა. რესპუბლიკის სამრეწველო ობიექტებში მანქანა-დანადგარები დაჭრეს და ჯართის სახით თურქეთში გაასაღეს. რამდენიმე წელი, ე. შევარდნაძის მმართველობისას,



სახელმწიფო ბიუჯეტი ჯართის გაყიდვის საშუალებით ივსებოდა. ამ დიდ „წარმატებას“ თან ახლდა ძარცვა-მითვისება. ყოველივე ადამიანთა ფსიქიკას ცვლიდა.

ამ მხრივ საზოგადოებას ბევრი აქვს გასახსენებელი. უმთავრესი მინის დენაციონალიზაცია გახლდათ. სტალინიზმის ეპოქაში მინა საახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა, მისი ყიდვა-გაყიდვა თითქმის შეუძლებელი იყო. წინა საუკუნის „ბედნიერ“ ოთხმოცდაათიან წლებში შეზღუდვა მოიხსნა (არავინ უწყის, როგორი მეტალურგი იყო თენგიზ სიგუა, მინის დენაციონალიზაციაში კი ბევრს მიაღწია).

მინის ნაკვეთები უკონტროლოდ დაურეგდათ გლეხებს და გლეხებს მიტმასნილ ელემენტებს. დღემდე არავის შეუმონმეზბია ვის, რატომ, რამდენი მისცეს. იქამდე მივიდა საქმე, რომ მთები, ტყეები, მდინარეები გაყიდეს. თვალის ასახვევად შემოღებული წესები კი არ მოქმედებს. სამწუხაროა, რომ ეს სიმდიდრე უცხოელ ფულიანებს დარჩათ საბოლოოდ.

სავალალო სანახავეები იყვნენ ე.წ. სახელმწიფო მინისტრები: ა. ჯორბენაძე, ნ. ლევიშვილი. ერთმა ჯანდაცვის სისტემაში ჩაატარა „წარმატებული“ რეფორმა და ხალხს (უფულოებს) მკურნალობის საშუალება წაართვა, მეორეს სიხარბის დამსახურებისათვის, თბილისს „ნიკოსია“ უწოდეს. რა უნდა ითქვას სხვებზე და სხვებზე?

იმდენად „გენიალური“ რეფორმატორები გვყავდნენ, რომ მათი დაწყებული პროცესები დღესაც დაუმთავრებელია. მიხეილ სააკაშვილს თავი მოაქვს დიდი ცოდნით და მსოფლიო ავტორიტეტით. ჯერ კიდევ იუსტიციის მინისტრობისას დაიწყო მან სამართალდამცავთა სისტემის „მონესრიგება“ და საყოველთაოდ ცნობილია „კლანური წესრიგის“ მიღწევები. ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში ბევრი დაატერორა, რეკეტის გზით ბევრი შეიცვალა (მაგალითად: მამას ერთ ლარად ცნობილი ბანლეოლოგიური ინსტიტუტი უშოვა, დედას – ტექნიკური უნივერსიტეტის VI კორპუსი აჩუქა. რა, არ ეკუთვნოდათ?).



სტალინიზმის დაძლევის პროცესში ყველაზე რთული უფასო სწავლა-აღზრდის სისტემა გამოდგა. მართალია, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას, გაჩნდა ისეთი მოვლენები, როგორცაა რეპეტიტორობა, საქმეების ჩაწყობა და ა. შ., მაგრამ დამოუკიდებელ საქართველოში ასეთი პროცესები უკვე დაკანონდა. რა კარგი აღმოჩნდა ამ მხრივ დამოუკიდებლობა! – მიდი, აკეთე, რაც გინდა, ოღონდ ფული იშოვო. ფასიანი საბავშვო ბალები, ფასიანი სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები. თანაც, როგორი მოდური, პრესტიჟული. რა მასწავლებელთა კონტინგენტი დაზარალდა თუ პროფესურა? ბევრი მათგანი ველარ ასწრებდა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ახლა სახელმძღვანელოები?.. ეს ბიზნესის ცალკე დარგი გახდა. „ფუ, საზიზღრობა“ – საბჭოთა კავშირის დროს ერთი იყო სახელმძღვანელო მათემატიკაში, ერთი ფიზიკაში და ა. შ. მომაბეზრებელია. სხვაა, როცა გოგებაშვილის ცნობილ „დედაენას“ სამი-ოთხი განსხვავებული ანაცვლებს. თანაც თუ იქ უცხო ავტორთა ნააზრევია მოცემული. დიდი ამბავი, თუ პატარებისათვის იქ ბევრია გაუგებარი. სანაცვლოდ, ავტორებისათვის, გამომცემლობებისათვის ყველაფერი გასაგებია. ვთქვათ, საბჭოთა პერიოდში იურიდიული ფაკულტეტი მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იყო და იქაც დღის განყოფილებაზე 25 სტუდენტი მიიღებოდა. წარმოიდგინეთ, ყოფნიდა, თუმცა მოთხოვნილება ბევრად მეტი იყო. რესპუბლიკაში ორი კონსტიტუციონალისტი ასწავლიდა: გ. ერემოვი და გ. ინწკირველი, რა შეზღუდულობაა. ახლა ნახეთ, როგორც კი ვინმე „შანსიანი“ კერძო უმაღლეს სასწავლებელს დააფუძნებს, მაშინვე არსდება იურიდიული განყოფილება და როგორ არიან მომრავლებულიკონსტიტუციონალისტები? ამიტომაც იცვლება კონსტიტუცია ყოველი ახალი მთავრობის ხელში. სამკურნალო ფაკულტეტი? რა ჩამორჩენილობა სუფევდა – რესპუბლიკაში ერთი სამედიცინო ინსტიტუტი. ახლა? რა სჯობს სიმრავლეს და მრავალფეროვნებას? მხოლოდ ეგაა, გაურკვეველ უმაღლესსასწავლებელში ფულით ჩარიცხული



და ფულით ნასწავლი მოსამართლე-პროკურორები, ექიმები და სხვ. რამდენად სასიკეთოა საზოგადოებისათვის?

საზოგადოება? რა დროს სხვებზე ფიქრია, როცა საკუთარი სიხარბე ვერ დაუკმაყოფილებიათ? ამას ემატება პრესტიჟულობის ფაქტორი: საზღვარგარეთ განსწავლულობა. და რა კარგია, როცა საზღვარგარეთ კურსდამთავრებულიც კი მეტადაა დაფასებული. მაგალითების მოტანა ზედმეტია და მიუღებელი. საკმარისია გახსენება, რა სიამაყით აცხადებდა მ. სააკაშვილი, რომ ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა და თანაც ცნობილ კოლინ პაუელთან ერთად. და სირცხვილი კოლინ პაუელს. არავის უკითხავს, ასე დააკონკრეტა: დიახ, იქ ერთად ვსწავლობდით სამთვიან კურსებზეო (ღმერთო, რამდენი ცნობილი ფიგურის წარსულის გახსენება შეიძლება).

მოკლედ, 2012 წლისათვის სტალინიზმის არც ერთ მიმართულების ნასახიც არ დარჩა საქარველოში, მაგრამ სტალინიზმი ხომ მხოლოდ სისტემა არ იყო? სტალინიზმი აზროვნების მიმართულებაა, რომლის აღმოფხვრაც, ჩვეული მეთოდებით, შეუძლებელია. და არის საზოგადოების საკმაო ნაწილი, თანაც არა მხოლოდ ხნიერი ასაკისა, რომელიც მისდევს ცნობილ სიბრძნეს: ყველაფერს უნდა შეხედო კრიტიკულად, სხვისი აზრი მაშინ გახდება შენი, როცა კრიტიკულად განიხილავ და ისე მიიღებ.

დღეს ვინ დაუშლის ადამიანს, მექანიკურად კი არ დაეთანხმოს თუნდაც საზოგადოების აღიარებულ ლიდერს, პოპულარულ პიროვნებას, არამედ კრიტიკის პრიზმაში, გაატაროს ყოველი დებულება: რა იყო და რა არის, რა რით შეიცვალა, უკეთესია თუ უარესი, რას მოგვიტანს ხვალ და ა. შ.

ამ მხრივ საზოგადოება გაყოფილია. ერთნი ლანძღავენ ყველაფერ ძველს, სტალინიზმის გადმონაშთებს, მეორენი, თუმცა მდგომარეობის გამო დუმილს ამჯობინებენ, მაგრამ მაინც ცდილობენ შედარება მოახდინონ, კრიტიკულად შეაფასონ და თუ პრაქტიკულად ვერაფერს შეცვლიან, საკუთარი აზრი მაინც იქონიონ.



შესადარებელი ძირეულად არსებით მოვლენებს ეცხება. არის საერთო დასკვნის საფუძველიც.

საზოგადოება მთლიანობაში ეთანხმება იმ აზრს, რომ ძველი (საბჭოთა) წყობილება უსამართლო იყო და მისი შეცვლის აუცილებლობა იდგა. თუმცა ოფიციალურად ყველა თანასწორუფლებიანი „ამხანაგი“ იყო, სინამდვილეში იყვნენ უმრავლესობა მშრომელები და უმცირესობა ბატონები. თუმცა ქალაქებში (ყრილობა, პლენუმი) ყველაფერი საკმარისად ინარჩუნებოდა, სინამდვილეში ბატონები უზრუნველად ცხოვრობდნენ, საზღვარგარეთ მოგზაურობდნენ, სწავლობდნენ და ა. შ., ხოლო მშრომელები ოჯახის სარჩოს ძეხვით იყვნენ დაკავებული. მშრომელები შრომობდნენ, ბატონები ჭამდნენ.

საზოგადოების დიდი ნაწილი ეთანხმება ასევე იმ აზრს, რომ დღევანდელი სხვაობით, ამ მშრომელებს, უზრუნველყოფილი ჰქონდათ უფასო აღზრდა-სწავლა, სამსახური, ჯანდაცვა. არა მასობრივად, მაგრამ მაინც ბინით, დასვენებით უზრუნველყოფა. დღეს ეს ყველა სიკეთე ჩამორთმეული აქვთ და საბოლოო ანგარიშით იმაზე უარეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე იყო სტალინიზმის, უფრო ზუსტად მ. გორბაჩოვის დროს.

საზოგადოების აზრი ასევე იყოფა ეროვნულ საკითხთან მიმართებაში. დიახ, საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ნაწილი ოლქის უფლება-მოვალეობით. იყო მცდელობა, რუსული ენა გადაექციათ საყოველთაოდ, მკაცრი ცენტრალიზაციის გზით იძულებული გაეხადათ ქართველობა (არა მარტო ქართველობა) ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება ეთხოვათ მოსკოვისთვის, რაც საშინლად დამამცირებელი და მიუღებელი იყო.

ორასი წელი ბატონობდა რუსეთი საქართველოზე და რას მიაღწია? რაც მეტი იყო რუსეთის მონდომება, მით მეტი იყო ქართველთა წინააღმდეგობა და შედეგსაც სასურველს აღწევდნენ. დღეს? ეროვნული თვითმყოფადობა პოლიტიკურად გარანტირებულია, მაგრამ ეკონომიკური, სოციალური მდ-



გომარეობა ახდენს ზემოქმედებას. ცხოვრება კი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანისათვის მთავარი ეკონომიკაა. ტყუილად როდია აღიარებული, რომ საზოგადოების არსებობის ორ მხარეს შორის მთავარია ეკონომიკა. პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოსატყულებაა. არ არსებობდა პოლიტიკური საკითხი, რომლის საფუძველიც ეკონომიკური არ იყოს. და დღეს, როდესაც პოლიტიკურად თავისუფლები არიან, მათზე ეკონომიკა ახდენს ზენოლას. არაა საჭირო დიდი ანალიზი. დაფიქრებაა საჭირო. ძნელია სამსახურის შოვნა თუ არ იცი ინგლისური. ძნელია თუნდაც უმნიშვნელო სავაჭრო ობიექტის, რესტორნის, სანარმოს ნახვა, რომელსაც ინგლისური წარწერა არ ამშვენებს. ქართული გინდ ყოფილა, გინდ არა. ძნელია, მონახო ოჯახი, რომელიც არა ცდილობს შვილს ინგლისური ასწავლოს და ასე რამდენი.

საზოგადოებაში, არსებული ვითარება, ზოგს თუ ნორმალურად მიაჩნია, უმრავლესობა ცდილობს კრიტიკულად გაიზიაროს არსებული და მოძებნოს გამოსავალი. სწორედ კრიტიკული აზრი უბიძგებს ადამიანებს შეაჯერონ შეხედულებები, გააკეთონ საერთო დასკვნა და ერთად იმოქმედონ. თანამედროვე პირობებში ეს პოლიტიკური კავშირის შეკვრით, პარტიის დაფუძნებითაა შესაძლებელი. საკვირველი როდია, რომ დღეს საქართველოში 240 პარტიაა შექმნილი (ამბობენ, 2020 წელს კიდევ 58 პარტია დაემატა. შეიძლება). ახლა რამდენი სამოქალაქო საზოგადოებაა შექმნილი. რამდენი ახალგაზრდული ორგანიზაცია და ა. შ.

გარედან ისე ჩანს, პარტიები უკვე არა იდეურ ნიადაგზე იქმნება, არამედ შეძლებისა. რამდენი მაღალი თანამდებობის პირიც არ გაუშვეს ან წავიდა, უეჭველად ყველამ „საკუთარი“ პარტია შექმნა. ამ გზით ისე გამოდის, რომ პარტია არის კარგად ორგანიზებული ბანდა ხელისუფლების მოპოვების მიზნით. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში დეპუტატის „გაყვანის“ მიზნით.

საინტერესოა. ვერ ნახავ პოლიტიკოსს (პოლიტიკოსია ყვე-



ლა), რომელიც თავს ხალხის ინტერესებისათვის თავდადებულ მებრძოლად, იგივეა, დემოკრატად არ მიიჩნევს და რომელიმე დემოკრატიულ (ყველა პარტია დემოკრატიულია) პარტიას არ წარმოადგენს.

რანაირ დემოკრატიულ პარტიას არ ნახავს ადამიანი: ქრისტიან-დემოკრატიული (კარგია, რომ ღმერთი არ დაუტოვებიათ ყურადღების გარეშე), სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული და ასე უამრავი. რანაირ დემოკრატებს არ წააწყდება ადამიანი მიტინგებზე: გაერთიანებული დემოკრატები, ქართველი დემოკრატები, ეროვნული დემოკრატები, თავისუფალი დემოკრატები...

სრულებითაც არაა საჭირო პარტიის თავმჯდომარის ბატონი კახა კუკავას შეწუხება. მხოლოდ პარტიის სახელწოდებაა საინტერესო და ასოციაციების გამომწვევი. თავისუფალი დემოკრატები... ანტიკურ პერიოდში, ცნობილმა ტრაგიკოსმა ესქილემ, ადამიანთა შორის პირველი დემოკრატის, პრომეთეს შესახებ შექმნა ნაწარმოებები. ნიშანდობლივია, სანამ განთავისუფლებულ პრომეთეს შეეხებოდა, მანამდე დაწერა მიჯაჭვული პრომეთეს ისტორია. ჩვენთან არიან „თავისუფალი“ დემოკრატები. ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ უნდა იყვნენ „მიჯაჭვული“ დემოკრატებიც. დიდი ძიება არაა საჭირო, თუ კარგად დააკვირდება საზოგადოება, აღმოაჩენს, რომ ყოფილან ასეთები, მხოლოდ კლდეზე კი არა, სახელისუფლებო სკამებს მიჯაჭვული დემოკრატები. მართალია, ისინი თავს „ქართული ოცნების“ ახდენას უწოდებენ, მაგრამ რეალურად, ისე მაგრად არიან მიჯაჭვულები სავარძლებს, რომ სხვა საოცნებო აღარ სჭირდებათ.

„ქართული ოცნება“: რა შესანიშნავი, მრავლისმთქმელი სახელწოდებაა, რამდენ ფიქრს, აზრს, სურვილს იტევს ქართული ოცნება. 2012 წლიდან არსებობს ჩამოყალიბებული პარტიის სახით, თანაც ძალზე შინაარსიანი ისტორიით.

პირველ რიგში დამაარსებელი ჰყავს პარტიას შინაარსიანი. ვინც საზოგადოების მოვლენებს აკვირდება, ეცოდინება,



რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს იყო ცნობილი ბიძინა ივანიშვილის შესახებ. ის ამბავი, რომ საჩხერის რაიონიდან რუსეთში წასულმა ბიჭმა ბევრს მიაღწია, ბევრის მახსოვრობა ინახავს. მთავარი იყო საჩხერელი ინტელიგენციის აზრი მისი ქველმოქმედების შესახებ. ის, რომ ბატონმა ბიძინამ საჩხერეში ბევრი კარგი გააკეთა, რესპუბლიკაში ბევრისთვის იყო ცნობილი. შიგა და შიგ გაერეოდა უცნაური ინფორმაციაც. ვთქვათ, ძმები კვანტრიშვილების „ობშჩიაკის“ (სალაროს) უფროსობაზე, კრიმინალთან ურთიერთობაზე, რაღაცა მაქინაციაზე, მაგრამ მთავარი იყო მისი ქმედება, კარგი ქართული ოჯახის უფროსობა, კარგი შვილების ყოლა. ზოგს მხოლოდ ღიმილს ჰგვრიდა, როცა გაიხსენებდნენ, რუსეთში მას მახრჩობელას ეძახიანო.

გავიდა დრო და ბატონი ბიძინა დაბრუნდა სამშობლოში. გაგრძელდა ამბები მისი ქველმოქმედების შესახებ. გაჩნდა აზრი ამ კაცის ხელისუფლებაში მოსვლის სასარგებლოდ. დიას. მაშინ, როცა სააკაშვილი თავისი დამქაშებით ანიოკებდა რესპუბლიკას, წყნარი, დამჯდარი გონების და ქცევის კაცი ბევრის სასურველი სახელისუფლებო პიროვნება გახდა. მის მიერ პარტია „ქართული ოცნების“ დაფუძნება იმ პერიოდში, ნიშანი გახდა ცხოვრების უკეთესობისაკენ შეცვლისა.

2012 წლის ოქტომბერში ბატონი ბიძინას და მისი პარტიის გამარჯვება ლოგიკური შედეგი იყო სახალხო მონდომებისა.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის გაპრემიერებას ერთი კეთილშობილი მაგრამ ზოგიერთისთვის კრიტიკულად განსახილველი ღონისძიება ახლდა. უარი განაცხადა კუთვნილ ხელფასზე. ერთი მხრივ, ლოგიკურია, მილიარდელ ადამიანს, რას შემატებდა პრემიერ-მინისტრის ხელფასი? მეორე მხრივ, კრიტიკულ აზროვნებას (როგორც პროფესიულ იდიოტიზმად დაავებუღლს) მიჩვეულ ადამიანს გაუჩნდა კითხვა: რატომ? ხომ არ ნიშნავს ეს სახელმწიფო მოხელის სტატუსისაგან განდგომას (ვინც ოდნავ მაინც იცის კრიმინალური ავტორიტეტების ქცევის რაობა, ხომ არ არის ეს დაკავშირებული წარსულთან)?



ეჭვი შემდგომი პერიოდის მოვლენებმა გააძლიერა. ცოტა ხანში რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დაინიშნა არჩილ კბილაშვილი. ვისაც წვდომა ჰქონია სასამართლო სისტემასთან, ეცოდინებოდა და გაიხსენებს: უფრო ბუნჩულა, ჩუმი, დამყოლი, უკბილო ადვოკატი, ვიდრე არჩილ კბილაშვილი იყო, ძნელად მოიძებნებოდა. იგი რომ საბავშვო ბაღის დირექტორად დაენიშნათ, ალბათ, უფრო შესაფერისი იქნებოდა.

მოხდა კიდევ ერთი საოცრება: პრემიერმინისტრი თავად ეწვია უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილს, ესაუბრა, შეჰპირდა მოსამართლეების ხელფასების ზრდას და ერთი „დარტყმით“ მთელი სასამართლო კორპუსი მოიმაღლიერა (სხვანაირად იტყვიან, იყიდა).

პროკურატურა, სასამართლო კარგია, მაგრამ ცოტაა. სულ სხვაა, როცა შინაგან საქმეთა მინისტრად ოჯახის უერთგულეს კაცს დასვამ. უერთგულესი კი ქიზიყელი ირაკლი ღარიბაშვილი გახლდათ.

(მცირე იუმორი: კახელობას და ქიზიყელობას ადამიანთა ხასიათის თავისებურობის გამო გაესვა ხაზი. ისე ანეგდოტი: რესტორნის ფიცრულ კაბინაში სვანები ქეიფობენ. ჩამოვარდა კამათი, ვინ შეძლებს შუბლით ფიცარში ლურსმნის ჩარჭობას. სვანი-სვანია და ერთმა თავი გამოიღო. მოიტანა ლურსმანი, დაარტყა თავი სვანმა და ცოტა ჩაასო, კიდევ, კიდევ და შემდეგ რამდენიც არ ურტყა, ვერაფერს გახდა. სვანებმა მოიძიეს მიზეზი და მოსაზღვრე კაბინაში შეიხედეს. ნახეს, რომ კახელს (ქიზიყელს) ლურსმნის წვერისათვის შუბლი მიუბჯენია და პროცესს ამუხრუჭებს. ხუმრობა ხასიათის სიჯიუტეს ეხება და არა სიმტკიცეს).

რესპუბლიკაში მოვლენები თავისი არასახუმარო გზით წარიმართა. არჩევნებამდე დაპირებული ფასების შემცირება ენერგომატარებლებზე მცდარი აღმოჩნდა. არც სამართლიანობას ეშველა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ბ. ივანიშვილმა უპრობლემოდ დაიბრუნა 80 მილიონი, ხოლო კალაძემ 20 მილიონი).



კიდევ ერთი საკითხი: არჩევნებამდე, ყველა სხვა დაპირებასთან ერთად ითქვა: ისეთ დემოკრატიას დავამყარებ, ევროპაც გაოცებული დარჩებაო. პრემიერობიდან ერთი წლის შემდეგ ბატონი ბ. ივანიშვილი გადადგა და ეს ნებაყოფლობითი წასვლა, მიჩნეულ იქნა დიდი დემოკრატიის გამოხატულებად¹. ამ ხაზით კიდევ ერთი დასაფიქრებელი საქმე მოხდა. ცოტა ხნის წინ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განცხადება გააკეთა მის მიერ დაფუძნებული პარტიიდან და, საერთოდ, პოლიტიკიდან წასვლის შესახებ. ესაც დემოკრატიულობის გამოვლინებად აღიქვეს (კვლავ სხვანაირი ხმები გაისმა: კრიმინალმა, ყველგან თავისი „პოდქლნიკები“ დაასაქმა, თავად შორიდან მართავს ყველაფერს, პასუხს კი არაფერზე არ აგებს) და თუ პრემიერმინისტრი, პარტიის თავმჯდომარე, მინისტრები, გენერალური პროკურორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე „პოდქლნიკებია“, მაშინ სტალინიზმის სისტემა რესპუბლიკაში ქურდების სისტემას და ქურდების მთავრობას შეუცვლია. და მაშინ გამოდის, რომ სახელოვანი „ქართული ოცნების“ პარტია ქურდული ოცნების პარტიად გადაქცეულა.

რესპუბლიკის საზოგადოება ასეთ დასკვნებს ვერ მიიღებს და არც უნდა მიიღოს. ობიექტური ანალიზი უჩვენებს, რომ მცდარი საფუძველი შეიძლება დემოკრატიის გაგების თავისებურებაშია.

მეორდება აზრი, რომ საქართველოში ვერ ნახავ პოლიტიკოსს, რომელიც თავს დემოკრატად არ წარმოიდგენს და ვერ ნახავთ პოლიტიკურ პარტიას, რომლის წევრები (ლიდერები), პარტიას დემოკრატიულად არა თვლიდნენ (სამწუხაროდ, თითქმის შეუძლებელი ორასზე მეტი პარტიის პროგრამის მიღება და შედარებითი ანალიზი, ამიტომ უმჯობესია დემოკრატიის რაობაზე შეჩერება).

დემოკრატიის შესახებ ბევრი მსჯელობს, მაგრამ ზუსტი

1. სხვანაირად იფიქრეს კრიტიკის პროფესიული იდიოტიზმით შეპყრობილებმა. როგორც წესი, კრიმინალური ავტორიტეტიარა მსახურობს. იგი საქმეების გარჩევითა და გადანყვეტილებების მიღებით კმაყოფილდება. სადაა სიმართლე?



განმარტება არ არსებობს. ცნობილი აბრაამ ლინკოლნის გამოთქმა: დემოკრატია არის ხალხის მმართველობა, ხალხის მიერ და ხალხის სასარგებლოდ, მაინც ზოგადია. ჩვენთან ორასი პარტია ლაშობს, სხვისი დემოკრატია დაივიწყოს და თავისი სხვასაც მოაწონოს, მაგრამ როგორ ესმის დემოკრატია?

დემოკრატის საკითხი არაა თეორიული ვარჯიშის საგანი. მისი გაგება სტალინიზმის არსში წვდომასთანაა დაკავშირებული. თუ საზოგადოება უარყოფს სტალინიზმს, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, ის პირველ რიგში ამ სისტემის დემოკრატიულობას ეხება. დღეს, როდესაც მიაჩნიათ სტალინიზმი დავიწყებულ ისტორიულ მოვლენად და ვერ არკვევენ დემოკრატის არსს, მცდარ პოზიციაზე დგებიან.

დიდი მსჯელობის გარეშე უნდა ითქვას, კაცობრიობამ დღემდე სახელისუფლებო სისტემის შექმნის ორი პრინციპი გამოიმუშავა: ბიუროკრატიული და დემოკრატიული (შეიძლება, ადგილი ჰქონდეს მათი მოთხოვნების რაღაც შეხამებას, მაგრამ სხვა რამ ამ ორი პრინციპის იქით არ არსებობს)

მეცნიერები ამტკიცებენ:

- ა. თუ ქვეყნის ხელისუფლება გაყოფილია საკანონმდებლო და აღმასრულებელ ნაწილებად, ბიუროკრატიულ მმართველობას აქვს ადგილი;
- ბ. თუ საკანონმდებლო ხელისუფლების ხაზით ადგილი აქვს პერიოდულად არჩევნებს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დემოკრატიულობას.

მეცნიერება ამ პროცესს არჩევნების კომედიას უწოდებს, თუ ამორჩეულ პიროვნებას (დეპუტატს) ეძლევა მაღალი ხელფასი და სარგებლობს პოლიტიკურ-ეკონომიკური პრივილეგიებით¹;

1. საშუალო მშრომელზე უფრო მაღალი ხელფასი, ეკონომიკური პრივილეგიები, პოლიტიკური ხელშეუხებლობა უბიძგებს ადამიანებს ათასი მაქინაციით მოაღწიონ დეპუტატობას. სხვანაირად, 2016 წლის მონვევის პარლამენტში 150 დეპუტატიდან 41 მილიონერიარ იქნებოდა და, როცა მილიონერი ხარჯავს ფულს, ოღონდ დეპუტატი გახდეს, ცხადია, შემდეგ ეცდება, მოგებით დაიბრუნოს დანახარჯი. მისი მიზანი ხდება არა ქვეყანა, არამედ საკუთარი საქმეების კეთება.



- გ. თუ აღმასრულებელი ხელისუფლების ხაზით თანამდებობის პირთა არჩევნებს სცვლის დანიშვნის წესი, ადგილი აქვს ბიუროკრატიულ მმართველობას;
- დ. თუ თანამდებობაზე დანიშნულ პირთა ხელფასი პოლიტიკური და ეკონომიკური პრივილეგიები იზრდება ქვევიდან ზევით, მმართველობა ბიუროკრატიულია;
- ე. ბიუროკრატიული მმართველობა განაპირობებს ადამიანთა სწრაფვას, დაიკავოს, რაც შეიძლება მაღალი თანამდებობა ან დააკავებინოს მისთვის სასურველ პიროვნებას¹.

სტალინიზმის სისტემის არსებობისას, როცა მიწა, წარმოების საშუალებები სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა, სწორედ მმართველობის ბიუროკრატიული პრინციპი განსაზღვრავდა წყობილების კაპიტალისტურობას. საქართველოში დღესაც ხელისუფლების ორგანოების აგება ბიუროკრატიული პრინციპის ნიშნებით ხასიათდება.

მეცნიერება ამტკიცებს:

- ა. თუ ქვეყნად ხელისუფლების ყველა შტო, ყველა ორგანო, არჩევნების პრინციპს ექვემდებარება – დემოკრატიია;
- ბ. თუ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები ღებულბენ საშუალო მუშაკის ხელფასს, ხოლო ნაკლები თანამდებობისა – ნაკლებს – დემოკრატიია;
- გ. თუ დეპუტატობისათვის ხელფასი საშუალო მუშაკის ხელფასზე ნაკლებია – დემოკრატიია.
- დ. თუ ქვეყანაში თანამდებობის პირებისათვის მოსპობილია პოლიტიკური და ეკონომიკური პრივილეგიები – დემოკრატიია;
- ე. თუ ნებისმიერი არჩეული პირის გადარჩევა (უკან გამოწვე-

1. ასეთ დროს მეორეხარისხოვანი ხდება საზოგადოებრივი ინტერესები. წინა პლანზე იწვეს სურვილი, კმაყოფილი ჰყავდეს ის, ვის ნება ზეცაა დამოკიდებული მისი კარიერა. ბიუროკრატიული პრინციპი აერთიანებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მუშაკთა ინტერესებს, აყენებს ხალხის ინტერესებზე მაღლა, ხშირად უპირისპირებს, საზოგადოებრივი წესრიგის მომიზეზებით, აუცილებელს ხდის იძულებითი ზომების გამოყენებას.



ვა) გარანტირებულია ნებისმიერ დროს და სახალხო სა-სამართლოს მეშვეობით – დემოკრატიაა;

ვ. დემოკრატია არ ნიშნავს ანარქიას. სანამ ენდობიან ამორჩეულ პიროვნებას, მის გადანყვეტილებებს ემორჩილებიან.

ბიუროკრატიული და დემოკრატიული პრინციპების ნიშნები ყველგან შეიძლება ერთნაირად არ იყოს განხორციელებული. პრაქტიკაა თეორიის საზომი. თეორია მხოლოდ ადგენს ნიშნებს, რომელთა პრაქტიკული განხორციელება განაპირობებს საზოგადოების მართვის ბიუროკრატიულობას ან დემოკრატიულობას.

განსხვავება ხალხის ნებაა.

საზოგადოებამ შეძლო და მოიშორა კარიერისტ-მძარცველთა ხელისუფლება. შეძლო და მოიშორა რეკვეთიორთა ხელისუფლება, შეძლებს და მოიშორებს სახელისუფლებო სავარძლებს მიჯაჭვულ ხელისუფლებას (ქურდული ოცნების ბატონობას).

მეცნიერება ამბობს: ლიდერი (ხელისუფლება) შეიძლება, მოქმედებდეს სამნაირად.

1. თუ სწორად ესმის განვითარების ამოცანები, დააჩქარებს წინსვლას;
2. თუ არასწორად ესმის, შეაფერხებს;
3. თუ პროგრესი არ სურს, შეეცდება განვითარება უკან დახიოს, მაგრამ შეძლებს დროებით.

ი. სტალინის შესახებ მოსწრებულად ამბობდნენ: იგი გენიალური დრამატურგი და მსახიობია, რომელსაც შეუზღია, არარაობა აქციოს დიდ მსახიობად და დიდი მსახიობი – არარაობად.

სანამ ქვეყანას მართავს დრამატურგი, რომელიც ნიჭიერებს ასამარებს, ხოლო უდიპლომოებს ხდის მინისტრებად, პროკურორებად, მოსამართლეებად და სხვ., მანამდე სტალინიზმი მოქმედებაშია.

